ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

27 აგვისტო **შაბათი** 2011

№201 (13498) ფასი 80 თეთრი

# ქანზურია VS ზესტაფონი გრძელდება. რას იტყვის ფიფა?



2

## კლუბთან მოდავე მეკარის აზრით, დროა, მოთამაშეებმა თავს მიხედონ: ევროპელებივით პროფკავშირი ჩამოაყალიბონ

# სუპერთასი სუპერგუნდს

**მესის გაუტანელი აღარსად დარჩა, ფაბრეგასმა კი 18 წუთში ორი ტიტული მოიგო**




8

# ფეხბურთელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

**ესპანეთში გაფიცვა მორჩა, იტალიაში კი დაიწყო**




6-7




9

# ევროპალიგა უჩვეულოდ დალაგდა

# დინამო-ზესტაფონი აღარ გადაიდო

**ევროპაში გაცხრილულები შინაურ ცხრილს უბრუნდებიან**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გაგრა | 3 | 3 | 0 | 0 | 8 | 1 | 9 |
| 2 | ბაია | 3 | 2 | 0 | 1 | 5 | 2 | 6 |
| 3 | დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 4 | 1 | 6 |
| 4 | ზესტაფონი | 2 | 1 | 1 | 0 | 3 | 2 | 4 |
| 5 | მეტალურგი | 3 | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 4 |
| 6 | ვიტ ჯორჯია | 3 | 1 | 1 | 1 | 4 | 5 | 4 |
| 7 | მერანი | 3 | 1 | 1 | 1 | 2 | 3 | 4 |
| 8 | ტორპედო | 2 | 1 | 0 | 1 | 2 | 2 | 3 |
| 9 | კოლხეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 1 | 3 | 2 |
| 10 | სპარტაკი | 3 | 0 | 1 | 2 | 1 | 4 | 1 |
| 11 | სიონი | 3 | 0 | 1 | 2 | 1 | 6 | 1 |
| 12 | დილა | 2 | 0 | 0 | 2 | 3 | 5 | 0 |

| მატჩი | თარიღი და სტადიონი | დრო |
|---|---|---|
| კოლხეთი-დილა | 27.08. ლანჩხუთი. ცენტრალური | 17:00 |
| მერანი-ტორპედო | 27.08. მარტვილი. ცენტრალური | 17:00 |
| მეტალურგი-სპარტაკი | 27.08. რუსთავი. ფოლადი | 17:00 |
| ბაია-გაგრა | 27.08. ზუგდიდი. ცენტრალური | 17:00 |
| სიონი-ვიტ ჯორჯია | 27.08. ბოლნისი. თ. სტეფანია | 17:00 |
| დინამო-ზესტაფონი *Live* რეპორტაჟი პირველ არხზე | 28.08. თბილისი. ბ. პაიჭაძე | 18:00 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სიტუაცია

# ჭანტურიამ სარჩელი ფიფაში შეიტანა: მტყუან-მართალი იქ გაარჩიონო

## ზესტაფონის ყოფილი მეკარე ფიქრობს, რომ დროა, შეიქმნას ფეხბურთელთა პროფკავშირი



სამწუხაროა, მაგრამ ასეა - "ჭანტურია VS ზესტაფონი" გრძელდება. ამჯერად **გრიგოლ ჭანტურიმ** ფიფას მიმართა და მისგან მოითხოვს ყოფილ კლუბთან ურთიერთობის გარკვევას. ეს ამბავი "ზესტაფონის" ყოფილმა მეკარემ გვითხრა.

შეგახსენებთ: სპორტულმა არბიტრაჟმა „ზესტაფონს" ჭანტურიასთვის 29 ათასი ლარის გადახდა დააკისრა, კლუბმა კი ეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

2011 წლის 15 ივლისს გავრცელებული ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ამ დავაში პოზიცია ფიფამაც დააფიქსირა - ფედერაციის სახელზე გაგზავნილ წერილში ფიფას იურიდიული სამსახური იუწყებოდა, კლუბს საფეხბურთო დავის განსახილველად სამოქალაქო სასამართლოსთვის არ უნდა მიემართა, ამის უფლება არ ჰქონდაო.

არადა, "ზესტაფონი" კონტრაქტს იმოწმებს: სფფ-ის მიერ დამოწმებულ კონტრაქტში რომ ეწეროს, "მხარეთა შორის დავა შესაძლოა სპორტულ არბიტრაჟში გადაწყდეს", საქალაქო სასამართლოს არ მივმართავდით, მაგრამ ასეთი შეთანხმება არ არსებობდაო.

კლუბის ხელმძღვანელებმა განაცხადეს - ვაღიარებთ ფიფას წესდებას, რომელიც საფეხბურთო დავის სამოქალაქო სასამართლოში განხილვას კრძალავს, მაგრამ ჩვენ სასამართლოსთვის საქმის არსებითი განხილვისთვის არც მიგვიმართავს და ფიფას წესდება არ დაგვირღვევია, თუმცა ვიყენებთ კანონით მონიჭებულ უფლებას და არბიტრაჟის გადაწყვეტილებას "არბიტრაჟის შესახებ კანონის" შესაბამისად ვასაჩივრებთო.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ კი დაადგინა, რომ საფეხბურთო არბიტრაჟს ჭანტურიასა და ზესტაფონის დავის განხილვა არ შეეძლო, რადგან, ერთი, რომ არ არსებობდა მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმება და მეორე - იურიდიული თვალსაზრისით, დავა უკვე ამოწურული იყო სფფ-ის ალმასკომის 2009 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

ამ პროცედურული დარღვევების გამო სააპელაციო სასამართლომ გააუქმა სპორტული არბიტრაჟის 2011 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა კი აღარ ითვალისწინებს სააპელაციო სასამართლოს ამ ვერდიქტის გასაჩივრების შესაძლებლობას.

მოკლედ, კლუბში მიიჩნევენ, რომ ეს დავა საქართველოში დასრულდა. "ზესტაფონი" თანახმა იყო, ჭანტურიასთვის 7000 ლარი გადაეხადა, თუმცა იმასაც ფიქრობენ, ჩვენი კანონმდებლობით, შესაძლოა, ეს თანხაც ვერ მიიღოსო.

ჭანტურია კი მაინც არ გაჩერდა და საქმეში ფიფა ჩარია...

- როგორც ჩანს, ფიფას კატეგორიული აკრძალვა, საფეხბურთო დავები სამოქალაქო სასამართლოში არ განიხილოსო, არად ჩააგდეს. მე დავის საქართველოში მოგვარება მსურდა, მაგრამ რადგან ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, იძულებული გავხდი, ფიფასთვის მიმემართა. "ზესტაფონმა" სამოქალაქო სასამართლოს მიმართა, რომელსაც საფეხბურთო არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმების უფლება არ ჰქონდა, მაგრამ მაინც გააუქმა. თუ არბიტრაჟი არაკომპეტენტური იყო, ფედერაციამ იქ დავის განხილვის უფლება რატომ მომცა? ეს ლოგიკური არ არის – ფედერაციამ არბიტრაჟი იმიტომაც დააფუძნა, რომ ფიფასგან ამის ნებართვა მიიღო, ესე იგი, კომპეტენტური ორგანოა.

სხვათა შორის, ისიც არაზუსტი ინფორმაციაა, თითქოს "ზესტაფონი" 7000 ლარს ჩვენი კანონმდებლობის საფუძველზე არ გადამიხდის. შემიძლია წარმოგიდგინოთ სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ ძალაშია ამ თანხის გადახდის გადაწყვეტილება, რომელიც კლუბმა აღიარა. მაგრამ, თუ აღიარა, სამი წელი რატომ არ მიხდის?

მოკლედ, რადგან კლუბი თანხის გადახდას არ აპირებს, იძულებული გავხდი, ფიფასთვის მიმემართა – ამ ორგანიზაციაში წერილი უკვე გავგზავნე და მათთვის უკვე ცნობილია, რომ საფეხბურთო დავა სამოქალაქო სასამართლომ განიხილა. მალე შვეიცარიაში დავასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას გავგზავნი, თუ როგორ არის იგნორირებული ჩვენთან სპორტული არბიტრაჟის გადაწყვეტილება.

არ შემიძლია, არ შევეხო ჩემი მეგობრისა და ყოფილი თანაგუნდელის ბუბა დაუშვილის საკითხსაც – ბუბამ ექვსი წელი ითამაშა "ზესტაფონში", საქართველოში თითქმის ყველა ტიტული მოიგო, 21 წლისა ეროვნული ნაკრების წევრია და უცხოეთში წასვლა რომ სურს, რა არის ამაში უცნაური? კლუბს თუ აქვს თავისი ინტერესი, ფეხბურთელს რატომ არ შეუძლია ჰქონდეს? რა, მტყუან-მართალი მხოლოდ ერთი მხარის ინტერესებით ირჩევა? არ მესმის, ძალით რატომ უნდა დაიტოვო ფეხბურთელი? ქართულ კლუბებში ასეთი შემთხვევები ადრეც ყოფილა, კონტრაქტებს ხელს რომ არ აწერდნენ, კლუბები დისკვალიფიკაციას აძლევდნენ.

მე კარიერა უკვე დავასრულე და რაც გადამხდა, იმან მაფიქრობინა, რომ დროა, ძლიერი საფეხბურთო პროფკავშირი ჩამოვაყალიბოთ, რომელიც მოთამაშეთა ინტერესებს დაიცავს - დღეს კი ეს ლამის შეუძლებელია. სამწუხაროდ, ფედერაციაც ვერ ახერხებს მოთამაშეთა ინტერესების დაცვას, რადგან კლუბებს ორიოდე მდიდარი მეპატრონე ჰყავთ და მათ წინააღმდეგ ვერ მიდიან. ესეც მესმის, მაგრამ ფეხბურთი წესებით თამაშია და არა უწესოდ მოქცევა.

**- როდესაც ამ დავაზეა ლაპარაკი, ბევრი ამბობს, ილია კოკაიამ ბევრი რამ გააკეთა ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის და ფედერაცია მის წინააღმდეგ ვერ წავაო.**

- და განა მე ვამბობ, რომ არაფერი გააკეთა? მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მე ჩემი უფლებები არ დავიცვა.

**მერაბ მამულაშვილი**

● მეტალურგი და... გაუგებრობა

# ხალხო, ბოდიში, მე თქვენი წყენა გულშიც არ გამივლია

## მეტალურგმა კადრებს გადახედა და ოთხ ფეხბურთელს შეელია

რუსთავის "მეტალურგში" ახალი ხელმძღვანელების მისვლასა და მთავარ მწვრთნელად **კობა ჟორჟიკაშვილის** დანიშვნას საკადრო ცვლილებებიც მოჰყვა - "ლელომ" შეიტყო, რომ გუნდიდან რამდენიმე მოთამაშე გაუშვეს.

*„ოთხი ფეხბურთელი გავუშვით. მოსვლის შემდეგ ვთქვი კიდეც, რომ ზოგი მოთამაშე თანაგუნდელებს კონკურენციას ვერ უწევდა და მათი დროულად გაშვება აჯობებდა, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე სხვა გუნდებში მოწყობის საშუალება რომ ჰქონოდათ. ოთხ მათგანს შეველიეთ – ლომაიას, მურველაშვილს, ტყემალაძესა და ახვლედიანს. ამ ოთხეულს კონკურენციის პირობებში ძირითადში თამაში არ მოუწევდათ, მათი სათადარიგოთა სკამზე დატოვება კი გაუმართლებელი იქნებოდა"* – გვითხრა ჟორჟიკაშვილმა.

რუსთავის "მეტალურგის" თავკაცს კიდევ ერთ საკითხზე ვთხოვეთ კომენტარი: წინა ტურში "გაგრასთან" 0:2 წაგების შემდეგ მის გამონათქვამს – დაცვითმა ფეხბურთმა გაიმარჯვაო - გაგრელთა მხრიდან რეაქცია მოჰყვა.

*"აზრადაც არ მქონია "გაგრას" ფეხბურთელების, მწვრთნელისა და, საერთოდ, ამ კლუბის შეურაცხყოფა. შეუძლებელია, მათი და კლუბის პრეზიდენტ ბესიკ ჩიხრაძის მიმართ პატივისცემით არ იყო განწყობილი, რადგან ამ გუნდმა ქართული ფეხბურთის ისტორიაში ლამაზი ფურცლები ჩაწერა - პირველლიგელმა საქართველოს თასი მოიპოვა, ევროპის ლიგაზე "ანორთოსისს" ღირსეულად ებრძოლა და საშინაო მატჩში დაამარცხა კიდეც.*

*მაგრამ, რადგან ჩემმა სიტყვებმა გაუგებრობა გამოიწვია, მინდა, ამას ბოლო მოეღოს და ჩემთვის პატივსაცემი ადამიანები ნაწყენები არ დამრჩნენ. მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ გაიმარჯვა დაცვითმა ფეხბურთმა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ჩვენ შემტევ ფეხბურთს არ ვუღალატებთ, თამაშს დავხვეწთ და მალე გამოჩნდება, ჩვენი სტილი და ფილოსოფია უფრო მომგებიანია თუ დაცვითი ფეხბურთი. ყოველთვის შევეცდებით, ვითამაშოთ ისე, თავად ფეხბურთელებს რომ სიამოვნებთ და მაყურებელს სტადიონზე იზიდავს.*

*ეს არის და ეს, მეტოქის კრიტიკა აზრადაც არ გამივლია. პისკოვეცის საქმეა, როგორ ფეხბურთს ითამაშებს "გაგრა", მე ფეხბურთზე ვლაპარაკობდი და არა პიროვნულ პროფესიულ თვისებებზე. შესაძლოა, წაგების შემდეგ ჩემი ემოციური ლაპარაკი შეურაცხყოფად მიიღეს და, თუ ასეა, მზად ვარ, ბოდიში მოვიხადო და კიდევ ერთხელ გამოვხატო პატივისცემა ამ ადამიანებისა და მათი შრომით ჩამოყალიბებული გუნდის მიმართ.*

*ფეხბურთი იმიტომაც არის საინტერესო, რომ განსხვავებული სტილისა და ფილოსოფიის მიმდევარი გუნდები თამაშობენ, ზოგს "ბარსელონა" მოსწონს, ზოგს "ბაიერნი", მაგრამ ამის გამო შეურაცხყოფა არავინ უნდა დაიმსახუროს"* – ამბობს ჟორჟიკაშვილი.

**მერაბ მამულაშვილი**



კობა ჟორჟიკაშვილი

● U17

# ჩვენი ფალანგა პალანგაზე ფინალში გავიდა

## ბელარუსთან 4:0!



საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები პალანგის თასის ფინალში დამაჯერებლად გავიდა. **ვასილ მაისურაძის** გუნდმა ნახევარფინალში საკმაოდ ძლიერი ბელარუსი 4:0 გაანადგურა და დღეს ფინალში ლიტვის ნაკრებს დაუპირისპირდება.

პირველი ტაიმი ქართველებმა 2:0 მოიგეს, გოლები **დარციმელიასა** და **კაკაბაძის** ანგარიშზეა, მეორე ნახევარში კი თავი **მაჭავარიანმა** და **მზევაშვილმა** გამოიჩინეს.

ჩვენმა გუნდმა ამ შემადგენლობით ითამაშა: **ადამია (41. ტყემალაძე), გაბაძე ნ. ჭანტურია, ჩაკვეტაძე (41. დვალი), გოროზია (41. გუგუშვილი), ცინცაძე, ჭეჭელაშვილი, მაჭავარიანი, კაკაბაძე (41. პაპუნაშვილი), ახვლედიანი (41. რ. ჭანტურია), დარციმელია (41. მზევაშვილი).**

შესაძლოა, პალანგის ტურნირი არ იყოს ძალიან მაღალი დონისა, მაგრამ მაინც სასიამოვნოა, რომ იქ ქართველები ხშირად აღწევენ წარმატებებს და მაისურაძის გუნდის ფინალში გასვლა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წინ დამაიმედებელი ამბავია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი



# ყაზაიშვილი ჰოლანდიაში შეუშვეს

## ესპანეთი? მე იმედიანად ვარ

**ვალერი ყაზაიშვილმა ჰოლანდიაში სამუშაო ვიზა მიიღო და ერედივიზიონშიც ითამაშებს. ასეა ზოგადად არაევროკავშირელი მოთამაშის საქმე – ვისთანაც უნდა, კონტრაქტს კი გააფორმებს, მაგრამ სამუშაო ვიზის გარეშე არათუ გუნდში ვერ ითამაშებს, ვერც ივარჯიშებს და, ცხადია, განაცხადშიც ვერ მოხვდება.**

**"საბურთალოსა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემტევმა ნახევარმცველმა არნემის "ვიტესთან" 3,5-წლიანი კონტრაქტი აგვისტოს დასაწყისში გააფორმა, მაგრამ მას შემდეგ სამუშაო ვიზას ელოდა.**

**ყაზაიშვილი ახლა თბილისშია და საქართველო-ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩის მოლოდინშია...**

**- ჯერ სიახლით დავიწყოთ, ჰოლანდიაში თამაშის უფლება მიგიღია.**

- თამაშის უფლებას "ვიტესთან" კონტრაქტის გაფორმების, ანუ 7 აგვისტოს მერე ველოდები. ახლა ყველა ფორმალური მხარე უკვე მოგვარდა და გუნდს ესპანეთთან მატჩის შემდეგ შევუერთდები.

**- საქართველოს ჩემპიონატში რიგიანად არც გითამაშია და უცებ ჰოლანდიის უმაღლესი ლიგის კლუბში აღმოჩნდი. ეს არა მხოლოდ შენი ტოლებისთვის, ეროვნული ნაკრების ბევრი წევრისთვისაც კი სანატრელი ლიგაა.**

- ჰოლანდიის უმაღლესი ლიგის კლუბში მოხვედრა მართლაც დიდ ტრამპლინზე შედგომის ტოლფასია, თანაც, როგორც თქვით, ეს იმ დროს, როდესაც საქართველოს ჩემპიონატში, ფაქტობრივად, არც მითამაშია - სულ რაღაც 10 თამაში ჩავატარე. ამიტომაც მიხარია ამ დონის ლიგის კლუბის წევრობა - ეს წინსვლის დიდი შანსია.

**- სამუშაო ვიზა თუ არ გქონდა, "ვიტესში" როგორ ვარჯიშობდი?**

- სულ ოთხჯერ ვივარჯიშე და მერე მე და ჭანტურია ახალგაზრდულ ნაკრებს მოლდოვაში გავყევით. როდესაც ჰოლანდიაში უნდა დავბრუნებულიყავი, აღმოჩნდა, რომ ერთჯერადი ვიზა მქონია და ქვეყანაში მეორედ შესვლის უფლება არ მქონდა. ამიტომაც ნაკრების წევრებთან ერთად საქართველოში ჩამოსვლა და ვიზის ლოდინი დამჭირდა.

**- ჰოლანდიური ვარჯიშები ხომ არ გეუცხოვა?**

- აქაურს ნაჩვევისთვის საოცრად მაღალი ტემპია – საქართველოში მსგავსი სისწრაფეები არც ვარჯიშებზეა და არც თამაშში. განსხვავებულია წვრთნისადმი დამოკიდებულებაც - ყველაფერი სათამაშო ვითარებასთან არის მიახლოებული, ისევე ხისტად გეთამაშებიან, როგორც მეტოქეები.

**- ჩვენებურებს ასეთ ხისტ ფეხბურთთან შეჩვევა უჭირთ.**

- არაფერია, შევეჩვევი, ბოლო დროს ფიზიკურად საკმაოდ მოვღონიერდი და ასეთი ფეხბურთი აღარ მაშინებს.

**- ეს მართლაც თვალშისაცემია - გაცილებით ათლეტური გახდი.**

- ეს საქართველოში ვარჯიშის შედეგია, ივანე ლუცენკო კარგად მავარჯიშებდა, საფეხბურთო საკითხებში კი თემურ ფოცხვერიამ და გიორგი დევდარიანმა მომამზადეს სათანადოდ. ასე რომ, იმედი მაქვს, ჰოლანდიაში არ დავიჩაგრები.

**- "ვიტესის" ქართველებზეც გვითხარი.**

- გიორგი ჭანტურია და გურამ კაშია მშვენიერ ფორმაში არიან და "ვიტესშიც" აფასებენ. საერთოდ, გუნდიც მომეწონა, მეგობრული ვითარებაა.

**- ძირითადში დამკვიდრების იმედი თუ გაქვს?**

- ცხადია, მაქვს და ისე ვივარჯიშებ, ძირითადში თამაში რომ დავიმსახურო.

**- მოლდოვიდან ჩამოსვლის შემდეგ სად ვარჯიშობ?**

- ფორმიდან რომ არ ამოვვარდნილიყავი, დევდარიანმა თბილისის "დინამოს" დუბლებში ვარჯიშის საშუალება მომცა.

**- ესპანეთთან წყვილი სანაკრებო მატჩი გელით. შენი აზრით, მოლდოვასთან სპარინგი წაგადგათ?**

- რა თქმა უნდა, რადგან საკმაოდ ძლიერ ნაკრებს შევხვდით. რომ არა მსაჯის არაობიექტურობა, უნდა მოგვეგოკიდეც. რაც მან ჩაიდინა, ამაზე ბევრი ითქვა და დაიწერა, თუმცა, ვიმეორებ, თამაში მაინც სასარგებლო იყო.

**- ახლა ყველა ესპანეთთან ქუთაისური მატჩის მოლოდინში ვართ.**

- ყველამ კარგად იცის, რა თამაში იქნება, მაგრამ მე რატომღაც იმედიანად ვარ და მიმაჩნია, რომ სამი ქულის მოპოვებაც შეგვიძლია. მაგრამ საამისოდ სავსე ტრიბუნები გვჭირდება და იმედია, ასეც იქნება - ქუთაისელებს ხომ ფეხბურთი განსაკუთრებულად უყვართ და გულშემატკივრობაც იციან.

**- ესპანეთთან გამარჯვება კი არა, ბევრისთვის ქულაც სანატრელია.**

- გასაგებია, ესპანეთი მსოფლიოს ჩემპიონია და ასაკობრივი ნაკრებებიც ძლიერი ჰყავს, მაგრამ ჩვენ განსაკუთრებული სტიმული გვაქვს. ხორვატიაში ჩვენს გამარჯვებას ვერავინ წარმოიდგენდა, მაგრამ ხომ მოხდა ასე და ამ წარმატების შემდეგ ბიჭები იმედიანად ვართ, უფრო თავდაჯერებულნიც გავხდით. უეჭველია, ძალიან მძიმე შეხვედრა გველის, მაგრამ ვფიქრობ, მინიმუმ არ წავაგებთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ამბები და შთაბეჭდილებები

# ბელგიური მასტერკლასი

მატჩის პირველივე წუთებზე ხვდები, რომ ბელგიაში ფუჭი იმედებით ჩახვედი, პირველი ტაიმის შუაწელისთვის კი იმასაც ასკვნი, რომ ყველა სახიფათო მომენტის აღწერას აზრი არ აქვს, იმიტომ, რომ ამას ძალიან დიდი დრო და ადგილი დასჭირდება და თან მკითხველს თავს შეაწყენ. მოკლედ, "ბრიუგემ" ისეთი საფეხბურთო გაკვეთილი ჩაგვიტარა, რომ მის საჭიროებას ჩვენი ფეხბურთელები ცხელ გულზეც კი მიხვდნენ.

*"ევროტურნირებზეც და შეკრებებზეც ბევრი ცნობილი კლუბის წინააღმდეგ გვითამაშია, მაგრამ ასეთ ძლიერ მეტოქეს არსად გადავყრივართ"*, - ასეთი იყო "ზესტაფონის" ფეხბურთელთა საერთო აზრი. თავს ზემოთ ძალა არ იყო, ამ დონის მოწინააღმდეგის დასაძლევად ჯერ მზად არ ვართ, გუშინწინდელი მატჩი კი, სავსებით შესაძლებელი იყო, კატასტროფული სხვაობით წაგვეგო, იღბალი აშკარად საქართველოს ჩემპიონის მხარეს იყო.

გვქონდა იმედი, რომ ჩვენი ჩემპიონი ბელგიის მეოთხე გუნდს რაიმეს დაუპირისპირებდა, მაგრამ რას ვიზამთ, ჯგუფი ჩვენთვის ნაადრევი ყოფილა, იმას უნდა დავჯერდეთ, რომ ამ ზაფხულს ევროსარბიელზე მეტ-ნაკლებად ღირსეულად წარმოვჩნდით და ევროპის საკლუბო რეიტინგში არცთუ პატარა ნახტომი გავაკეთეთ.

### ისტორიულ-საფეხბურთო სამოთხე

ქალაქის ბრწყინვალების შესახებ ორი დღის წინ უკვე გიამბეთ და ბევრს ვერაფერს დავამატებთ – ბრიუგე აუცილებლად საკუთარი თვალით უნდა ნახო. თუ ეს ბედნიერება ცხოვრებაში ერთხელ მაინც გეწვია, შთაბეჭდილებების ტყვეობაში ძალიან დიდხანს იქნები.

მაღალ დონეზეა გულშემატკივრობის კულტურაც – "ბრიუგესაც" და "სერკლსაც" ათეულ ათასობით ერთგული ფანი ჰყავთ, რომლებიც საყვარელ გუნდებს ნებისმიერ შეხვედრაში აქტიურად უჭერენ მხარს. 28-ათასიან "იან ბრეიდელზე" 15 ათასი მაყურებლის დასწრება ბელგიის ჩემპიონატის არცთუ გადამწყვეტ მატჩზეც კი გარანტირებულია – სწორედ ამ რაოდენობის სეზონურ აბონემენტებს ჰყიდიან ბრიუგეს კლუბები. აბონემენტის ყიდვა ეკონომიურია. 300-400 ევროდ ქომაგი სეზონში 20-25 მატჩს ნახავს, მაშინ, როცა "ბრიუგე"-"ზესტაფონის" შეხვედრაზე ბილეთის ფასი 30-დან 120 ევრომდე იყო.

### შუა საუკუნეები აქ არ გვინდოდა

საკონფერენციო დარბაზი, რომელიც "ბრიუგესაც" და "სერკლსაც" თავთავისი აქვთ, ამავდროულად საკლუბო მუზეუმიცაა. "იან ბრეიდელზე" ქომაგთან ერთად ჟურნალისტისთვისაც სრული კომფორტია შექმნილი, მაგრამ ვერც დიდ უსიამოვნებას ავცდით. ჟურნალისტებს საკვებისა და გამაგრილებელი სასმელების დიდ და უფასო არჩევანს კი სთავაზობენ, მაგრამ, სამაგიეროდ, დიდი პრობლემებია ინტერნეტთან დაკავშირებით, რაც სტრესულ და ცაიტნოტურ ვითარებაში ყოფნისას ხარისხიანი ბელგიური ლუდის დაგემოვნებით მიღებულ სიამოვნებასაც გიმხამებს და შიმშილსაც გავიწყებს.

"ბრიუგეს" პრესსამსახური ქართველ ჟურნალისტებს, ერთი შეხედვით, გულთბილად კი დაგვხვდა, მაგრამ საქმეში ეს არ ასახულა – თამაშისას და მატჩისწინა დღეს დაბრკოლებები არ მოგვკლებია. მთავარი პრობლემა "იან ბრეიდელის" სტადიონზე ინტერნეტი იყო, რაც, როგორც წესი, ჟურნალისტებისთვის ნებისმიერ საერთაშორისო მატჩზე უფასო და შეუფერხებელია, ბრიუგეს არენაზე კი თანამედროვეობაში სულ იოლად ხელმისაწვდომი სერვისი დევის მიერ გადაკეტილ წყაროდ იქცა – ფასიანი ინტერნეტი, რომელიც ძალიან ნელი იყო და წამდაუწუმ ითიშებოდა, საათში 30 ევრო ღირდა, მატჩის სრულფასოვნად გასაშუქებლად კი, სულ მცირე, სამი საათია საჭირო. ამ მიზეზით "ლელოს" რედაქციამ ბელგიური რეპორტაჟი გაზეთის სტამბაში გაგზავნამდე ცოტა ხნით ადრე, ისიც არასრული სახით მიიღო. მატჩის მიმოხილვის თბილისში გადაცემა კი ბელგიელი კოლეგების დამსახურებაა, რომლებმაც მასალის ელექტრონული ფოსტით გადმოსაგზავნად დიდსულოვნად დაგვითმეს საკუთარი ლეპტოპები. ეს თხოვნა კი გაუკვირდათ, მაგრამ რომ ნახეს, როგორ დღეში ვიყავით, "ბრიუგეს" პრესსამსახურის ნაცვლად შერცხვათ.

### ერთი ლიტრი ქართული...

მატჩის შემდეგ გეგმიური დოპინგკონტროლი ჩატარდა, რომელზეც "ზესტაფონიდან" ორ ფეხბურთელს უხმეს. პირველმა "ვალი" რამდენიმე წუთში მოიხადა, მეორეს კი მოთხოვნის შესასრულებლად საათზე მეტი დასჭირდა. არც არის გასაკვირი – ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ კონტროლის ოფიცრებს თითოეული ფეხბურთელისგან ერთი ლიტრი შარდი სჭირდებოდათ. "ზესტაფონის" მოთამაშეს სასურველი შედეგის მისაღებად რამდენიმე ლიტრი წყალი დაალევინეს.

კიდევ კარგი, ის ფეხბურთელი იუმორის გრძნობას არ უჩიოდა და ამ ამბავმა მთელი გუნდიც გაახალისა.

### გრენლანდია საჩუქრად

"ზესტაფონმა" ბელგიაში საჩუქრად ქართული ღვინო ჩაიტანა, "ბრიუგეს" ხელმძღვანელობამ კი ქართველებს უზარმაზარ ჩარჩოში ჩასმული გუნდის სათამაშო ფორმა უსახსოვრა. ჩარჩო აშკარად არ იყო ძვირფასი, მაგრამ ჩვენებს მხოლოდ მაისურის წამოღება მოერიდათ და მომცრო ავიალაინერში ჩარჩო აშკარად ზედმეტი ნივთი აღმოჩნდა. "ზესტაფონის" გადაქანცული წევრები ხუმრობდნენ, გაიტანეთ გრენლანდიაო. მოკლედ, "ბრიუგემ" ქართველები მხოლოდ თამაშით კი არა, უზარმაზარი საჩუქრითაც გვარიანად გააწვალა და ბელგიიდან საქართველომდე ფეხბურთელები, რომელთა ფსიქიკისთვის განვლილი წარუმატებელი მატჩის დავიწყება სჯობს, "ბრიუგეს" ჩარჩოიან მაისურას შესცქეროდნენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**
ბრიუგე-თბილისი







## ქართული ფეხბურთი

● კოლხეთი

# უფაზისოდ ფოთელებს გურულებმა უძმეს

დღეს-ხვალ საქართველოს ჩემპიონატის მეოთხე ტურის მატჩები გაიმართება, ფოთის "კოლხეთს" კი აქამდე მშობლიურ "ფაზისზე" არ უთამაშია – პირველ სამ ტურში "მეტალურგს", "ზესტაფონსა" და "ბაიას" -ესტუმრა, დღეს კი გორის "დილას" ლანჩხუთში უმასპინძლებს.




რა მიზეზია, "კოლხეთი" რომ ასე მომთაბარეობს? ჯერ ცნობილ ამბავს გაგახსენებთ: როდესაც წინა ჩემპიონატი დასრულდა, საქართველოს მთავრობამ გორის, ქობულეთისა და ფოთის სტადიონებზე ბალახის საფრის დასაგებად ფეხბურთის ფედერაციას 2,5 მილიონი ლარი გამოუყო, ანუ 833 ათასი ლარი თითო მოედნის მოსაწყობად, რაც სავსებით საკმარისი იქნებოდა.

ფედერაციამაც ამ ქალაქების სტადიონებზე საფრის დასაგებად ტენდერი გამოაცხადა, თუმცა მასში მონაწილე კომპანიებმა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობები ვერ დააკმაყოფილეს, მათი წინადადებები დაიწუნეს და ტენდერი უარყოფითი შედეგით დასრულდა.

ითქვა, ფედერაცია ახალ ტენდერს გამართავსო, მაგრამ ჯერ ამის შესახებ არაფერია ცნობილი, ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე გუნდებისთვის ხარისხიანი მოედნის მოწყობის ვადამ კი, საუკეთესო შემთხვევაში, შემოდგომისთვის გადაიწია.

"დილას" კიდევ რა უჭირს, გორელებს ნორმალური მინდორი აქვთ და ამიტომაც სთხოვეს ფედერაციას, ჩვენს საფარს არ შეეხოთ და დასახარჯი თანხით სათადარიგო მოედანი მოგვიწყვეთო.

ფოთელები კი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ: ტენდერის იმედად "ფაზისზე" საფარი აილეს, წინასწარი სამუშაოებიც წამოიწყეს და... მას შემდეგ ტენდერის შედეგების გამოცხადებას ელიან. თუ ეს ამბავი მალე გაირკვა, საფრის დასაგებად საუკეთესო დროა და ორ თვეში მოესწრება.

თუმცა, სანამ ახალი ტენდერის შედეგები გახდება ცნობილი, "კოლხეთის" ხელმძღვანელებს საშინაო მატჩებისთვის არენის სასწრაფოდ შერჩევა დასჭირდათ. ჯერ ზუგდიდის სტადიონზე შეაჩერეს არჩევანი, მაგრამ ამ ჩანაფიქრზე ორი მიზეზის გამო აიღეს ხელი: პირველი ის იყო, რომ "ბაიასა" და "კოლხეთს" თითქმის ერთ დღეს უწევდათ საშინაო შეხვედრები. კი იყო შესაძლებელი, ფედერაციასთან შეთანხმებით ფოთელთა მატჩი მეორე დღეს გამართულიყო, მაგრამ აქ მეორე საფრთხე იქმნებოდა – წვიმის შემთხვევაში ზუგდიდის მოედანი მეორე დღეს აღარ ივარგებდა, ასეთ დატვირთვებს ვერ გაუძლებდა.

ამიტომაც გადაწყდა "კოლხეთის" საშინაო მატჩების ლანჩხუთში გამართვა. იქ სტადიონი „ფორმაში" კი ვერ არის, მაგრამ ფოთთან ახლო ქალაქია და მოედანსაც არა უჭირს. თანაც, გურულები გასაჭირში მყოფ მეზობლებს მხარში ამოუდგნენ და სტადიონის იჯარაში მინიმალური თანხა მოსთხოვეს.

**მერაბ მამულაშვილი**

● ინტერვიუ გიგა ჟვანიასთან

# ამბიციური ახალბედას გამოცდილი კაპიტანი



**უმაღლესი ლიგის დებიუტანტს, მარტვილის „მერანს" ახალ სეზონში ურიგო სტარტი ნამდვილად არ ჰქონია; დებიუტანტი გუნდის წარმატებაში არცთუ მოკრძალებული წვლილი შეაქვს ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ ფეხბურთელს გიგა ჟვანიას. „მერანის" 29 წლის კაპიტანს სწორედ სეზონის სასტარტო მატჩების შეფასება ვთხოვეთ.**

**- დებიუტანტი გუნდისათვის სამი ტურის შემდეგ მოპოვებული 4 ქულა ურიგო შედეგი, ალბათ, არ უნდა იყოს.**

- მეც ასე ვფიქრობ და ეს ფაქტი გუნდის სამწვრთნელო შტაბისა და თითოეული ფეხბურთელის დამსახურებაა. შესაძლოა, უფრო მეტი ქულაც გვქონოდა: პირველ ტურში „გაგრასთან" წაგებაც, უპირველესად, გამოუცდელობასა და ნერვიულობას უნდა დავაბრალოთ. ყოველ შემთხვევაში, დიდი ანგარიშით მარცხს არ ვიმსახურებდით.

**- დებიუტანტ გუნდს ამ სეზონში რა მიზანი ექნება?**

- რვა საუკეთესო გუნდში მოხვედრა, უდავოდ, დიდი წარმატება იქნება; მომავალში კი, ალბათ, უფრო მეტი ამბიციაც შეიძლება გაგვიჩნდეს. „მერანში" გამოცდილ ფეხბურთელებთან ერთად ნიჭიერი ახალგაზრდებიც არიან, რაც ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

**- „მერანთან" რა ხანგრძლივობის კონტრაქტი გაკავშირებთ?**

- ერთწლიანი კონტრაქტი მაქვს და გუნდის ხელმძღვანელები თუ კმაყოფილნი იქნებიან ჩემი თამაშით, თანამშრომლობას სიამოვნებით გავაგრძელებ. ამ კლუბში თავის საქმის პროფესიონალები მუშაობენ და აქ ყოფნა ჩემთვის სასიამოვნოა.

**- ორი წლის წინ „მერანი" საქართველოს თასის ნახევარფინალში გავიდა. ახალ სეზონშიც ხომ არ აპირებთ ამ შედეგის გამეორებას?**

- ჩვენი გუნდის მთავარი მწვრთნელი მალხაზ ჟვანია ახალგაზრდა და ამბიციური სპეციალისტია; შევეცდებით, რომ ჩემპიონატშიც და თასზეც მაქსიმალურად წარმატებულად ვიასპარეზოთ.

**- ამ სეზონის ფავორიტებად ვინ მიგაჩნიათ?**

- „ზესტაფონსა" და „დინამოს" სხვებისგან გამორჩეული ინფრასტრუქტურაც აქვთ და უკეთესი ფეხბურთელებიც ჰყავთ; ამ ორი უდავო ფავორიტის გარდა ანგარიშგასაწევი გუნდებია აგრეთვე „გაგრა", „ტორპედო" და „მეტალურგი".

**- წინა სეზონში „მერანთან" ერთად პირველ ლიგაში ასპარეზობდით. როგორ ფიქრობთ, პირველსა და უმაღლეს ლიგას შორის დიდი სხვაობაა?**

- უმაღლეს ლიგაში სხვადასხვა დროს „სამტრედიას", ზუგდიდის „მგლებისა" და „თბილისის „სპარტაკის" შემადგენლობაში მითამაშია და მეტ-ნაკლები გამოცდილებაც მიმიღია. განსხვავება, რაღა თქმა უნდა, არის - დონე ბევრად უფრო მაღალია და შეცდომის დაშვების უფლებაც ნაკლებად გაქვს.

**- ამ ტურში ქუთაისის „ტორპედოს" მასპინძლობთ...**

- ძალიან სერიოზულ და ამბიციურ მეტოქეს ვეთამაშებით, მაგრამ ჩვენთვის მისაღები შედეგი მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება იქნება. საერთოდაც, „მერანის" მიზანი, მით უფრო საკუთარ მოედანზე, ყოველი შეხვედრის მოგებაა და ამ საქმეში ჩვენი ერთგული ქომაგის იმედიც გვაქვს.

**ბესიკ გვაზავა**
მარტვილი

● საქართველოს ჩემპიონატი. I ლიგა. 4 ტური

### ჩიხურა-სულორი 1:0

23.08. საჩხერე. 500 მაყურებელი
**1:0 თ. მუმლაძე (43)**

**ჩიხურა:** რ. თევდორაძე, ლ. ჩიკვაიძე, ლ. ჭელიძე, ნ. გუშარაშვილი, ი. ზაბახიძე, ნ. კვასხვაძე, ი. ლილუაშვილი (62. ჯ. ბერიანიძე), ლ. ნოზაძე, გ. სილაგავა, ლ. ბაკურაძე, თ. მუმლაძე (90. ე. ზივზივაძე).
**სათადარიგოები:** ზ. მწყერაშვილი, ლ. ვაშაკიძე, გ. ცარციძე
**მწვრთნელი:** ს. ფრუიძე
**სულორი:** დ. ხურციძე, ვ. ნუცუბიძე, ა. ქებულაძე, ლ. გაბუნია, პ. ბელთაძე, ბ. ბელქანია, ს. კიკაბიძე, თ. ძაგნიძე (78. ბ. ნიკოლეიშვილი), გ. ნიკოლეიშვილი (46. კ. კვიმსაძე), ნ. გიორგაძე (ბ. სულაბერიძე), გ. დიაკონიძე
**სათადარიგოები:** ი. დვალიშვილი, მ. დვალიშვილი, ნ. ბრეგვაძე, გ. ბრეგვაძე
**მწვრთნელი:** გ. ბრეგვაძე.
**გაფრთხილება:** ი. ლილუაშვილი, ნ. გუშარაშვილი, თ. მუმლაძე; პ. ბელთაძე, დ. ხურციძე, ლ. გაბუნია
**გაძევება:** ნ. გუშარაშვილი
**არბიტრი:** გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

### სქური-იმერეთი 0:1

23.08. წალენჯიხა. „ს. კვარაცხელია". 300 მაყურებელი
**0:1 ბ. ჩხეტიანი (16)**

**სქური:** ნ. ჯოლოგუა, ჯ. ყურუა, შ. გაბუნია, ი. ფაცაცია, ზ. მოლაშხია, ბ. სვანიძე, ლ. გაბუნია, ლ. ბოჯგუა, გ. სართანია (60. გ. კვირკვია), ა. მიქენაია (61. გ. შელია), გ. ჭკუასელი.
**სათადარიგოები:** ტ. ხარჩილავა, ზ. ღარიბაშვილი, ა. სოხინი, გ. წურწუმია, ზ. გახარია
**მწვრთნელი:** ნ. ბოჯგუა
**იმერეთი:** ს. მეძველია, დ. ხაბურძანია (46. რ. კეჭაყმაძე), გ. ხელაძე, ლ. გაჩეჩილაძე, ვ. ბრეგაძე, რ. კაშია, გ. გოდერიძე, ბ. ჩხეტიანი, დ. კუხალაშვილი (84. დ. სულაბერიძე), თ. დანელია, ნ. ჩიხლაძე
**სათადარიგოები:** გ. ნიქაბაძე, დ. გოდერიძე, კ. ქუთათელაძე, გ. გენძეხაძე, ნ. ჩაჩიბაია
**მწვრთნელი:** დ. ჭელიძე
**გაფრთხილება:** კ. ყურუა; ვ. ბრეგაძე, ლ. გაჩეჩილაძე
**არბიტრი:** ზ. ასკაროღლი (ქარელი)

### სამგურალი-ნ. დინამო 0:0

23.08. წყალტუბო. „26 მაისი". 500 მაყურებელი

**სამგურალი:** დ. მემანიშვილი, ნ. უგრეხელიძე, ბ. ხაჭიპერაძე, ბ. ბიბილაშვილი, კ. ძაგანია, ხ. უგრეხელიძე, გ. გედენიძე, თ. შეყრილაძე (53. ზ. ჩიხლაძე), ლ. ცხადაძე (79. გ. ბუხაიძე), ზ. ქუთათელაძე (62. ზ. კუხალაშვილი), რ. კვერნაძე
**სათადარიგოები:** ლ. გორდეზიანი, გ. გორგოძე, ი. შალიკაშვილი, რ. ჩიხლაძე
**მწვრთნელი:** გ. გოგიაშვილი
**ნ. დინამო:** ა. ბილიხოძე, გ. ლომიძე, გ. ქვარაია, გ. თანიაშვილი, ზ. კვარაცხელია (46. ლ. ელიზბარაშვილი), ვ. ჭანტურიშვილი, გ. ჩუბინიძე (88. ზ. ქარდავა), ი. ქავთარაძე (39. ბ. ბეროშვილი), ა. ჩუენსუ, გ. ოქრუაშვილი, ი. ჩახვაშვილი
**სათადარიგოები:** მ. ნონოსი, ბ. შუბითიძე
**მწვრთნელი:** ვ. კაკაშვილი
**გაფრთხილება:** გ. გედენიძე; გ. თანიაშვილი, ი. ჩახვაშვილი
**არბიტრი:** თ. ხუჭუა (სამტრედია)

### ჩხერიმელა-დინამო 0:2

22.08. ხარაგაული. ცენტრალური. 500 მაყურებელი
**0:1 ლ. გაბრიჭიძე (45),**
**0:2 ნ. დიასამიძე (86)**

**ჩხერიმელა:** ი. კუჭუხიძე, ლ. მახარაძე, დ. ბერუაშვილი, ო. გიორგობიანი, გ. ჭაავა, ი. ჭანკვეტაძე, ა. დოლონაძე, გ. ზაქარაშვილი, ლ. კირკიტაძე, დ. კოსტავა, გ. ბოხუა.
**სათადარიგოები:** მ. ლომსაძე, გ. თურმანიძე, ბ. ახალაია, ა. ქამაკაშვილი, ი. გვარჯალაძე, ლ. გუმბერიძე, ჯ. არევაძე
**მწვრთნელი:** მ. ხუნდაძე
**დინამო:** შ. მამინაშვილი, მ. ფარტენაძე, ნ. ხუხია, ა. ბაჯელიძე, კ. მაკარიანი, მ. ჟვანია (69. ნ. დიასამიძე), ზ. ლობჟანიძე, ა. მუჯირი, თ. ბერიძე (59. ა. ბაციკაძე), დ. სამსეიშვილი, ლ. გაბრიჭიძე (88. მ. ჯორბენაძე)
**სათადარიგოები:** ლ. კაკალაძე, ლ. რამიშვილი, ნ. ნასუაშვილი, ვ. თევდორაძე
**მწვრთნელი:** ი. ნასუაშვილი
**გაფრთხილება:** ო. გიორგობიანი, დ. კოსტავა; ლ. გაბრიჭიძე
**არბიტრი:** დ. ხარიტონაშვილი (თბილისი)

### სტუ-მერცხალი 2:2

23.08. თბილისი. „შატილი". 100 მაყურებელი
**0:1 თ. ვარდუაშვილი (22),**
**1:1 ლ. ჯიქიძე (59), 2:1 ა. ლალაძე**
**(89, პენალტით), 2:2 გ. ტყეშელაშვილი (94)**

**სტუ:** ა. აბულაძე, ლ. თვალავაძე, გ. კვახაძე, ნ. მაღრაძე, ზ. ჭავჭავაძე, ა. ლალაძე, ლ. საბაძე (92. ა. ლეჟავა), გ. ბიბილეიშვილი (75. ჯ კოლუა), ნ. მახვილაძე (85. ლ. ციკოლია), ლ. ცხოიძე, ლ. ჯიქიძე
**სათადარიგოები:** ლ. მეფარიძე, გ. სიჭინავა, ნ. ბინკინაშვილი, ზ. შერაზადიშვილი
**მწვრთნელი:** გ. ჟორჟოლიანი
**მერცხალი:** გ. გოგუა, ზ. ტულუში, სერგო გ. ჩიგოგიძე, სერგო ვ. ჩიგოგიძე, მ. ქობულაძე, ვ. კურტანიძე (46. დ. აფრიდონიძე, 54. ი. ბაჯელიძე), ლ. ათუაშვილი, თ. ვარდუაშვილი, თ. ჩხატარაშვილი (40. ზ. ხურციძე), ლ. კალანდაძე, გ. ტყეშელაშვილი
**სათადარიგოები:** რ. ქურუსიძე, გ. გოგუა, ლ. კოტრიკაძე
**მწვრთნელი:** ხ. ჩხატარაშვილი
**გაფრთხილება:** ვ. ვარდუაშვილი, გ. ტყეშელაშვილი
**არბიტრი:** გ. ყრუაშვილი (თბილისი)

### სამტრედია-მესხეთი 2:0

23.08. სამტრედია „ე. მანჯგალაძე". 300 მაყურებელი
**0:1, 0:2 ი. ცნობილაძე (55, 86)**

**სამტრედია:** ი. შენგელია, რ. ნინუა, ლ. ხაჭიპურიძე (46. გ. პერტია), ზ. მიქელთაძე, ა. გუბელაძე, შ. კერძევაძე, ს. ლეჟავა (გ. რუხაძე), ი. ხვადაგიანი, დ. ჩხიკვაძე, ბ. ახობაძე (56. კ. ბროლაძე), პ. შათირიშვილი.
**სათადარიგოები:** გ. ბანძავა, ს. მიქაძე, ბ. შარვაშიძე, ა. თელია
**მწვრთნელი:** კ. მიქაძე
**მესხეთი:** გ. ძამუნაშვილი, დ. ხანიშვილი, კ. ხანიშვილი, დ. ლეკიშვლი, მ. ლეკიშვილი, მ. მურმანიშვილი, გ. წინამძღვრიშვილი (64. ზ. სუდაძე), ზ. ბარძიმაძე, ო. დარჩია, დ. ინასარიძე (73. დ. ტლაშაძე), ი. ცნობილაძე (88. გ. ქურდაძე)
**სათადარიგოები:** ლ. ოქრომელიძე, გ. მურადაშვილი
**მწვრთნელი:** პ. გოგოლაძე
**გაფრთხილება:** კ. ხანიშვილი
**არბიტრი:** კ. ჭაჭუა (ქუთაისი)

### კოლხეთი (ხ)-ჭიათურა 1:1

23.08. ხობი. ცენტრალური. 500 მაყურებელი
**0:1 ზ. ხაჭიპერაძე (7), 1:1 ც. ბუკია (70)**

**კოლხეთი:** დ. ხარძეიშვილი, ვ. ფირცხალავა (46. ლ. ჩაჩიბაია), გ. გოგენია, ლ. გოგენია, ო. ფიფია, ი. კუტალია (79. კ. ალანია), მ. ბესარაშვილი (46. გ. ლომაია), ლ. მეფიშვილი, მ. ჭკადუა, ც. ბუკია, პ. ბაკარანძე
**სათადარიგოები:** ზ. გელაშვილი, ბ. ბუკია, გ. ქირია, დ. ნარსია
**მწვრთნელი:** კ. ხურცილავა
**ჭიათურა:** გ. ბადურაშვილი, გ. ქირია, ლ. ცუცქირიძე, გ. ბრეგვაძე, ნ. გაფრინდაშვილ ი. ტყებუჩავა, ზ. ნოზაძე, დ. ქირია, ო. გაგნიძე (74. ბ. ჭუმბურიძე), დ. სევასტოპულო, ზ. ხაჭიპერაძე
**სათადარიგოები:** ზ. ჯაფარიძე, გ. სამყურაშვილი, გ. მეცხოვრიშვილი, ლ. კუჭაშვილი
**მწვრთნელი:** მ. კიპაროიძე
**გაფრთხილება:** ვ. ფირცხალავა, პ. ბაკარანძე; დ. ქირია, გ. ბრეგვაძე, ზ. ნოზაძე
**არბიტრი:** მ. ურუშაძე (თბილისი)

### ადელი-გურია 0:0

23.08. ბათუმი. ადელი. 200 მაყურებელი

**ადელი:** თ. ცინცაბაძე, გ. ზოიძე (65. ს. მამისეიშვილი), გ. ხაჩიძე, ს. კახიძე, ვ. ხიდაშელი, ჯ. მერაბიშვილი, მ. ფუტკარაძე, ა. ლორია, ა. აბუსერიძე, დ. ჯალაღანია, გ. სირაბიძე (46. ლ. მამეიშვილი)
**სათადარიგოები:** გ. დევაძე, ა. დევაძე, ნ. დავითაძე, ი. ლოლობერიძე, გ. თურმანიძე
**მწვრთნელი:** გ. ჯორბენაძე
**გურია:** დ. კეკელიძე, ზ. რაზმაძე (74. ლ. კობახიძე), ა. დვალიშვილი, რ. კუკულაძე, გ. ნათენაძე, ჯ. გოგიბერიძე (83. გ. შენირული), გ. მელქაძე, ი. კილაძე, ტ. კუკულაძე, ი. დეისაძე, გ. კვერენჩხილაძე
**სათადარიგოები:** მ. გოგუაძე, ს. ფირცხალაიშვილი, ლ. რუსიეშვილი, ნ. ებრალიძე
**მწვრთნელი:** გ. იმნაძე
**გაფრთხილება:** ა. აბუსერიძე, ლ. მამეიშვილი, მ. ფუტკარაძე; ი. დეისაძე
**არბიტრი:** ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

### აეტი-ზოოვეტი 1:2

24.08. თბილისი. შატილი. 200 მაყურებელი
**0:1 თ. მოსიაშვილი (63),**
**1:1 ლ. არაყიშვილი (78), 1:2 ზ. ტიელიძე (85)**

**აეტი:** ლ. ეზიეშვილი, თ. მეტრეველი (29. გ. ყულიჯანიშვილი), დ. ლობჟანიძე, გ. ნიჟარაძე, ლ. ჯობავა, ლ. ბიწაძე, დ. როსტობაია, გ. ვასაძე (50. ნ. მამრაში), ლ. არაყიშვილი, ლ. გაბელაია (41. გ. ჯაჭვლიანი)
**სათადარიგოები:** ლ. ჩიქოვანი, გ. მალაზონია, გ. გაბელაია, გ. ბაკურაძე
**მწვრთნელი:** ო. სოხაძე
**ზოოვეტი:** მ. ძიძიგური, თ. ჯიმშელეიშვილი, ი. ალასანია, შ. გალეგაშვილი, შ. ფარულავა, ლ. ლობჟანიძე, უ. მამულაშვილი (81. ი. ჯოჯიშვილი), თ. მოსიაშვილი, ზ. ტიელიძე, ი. სვანიძე (90. ი. მღებრიშვილი), გ. კუხალაშვილი (57. გ. ხუციშვილი)
**სათადარიგოები:** ს. ლორთქიფანიძე, თ. კოჩაძე, მ. ბაბაიანი
**მწვრთნელი:** ჯ. გუგუშვილი
**არბიტრი:** ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**ლოკომოტივი-ჭიათურა (გადაიდო)**

### მომდევნო ტური. 29 აგვისტო

**დინამო (ბ)-ჭიათურა**
**მეშახტე-კოლხეთი (ხ)**
**მერცხალი-სამტრედია**
**ჩხერიმელა-სტუ**
**იმერეთი-გურია**
**ნ. დინამო-ადელი**
**სულორი-სამგურალი**
**ზოოვეტი-ჩიხურა**
**სქური-აეტი**
**მესხეთი-ლოკომოტივი (გადაიდო)**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● არსენალი

# არსენალის ყოფილი ვარსკვლავის შეტევა

24 წლის ფრანგმა ნახევარმცველმა, **სამირ ნასრიმ,** რომელიც რამდენიმე დღის წინ „არსენალიდან“ „მანჩესტერ სიტიში“ გადავიდა, თავის ყოფილ გუნდზე მწარე-მწარეების ლაპარაკი დაიწყო. ის ამტკიცებს, რომ „მეთოფეები“ უამბიციონი არიან და მიზნის მისაღწევად მონდომებაც აკლიათ. შეგახსენებთ, რომ ნასრიში ისტლენდელებმა „არსენალს“ 24 მილიონი ფუნტი გადაუხადეს.

ინგლისური გაზეთები ხუმრობენ, როგორც კი ფრანგი ნახევარმცველი მანქანაში ჩაჯდა და ლონდონიდან მანჩესტერისკენ მიმავალ ტრასაზე გავიდა, იმ წუთას თავისი ყოფილი გუნდის კრიტიკას შეუდგაო — ეტყობა, ყელში ჰქონდა მოწოლილი და „ეტიჰედ სთედიუმამდეც“ ვერ მოითმინა. ნასრიმ თქვა:

*„კონტრაქტის გახანგრძლივებაზე „არსენალს“ თავად დავუწყე ლაპარაკი. ეს ჯერ კიდევ შარშან, ოქტომბერში მოხდა, მაგრამ თვე თვეს მოსდევდა, ხოლო, როდესაც ივნისი დადგა, დავინახე, რომ არც პასუხს მცემს ვინმე და არც გუნდის ახალი ფეხბურთელებით გასაძლიერებლად ადებენ თითს თითზე. ნებისმიერი კლუბის ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც ინვესტიციის ჩადებაა საჭირო, მე კი დროგამოშვებით მესმოდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ „არსენალს“ ფული არ აქვს.*

*რასაკვირველია, „მანჩესტერ სიტიში“ გაცილებით დიდი ხელფასი დამინიშნეს და იმის თქმა, რომ აქ უკეთესი ცხოვრება მექნება, სამართლიანია, მაგრამ მთავარი მაინც სხვა რამ გახლავთ: 24 წლისამ ვიგრძენი, რომ დროა კარიერაში ახალი ნაბიჯი გადავდგა. სწორედ ახლა იყო მნიშვნელოვანი ისეთ კლუბში გადასვლა, რომელიც ჩემს ამბიციებს შეესაბამება და ტიტულების მოპოვებაში დამეხმარება. ვფიქრობ, „სიტის“ შემადგენლობაში ჯილდოების მოგების გაცილებით უკეთესი შანსი მაქვს, ვიდრე „არსენალში“ დარჩენის შემთხვევაში მექნებოდა“.*

სხვათა შორის, ნასრიმ ისიც აღიარა, რომ „ემირეით სთედიუმზე“ საკუთარ თავს ძალას აღარ ატანდა და ადრინდელი მონდომებით აღარ ვარჯიშობდა, რადგან კონკურენციას ვერ გრძნობდა.

*„ჩემს ახალ გუნდს უძლიერესი შემადგენლობა ჰყავს, სადაც ძირითადი შემადგენლობის თითოეული პოზიციისთვის დიდი ბრძოლა მიმდინარეობს. „სიტიში“ იძულებული ვიქნები ჩემი დონე დავხვეწო და ადგილი დავიმკვიდრო. აქ, კომფორტულ ადგილას ვერ მოვკალათდები. ამას „არსენალში“ ვაკეთებდი, რადგან საშუალება მქონდა. ამიტომ, „სიტიში“ გადასვლა ჩემთვის, რასაკვირველია, რისკთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ადამიანმა ცხოვრებაში ხანდახან უნდა გარისკო კიდეც. კონკურენციის ნამდვილად არ მეშინია. სანამ მანჩესტერელებს მათთან გადასვლაზე თანხმობას ვეტყოდი, ყველაფერი ავწონ-დავწონე“.*

გეხსომებათ, ამ ზაფხულში ბევრს ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ ნასრის „მანჩესტერ იუნაიტედშიც“ შეეძლო გადასვლა. ნასრი ამბობს, რომ ეს მართლაც დიდი არჩევანი იქნებოდა, მაგრამ... სერ **ალექს ფერგიუსონს** მის თაობაზე არავისთვის მიუმართავს.

*„ინგლისიდან არსად წამსვლელი რომ არ ვიყავი, იმთავითვე ცხადი იყო. საკითხი ასე იდგა: „იუნაიტედი“ თუ „სიტი“. თუმცა, ამ შემთხვევაშიც უპირატესობას „სიტის“ ვანიჭებდი, რადგან მირჩევნია კლუბის ისტორიის შექმნაში მივიღო მონაწილეობა, ვიდრე უკვე არსებულ სისტემაში მრავალთა შორის ერთ-ერთი გავხდე. მე პატრიკ ვიეირას ველაპარაკე. მან მითხრა, რომ „მანჩესტერ სიტი“ მომავლის კლუბია. მოკლედ, ჩემი ტრანსფერი ნამდვილი საგა გამოვიდა და ბედნიერი ვარ, საბოლოოდ ყველაფერი კარგად რომ დასრულდა“.*

დაბოლოს, ნასრიმ „არსენალის“ მწვრთნელის, **არსენ ვენგერისადმი** გამოხატა დიდი სიყვარული და პატივისცემა. ფეხბურთელმა თქვა:

*„არსენის წინაშე დიდ ვალში ვარ. ნაკრების დონის ფეხბურთელი რომ გავხდი, მისი დამსახურებაა. დღეს თუ რამე შემიძლია, მისი წყალობითაა და ამისათვის მთელი ცხოვრება მადლობელი ვიქნები. მან იცის რასაც აკეთებს. ვენგერი საოცარი ადამიანია და უდიდეს პატივისცემას იმსახურებს“.*


სამირ ნასრი

**ილია ბაბუნაშვილი**

● ტოტენჰემი

# მოდრიჩის ბრძოლის დასასრული


ლუკა მოდრიჩი

„ტოტენჰემ ჰოთსპურის“ მწვრთნელმა, **ჰარი რედნაპმა** განაცხადა, რომ ბრძოლა 25 წლის ხორვატი გამთამაშებლის, **ლუკა მოდრიჩისთვის** დასრულებულია. მოგეხსენებათ, მოდრიჩმა ხუთშაბათს ევროლიგის შეხვედრა გამოტოვა, მაგრამ რედნაპის თქმით, ის „დეზების“ თავმჯდომარეს, **დენიელ ლივის** შეხვდა და მასთან საუბრის შემდეგ შეეგუა იმ აზრს, რომ ამ სეზონს „უაით ჰართ ლეინზე“ გაატარებს.

*„ვფიქრობ, ლუკას ამბავი უკვე გარკვეულია“* — უთხრა „სფურზის“ თავკაცმა ჟურნალისტებს. შეგახსენებთ, რომ ამ დღეებში ჩრდილოლონდონელებმა „მანჩესტერ სიტიდან“ **ემანუელ ადებაიორის** იჯარით გადაყვანის საკითხიც გაარკვიეს. „ტოტენჰემი“ აშკარად გაძლიერდა.

რედნაპმა დასძინა: *„მოდრიჩს ორთავა კუნთის ტკივილი აწუხებდა და რამდენიმე დღის განმავლობაში არც კი უვარჯიშია. იმედი მაქვს, რომ კვირამდე მოშუშდება და „მანჩესტერ სიტის“ წინააღმდეგ ითამაშებს. რამდენადაც ვიცი, ის და დენიელ ლივი ერთმანეთს შეხვდნენ და დენიელმა მას კიდევ ერთხელ გაუმეორა ის, რასაც აქამდე ეუბნებოდა — ჩვენ მას არ ვყიდით. ერთი სიტყვით, მგონი ყველაფერი კარგად დამთავრდა. მე ყველგან ვამბობ, რომ ლუკა მოდრიჩთან მუშაობა ძალიან მიყვარს, რადგან ის კარგი ფეხბურთელი და კარგი ადამიანია. მიუხედავად იმისა, რომ ეს ზაფხული მისთვის ურთულესი იყო, „ტოტენჰემისთვის“ ერთი წუთით არ შეუქმნია პრობლემა“.*

**ილია ბაბუნაშვილი**

● ჩელსი

# ალვარო პერეირას 30-წამიანი ამბავი

„ჩელსის“ მწვრთნელ **ანდრე ვილაშ-ბოაშს** თავისი ყოფილი კლუბიდან, „პორტუდან“ 25 წლის ურუგვაელი განაპირა მცველის, **ალვარო პერეირას** ყიდვა უნდა, მაგრამ პორტუგალიელები ძალიან ძვირს ითხოვენ. „ლურჯების“ შეთავაზება 15 მილიონი ფუნტი ანუ 17 მილიონი ევროა. ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი თავად ვილაშ-ბოაშმა გააკეთა:

*„ვადასტურებ, რომ „პორტუს“ პერეირას ყიდვის წინადადებით მივმართეთ, მაგრამ შეთანხმებასთან ძალიან შორს ვართ, რადგან ამ მცველის ფასზე მეტისმეტად განსხვავებული შეხედულებები გვაქვს. ურუგვაელი ძალიან კარგი ფეხბურთელია, მას თამაშზე ზემოქმედება ეხერხება, მაგრამ, ვიმეორებ, ტრანსფერზე ჯერჯერობით, ლაპარაკი ზედმეტია. საერთოდაც, ძალიან საეჭვოა, რომ ეს გარიგება შედგეს“.*

თავისებური, ექსცენტრული კომენტარი გაუკეთა ვაჭრობის ამბავს „პორტუს“ პრეზიდენტმა **ჟორჟე ნუნუ პინტა და კოშტამ:**

*„დიახ, პერეირასთან დაკავშირებით „ჩელსიმ“ წინადადებით მოგვმართა, მაგრამ მასზე უარის სათქმელად 30 წამიც მეყო. ყველა ფეხბურთელს კონტრაქტში გამოსასყიდი თანხა უწერია. ურუგვაელის ხელშეკრულებაში ჩვენ 30 მილიონი ევრო გვიწერია“.*


ალვარო პერეირა

**ილია ბაბუნაშვილი**

● ტრანსფერი

# ლუგანო პარიზელებს დარჩათ

თურქეთის ფეხბურთის ფედერაციისგან და უეფასგან შერისხული „ფენერბაჰჩე“ ერთიმეორის მიყოლებით კარგავს ლიდერებს. უცხოურმა კლუბებმა განსაკუთრებით დიდი ინტერესი ურუგვაის ნაკრების კაპიტან **დიეგო ლუგანოს** გამო გამოიჩინეს. ლუგანო დიდი ხანი ემსახურებოდა „ფენერბაჰჩეს“, მაგრამ დისკვალიფიკაციის შემდეგ მისი შენარჩუნება სტამბოლურმა გუნდმა ველარ შეძლო.

ყველას კი „პარი სენ ჟერმენმა“ აჯობა, თურქული მედია ამტკიცებს, რომ პარიზელები უკვე შეუთანხმდნენ „ფენერბაჰჩეს“ ხელმძღვანელობას და ურუგვაელის სანაცვლოდ 3 მილიონ ევროს გადაიხდიან. ლუგანო წელიწადში 3,5 მილიონ ევროს მიიღებს პსჟ-ში ანაზღაურების სახით. ურუგვაელი საფრანგეთში გაფრინდება, სადაც სამედიცინო შემოწმებას გაივლის და პსჟ-ის სრულუფლებიანი წევრი გახდება. ლუგანოს გადაბირება ისეთ კლუბებს უნდოდათ, როგორიც „იუვენტუსი“, „ჯენოა“ და „ლაციოა“. შეგახსენებთ, რომ ლუგანომ ახლახან ურუგვაის ნაკრებთან ერთად კოპა ამერიკა მოიგო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


დიეგო ლუგანო



უცხოური ფეხბურთი

● იტალია. სერია A 2011/2012 განაცხადები

# სრული გაურკვევლობა კალჩოში

## ფეხბურთელთა ასოციაცია ადასტურებს, რომ ჩემპიონატის სტარტი გადაიდო, ლეგა კალჩო – ჯერ არა

იტალიის ფეხბურთელთა ასოციაციის პრეზიდენტის, **დამიანო ტომაზის** განცხადებით, გადაწყვეტილი ამბავია, რომ სერია A-ს სტარტი გადაიდება და თანაც, გაურკვეველი ვადით. დიახ, თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, იტალიის ჩემპიონატის პირველი ტური ამ უქმეებზე არ შედგება და თუ როდის გაიმართება, ჯერჯერობით ამაზე მსჯელობა დროის ფუჭად კარგვაა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გთავაზობთ სერია A-ში მონაწილე 20-ვე გუნდის საჩემპიონატო განაცხადს. სანამ შემადგენლობებს გადახედავდეთ, ვითარებაში უკეთ გასარკვევად კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ ტომაზის, რომელმაც პრესასთან საგანგებო კომენტარი გააკეთა:

*"ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ ამ ზომამდე არ მივსულიყავით, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის. "ლეგა კალჩოს" მესვეურებს არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამთ გაფიცულთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რამაც უმძიმეს მსდგომარეობაში ჩაგვაგდო. გამორიცხულია, რომ ამ უქმეებზე ჩემპიონატმა სტარტი აიღოს – ეგ კი არა, შესაძლოა, კონფლიქტის დარეგულირებას თვეზე მეტიც კი დასჭირდეს. როდესაც სადავო საკითხების ნუსხას ვუყურებ, ვრწმუნდები, რომ მათ გადაჭრას კარგა გვარიანი დრო სჭირდება. ეს რეალობაა, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ".*

### ატალანტა

დაარსდა: 1907
სტადიონი: ატლეტი აძური

**მეკარეები**

| | |
|---|---|
| 47. ანდრეა კონსილი | 1987 |
| 78. ჯორჯო ფრეძოლინი | 1976 |

**მცველები**

| | |
|---|---|
| 3. სტეფანო ლუკინი | 1980 |
| 4. დანიელე კაპელი | 1986 |
| 5. ტომას მანფრედინი | 1980 |
| 6. ჯამპაოლო ბელინი | 1980 |
| 13. ფედერიკო პელუზო | 1984 |
| 25. ანდრეა მაზიელო | 1986 |
| 32. მიკელე ფერი | 1981 |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| 7. მატიას შელოტო | 1989 |
| 8. ოსვალდო ბარეტო (პარაგვაი) | 1984 |
| 10. ჯაკომო ბონავენტურა | 1989 |
| 11. მაქსი. მორალესი (არგენტინა) | 1987 |
| 20. კარლოს კარმონა (ჩილე) | 1987 |
| 22. სიმონე პადოინი | 1984 |
| 23. ლეონარდო პეტინარი | 1986 |
| 26. ფაბიო კაზერტა | 1978 |
| 27. კრისტიანო დონი | 1973 |
| 77. კრისტიან რაიმონდი | 1981 |
| 79. ფერეირა პინტუ (ბრაზილია) | 1979 |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
| 18. საშა ბელანოვიჩი (ხორვატია) | 1979 |
| 19. ხერმან დენისი (არგენტინა) | 1981 |
| 28. მანოლო გაბიადინი | 1991 |
| 63. მატეო არდემანი | 1987 |
| 89. გუიდო მარილუნგო | 1989 |
| 90. სიმონე ტირიბოკი | 1978 |

*მწვრთნელი: სტეფანო კოლანტუონო*

### ბოლონია

დაარსდა: 1909
სტადიონი: რენატო დალარა

**მეკარეები**

| | |
|---|---|
| 1. ჟან ჟილე (საფრანგეთი) | 1983 |
| 25. ფედერიკო ალიარდი | 1983 |
| 44. ფილიპო ლომბარდი | 1990 |

**მცველები**

| | |
|---|---|
| 3. არკიმედე მორლეო | 1983 |
| 5. მიკაელ ანტონსონი (შვედეთი) | 1981 |
| 8. გერგი გარიში (ავსტრია) | 1984 |
| 15. სიმონე ლორია | 1976 |
| 19. ლუიჯი ვიტალე | 1987 |
| 21. ნიკოლო ჩერუზინი | 1986 |
| 22. ჩეზარე დელ მარე | 1987 |
| 75. ანხელ კრისპო (ესპანეთი) | 1987 |
| 90. დანიელე პორტანოვა | 1978 |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| 4. რენე კრჰინი (სლოვენია) | 1990 |
| 6. საფირ ტაიდერი (საფრანგეთი) | 1992 |
| 7. ფრანსისკო დელა როკა | 1987 |
| 13. ნიკო პულცეტი | 1984 |
| 14. ანდრეა პიზანო | 1982 |
| 15. დიეგო პერესი (ურუგვაი) | 1980 |
| 16. ფედერიკო კაზარინი | 1989 |
| 26. გაბი მუდინგაი (ბელგია) | 1981 |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
| 9. მარკო დი ვაიო | 1976 |
| 10. გასტონ რამირესი (ურუგვაი) | 1990 |
| 11. მანუელ გავილანი | 1991 |
| 17. დანიელე ვანტაჯატო | 1984 |
| 20. მარტინ როდრიგესი (ურუგვაი) | 1991 |
| 23. ალესანდრო დიამანტი | 1983 |
| 35. დანიელე პაპონი | 1988 |
| 53. რიკარდო პაზი | 1990 |
| 88. მასიმო კოდა | 1988 |
| 99. როზერტ აკვაფრესკა | 1987 |

*მწვრთნელი: პიერპაოლო ბიზოლი*

### კალიარი

დაარსდა: 1920
სტადიონი: სანტ ელია

**მეკარეები**

| | |
|---|---|
| 1. მიკელე აგაცი | 1984 |
| 12. მაურო რუძიტო | 1991 |
| 25. ვლადა ავრამოვი (სერბეთი) | 1979 |

**მცველები**

| | |
|---|---|
| 2. მიკელე გოცი | 1986 |
| 3. ლორენცო არიუდო | 1989 |
| 6. ნიკოლა მურუ | 1994 |
| 13. დავიდე ასტორი | 1987 |
| 14. ფრანჩესკო პიზანო | 1986 |
| 21. მიკელე კანინი | 1985 |
| 24. გაბრიელე პერიკო | 1984 |
| 26. პაოლო დამეტო | 1993 |
| 31. ალესანდრო აგოსტინი | 1979 |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| 5. დანიელე კონტი | 1979 |
| 7. ანდრეა კოსუ | 1980 |
| 8. ალეძს პინარდი | 1980 |
| 18. დავიდე ბიონდინი | 1983 |
| 22. მარკო მაკოსუ | 1988 |
| 28. რაჯა ნაინგოლანი (ბელგია) | 1988 |
| 32. პაოლო კაპელინი (ურუგვაი) | 1991 |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
*08.10.1995 სლოვაკეთი-საქართველო*

3-6. ნიკა ცქიტიშვილი - 15
*26.08.2010 პორტუგალია-საქართველო*

**პასი**

1. ლაშა გამყრელიძე - 11
*10.09.2005 საქართველო-ლუქსემბურგი*

2-3. შემონდ უილიამსი - 10
*11.09.2004 საქართველო-ფინეთი*

2-3. გიორგი ცინცაძე - 10
*19.08.2009 საქართველო-ირლანდია*

**ჩაჭრა**

1. ვლადიმერ სტეფანია - 9
*11.10.1995 საქართველო-ბოსნია*

2-3. შემონდ უილიამსი - 6
*18.09.2004 ლუქსემბურგი-საქართველო*

2-3. არჩილ ჟღენტი - 6
*28.11.1998 საქართველო-შვედეთი*

**დაფარება**

1-2. ნიკა ცქიტიშვილი - 6
*09.06.2001 აზერბაიჯანი-საქართველო*

1-2. ზაზა ფაჩულია - 6
*02.09.2007 საქართველო-ფინეთი*

3-4. ზაზა ფაჩულია - 4
*29.08.2007 ისლანდია-საქართველო*
*19.08.2009 საქართველო-ირლანდია*

3-4. ნიკა ცქიტიშვილი - 4
*03.09.2005 ფინეთი-საქართველო*

**წუთი**

1. ვახტანგ ნაცვლიშვილი - 45
*25.05.97 ავსტრია-საქართველო*
2-6. ზაზა ფაჩულია - 40
2-6. ვახტანგ ნაცვლიშვილი - 40
2-6. შემონდ უილიამსი (სამჯერ) - 40
2-6. მანუჩარ მარკოიშვილი - 40
2-6. გიორგი ცინცაძე - 40

**ჯამი**

**ქულა**

1. ზაზა ფაჩულია - 731
2. ვახტანგ ნაცვლიშვილი - 595
3. ვლადიმერ ბოისა - 424

**მოხსნა**

1. ზაზა ფაჩულია - 382
2. ვახტანგ ნაცვლიშვილი - 271
3. ვლადიმერ ბოისა - 170

**პასი**

1. გიორგი ცინცაძე - 95
2. ლაშა გამყრელიძე - 64
ტაირონ ელისი - 54

**ჩაჭრა**

1. ზაზა ფაჩულია - 62
2. ვახტანგ ნაცვლიშვილი - 48
3. ვლადიმერ ბოისა - 33

**დაფარება**

1. ზაზა ფაჩულია - 42
2. ნიკა ცქიტიშვილი - 25
3. ვიქტორ სანიკიძე - 23

**წუთი**

1. ზაზა ფაჩულია - 1228
2. ვახტანგ ნაცვლიშვილი - 1024
3. ვლადიმერ ბოისა - 966

**საშუალოდ**

**ქულა**

1. შემონდ უილიამსი - 20.0
2. ზაზა ფაჩულია - 17.4
3. ვლადიმერ სტეფანია - 15.3

**მოხსნა**

1. ზაზა ფაჩულია - 9.1
2. სანიკიძე - 9.0
3 სტეფანია - 8.2

**პასი**

1. შემონდ უილიამსი - 7.4
2. გიორგი ცინცაძე - 3.0
3. დავით უსტიაშვილი - 3.0

**ჩაჭრა**

1-2. პაატა გურასპაული - 2.4
1-2. შემონდ უილიამსი - 2.4
3-5. მამუკა აბრამიძე - 1.7
3-5. ვლადიმერ სტეფანია - 1.7
3-5. ტაირონ ელისი - 1.7

**დაფარება**

1. ზაზა ფაჩულია - 1.0
2. ვიქტორ სანიკიძე - 0.9
3. ნიკა ცქიტიშვილი - 0.6

**წუთი**

1. შემონდ უილიამსი - 39.4
2. ტაირონ ელისი - 32.0
3-4. ზაზა ფაჩულია - 29.2
3-4. ვიქტორ სანიკიძე - 29.2




| | თ | წთ | 2ქ | 3ქ | 1ქ | მ. სკ | მხ. მტ | სულ | პ | ფ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | 42 | 1228 | 243/484 | 1/5 | 245/389 | 142 | 240 | 382 | 61 | 129 | 131 | 62 | 42 | 731 |
| საშუალოდ (%) | | 29.2 | 50.2 | 20.0 | 63.0 | 3.4 | 5.7 | 9.1 | 1.5 | 3.1 | 3.1 | 1.5 | 1.0 | 17.4 |
| ნიკა ცქიტიშვილი | 42 | 845 | 83/152 | 40/122 | 49/71 | 50 | 129 | 179 | 20 | 72 | 42 | 25 | 25 | 335 |
| საშუალოდ (%) | | 20.1 | 54.6 | 32.8 | 69.0 | 1.2 | 3.1 | 4.3 | 0.5 | 1.7 | 1.0 | 0.6 | 0.6 | 8.0 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | 40 | 1024 | 192/387 | 5/26 | 196/307 | 99 | 172 | 271 | 33 | 140 | 103 | 48 | 8 | 595 |
| საშუალოდ (%) | | 25.6 | 49.6 | 19.2 | 63.8 | 2.5 | 4.3 | 6.8 | 0.8 | 3.5 | 2.6 | 1.2 | 0.2 | 14.9 |
| ვლადიმერ ბოისა | 37 | 966 | 97/180 | 39/124 | 113/162 | 84 | 86 | 170 | 37 | 98 | 59 | 33 | 4 | 424 |
| საშუალოდ (%) | | 26.1 | 53.8 | 31.5 | 69.8 | 2.3 | 2.3 | 4.6 | 1.0 | 2.6 | 1.6 | 0.9 | 0.1 | 11.5 |
| რეზო ჩხეიძე | 33 | 736 | 60/115 | 10/32 | 50/86 | 28 | 40 | 68 | 33 | 84 | 49 | 27 | 0 | 200 |
| საშუალოდ (%) | | 22.3 | 52.2 | 31.3 | 58.1 | 0.8 | 1.2 | 2.1 | 1.0 | 2.5 | 1.5 | 0.8 | 0.0 | 6.1 |
| გიორგი ცინცაძე | 32 | 774 | 49/94 | 25/99 | 32/46 | 9 | 76 | 85 | 95 | 76 | 79 | 38 | 3 | 206 |
| საშუალოდ (%) | | 24.2 | 52.1 | 25.3 | 69.6 | 0.3 | 2.4 | 2.7 | 3.0 | 2.4 | 2.5 | 1.2 | 0.1 | 6.4 |
| ლაშა გამყრელიძე | 30 | 454 | 15/39 | 8/34 | 24/42 | 11 | 35 | 46 | 64 | 50 | 35 | 22 | 4 | 78 |
| საშუალოდ (%) | | 15.1 | 38.5 | 23.5 | 57.1 | 0.4 | 1.2 | 1.6 | 2.1 | 1.7 | 1.2 | 0.7 | 0.1 | 2.6 |
| ვიქტორ სანიკიძე | 25 | 729 | 101/148 | 26/66 | 45/65 | 53 | 171 | 224 | 45 | 53 | 31 | 30 | 23 | 325 |
| საშუალოდ (%) | | 29.2 | 68.2 | 39.4 | 69.2 | 2.1 | 6.8 | 9.0 | 1.8 | 2.1 | 1.2 | 1.2 | 0.9 | 13.0 |
| ირაკლი ხოშტარია | 22 | 423 | 37/84 | 10/47 | 18/33 | 7 | 15 | 22 | 18 | 48 | 19 | 17 | 0 | 122 |
| საშუალოდ (%) | | 19.2 | 44.0 | 21.7 | 54.5 | 0.3 | 0.7 | 1.0 | 0.8 | 2.2 | 0.9 | 0.8 | 0.0 | 5.5 |
| დავით ბერძენიშვილი | 22 | 267 | 41/74 | 0/0 | 26/36 | 33 | 21 | 54 | 3 | 57 | 15 | 4 | 0 | 108 |
| საშუალოდ (%) | | 12.1 | 55.4 | 0.0 | 72.2 | 1.5 | 0.9 | 2.5 | 0.1 | 2.6 | 0.7 | 0.2 | 0.0 | 4.9 |
| გიორგი შერმადინი | 21 | 172 | 27/52 | 0/0 | 22/33 | 25 | 31 | 56 | 2 | 23 | 13 | 2 | 7 | 96 |
| საშუალოდ (%) | | 8.2 | 51.9 | 0.0 | 66.7 | 1.2 | 1.5 | 2.7 | 0.1 | 1.1 | 0.6 | 0.1 | 0.3 | 4.6 |
| ანატოლი ბოისა | 21 | 211 | 5/16 | 1/14 | 7/11 | 7 | 15 | 22 | 13 | 42 | 12 | 6 | 3 | 20 |
| საშუალოდ (%) | | 10.0 | 31.3 | 7.1 | 63.6 | 0.3 | 0.7 | 1.0 | 0.6 | 2.0 | 0.6 | 0.3 | 0.1 | 1.0 |
| გია სანაძე | 20 | 481 | 23/51 | 48/125 | 30/36 | 3 | 32 | 35 | 16 | 53 | 17 | 23 | 0 | 220 |
| საშუალოდ (%) | | 24.1 | 45.1 | 38.4 | 83.3 | 0.2 | 1.6 | 1.8 | 0.8 | 2.7 | 0.9 | 1.2 | 0.0 | 11.0 |
| ვლადიმერ სტეფანია | 19 | 546 | 101/170 | 7/25 | 68/108 | 41 | 114 | 155 | 20 | 51 | 54 | 32 | 0 | 291 |
| საშუალოდ (%) | | 28.7 | 59.4 | 28.0 | 63.0 | 2.2 | 6.0 | 8.2 | 1.1 | 2.7 | 2.8 | 1.7 | 0.0 | 15.3 |
| ვლადიმერ ბეჟანიშვილი | 19 | 331 | 21/47 | 10/27 | 17/26 | 23 | 36 | 59 | 21 | 42 | 14 | 9 | 0 | 89 |
| საშუალოდ (%) | | 17.4 | 44.7 | 37.0 | 65.4 | 1.2 | 1.9 | 3.1 | 1.1 | 2.2 | 0.7 | 0.5 | 0.0 | 4.7 |
| დავით თორთლაძე | 19 | 418 | 15/39 | 14/48 | 11/16 | 5 | 22 | 27 | 27 | 23 | 38 | 16 | 0 | 83 |
| საშუალოდ (%) | | 22.0 | 38.5 | 29.2 | 68.8 | 0.3 | 1.2 | 1.4 | 1.4 | 1.2 | 2.0 | 0.8 | 0.0 | 4.4 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | 19 | 522 | 35/78 | 38/88 | 36/44 | 19 | 39 | 58 | 33 | 48 | 24 | 21 | 4 | 220 |
| საშუალოდ (%) | | 27.5 | 44.9 | 43.2 | 81.8 | 1.0 | 2.1 | 3.1 | 1.7 | 2.5 | 1.3 | 1.1 | 0.2 | 11.6 |
| ტაირონ ელისი | 18 | 576 | 16/35 | 63/126 | 35/54 | 10 | 49 | 59 | 54 | 35 | 48 | 30 | 8 | 266 |
| საშუალოდ (%) | | 32.0 | 45.7 | 50.0 | 64.8 | 0.6 | 2.7 | 3.3 | 3.0 | 1.9 | 2.7 | 1.7 | 0.4 | 14.8 |
| ლევან ძარაბაკი | 18 | 417 | 60/112 | 5/18 | 59/82 | 27 | 46 | 73 | 6 | 47 | 25 | 11 | 0 | 194 |
| საშუალოდ (%) | | 23.2 | 53.6 | 27.8 | 72.0 | 1.5 | 2.6 | 4.1 | 0.3 | 2.6 | 1.4 | 1.6 | 0.0 | 10.8 |
| რამაზ ბოგობერიშვილი | 17 | 349 | 30/55 | 23/64 | 22/35 | 14 | 19 | 33 | 26 | 35 | 22 | 24 | 0 | 151 |
| საშუალოდ (%) | | 20.5 | 54.5 | 35.9 | 62.9 | 0.8 | 1.1 | 1.9 | 1.5 | 2.1 | 1.3 | 1.4 | 0.0 | 8.9 |
| არჩილ ჟღენტი | 17 | 356 | 22/45 | 7/32 | 38/58 | 4 | 12 | 16 | 27 | 37 | 23 | 28 | 0 | 103 |
| საშუალოდ (%) | | 21.0 | 48.9 | 21.9 | 65.5 | 0.2 | 0.7 | 0.9 | 1.6 | 2.2 | 1.4 | 1.6 | 0.0 | 6.1 |
| ირაკლი ჯაფარიძე | 16 | 264 | 36/74 | 8/27 | 19/31 | 17 | 27 | 44 | 1 | 43 | 24 | 8 | 0 | 115 |
| საშუალოდ (%) | | 16.5 | 48.6 | 29.6 | 61.3 | 1.1 | 1.7 | 2.8 | 0.1 | 2.7 | 1.5 | 0.5 | 0.0 | 7.2 |
| კოტე ტუღუში | 14 | 94 | 2/5 | 6/18 | 11/13 | 2 | 5 | 7 | 4 | 14 | 5 | 3 | 0 | 33 |
| საშუალოდ (%) | | 6.7 | 40.0 | 33.3 | 84.6 | 0.1 | 0.4 | 0.5 | 0.3 | 1.0 | 0.4 | 0.2 | 0.0 | 2.4 |
| ირაკლი ვაშაკიძე | 13 | 299 | 16/41 | 5/23 | 32/49 | 13 | 28 | 41 | 22 | 33 | 32 | 12 | 0 | 79 |
| საშუალოდ (%) | | 23.0 | 39.0 | 21.7 | 65.3 | 1.0 | 2.2 | 3.2 | 1.7 | 2.5 | 2.5 | 0.9 | 0.0 | 6.1 |
| თორნიკე შენგელია | 11 | 109 | 14/26 | 2/6 | 6/15 | 8 | 17 | 25 | 4 | 12 | 11 | 4 | 5 | 40 |
| საშუალოდ (%) | | 9.9 | 53.8 | 33.3 | 40.0 | 0.7 | 1.5 | 2.3 | 0.4 | 1.1 | 1.0 | 0.4 | 0.5 | 3.6 |
| ნიკოლოზ დერიუგინი | 10 | 251 | 37/63 | 1.1 | 45/63 | 16 | 27 | 43 | 14 | 25 | 26 | 3 | 0 | 122 |
| საშუალოდ (%) | | 25.1 | 58.7 | 100.0 | 71.4 | 1.6 | 2.7 | 4.3 | 1.4 | 2.5 | 2.6 | 0.3 | 0.0 | 12.2 |
| კახა შენგელია | 10 | 148 | 15/39 | 0/2 | 21/32 | 11 | 23 | 34 | 4 | 20 | 15 | 7 | 3 | 51 |
| საშუალოდ (%) | | 14.8 | 38.5 | 0.0 | 65.6 | 1.1 | 2.3 | 3.4 | 0.4 | 2.0 | 1.5 | 0.7 | 0.3 | 5.1 |
| დუდუ დადიანი | 10 | 103 | 4/14 | 4/12 | 6/11 | 5 | 4 | 9 | 4 | 25 | 8 | 6 | 0 | 26 |
| საშუალოდ (%) | | 10.3 | 28.6 | 33.3 | 54.5 | 0.5 | 0.4 | 0.9 | 0.4 | 2.5 | 0.8 | 0.6 | 0.0 | 2.6 |

| | თ | წთ | 2ქ | 3ქ | 1ქ | მ. სკ | მხ. მტ | სულ | პ | ფ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნუგზარ კოკოლიშვილი | 10 | 114 | 5/12 | 6/24 | 6/10 | 4 | 14 | 18 | 0 | 22 | 11 | 7 | 0 | 34 |
| საშუალოდ (%) | | 11.4 | 41.7 | 25.0 | 60.0 | 0.4 | 1.4 | 1.8 | 0.0 | 2.2 | 1.1 | 0.7 | 0.0 | 3.4 |
| მამუკა ტურაშვილი | 9 | 163 | 3/9 | 5/14 | 8/12 | 2 | 14 | 16 | 3 | 25 | 10 | 7 | 0 | 29 |
| საშუალოდ (%) | | 18.1 | 33.3 | 35.7 | 66.7 | 0.2 | 1.6 | 1.8 | 0.3 | 2.8 | 1.1 | 0.8 | 0.0 | 3.2 |
| მამუკა აბრამიძე | 9 | 242 | 16/28 | 5/33 | 7/17 | 5 | 9 | 14 | 16 | 20 | 23 | 15 | 0 | 54 |
| საშუალოდ (%) | | 26.9 | 57.1 | 15.2 | 41.2 | 0.6 | 1.0 | 1.6 | 1.8 | 2.2 | 2.6 | 1.7 | 0.0 | 6.0 |
| ტორინ ბრინი | 8 | 227 | 15/26 | 11/35 | 25/31 | 4 | 15 | 19 | 20 | 22 | 12 | 3 | 0 | 88 |
| საშუალოდ (%) | | 28.4 | 57.7 | 31.4 | 80.6 | 0.5 | 1.9 | 2.4 | 2.5 | 2.8 | 1.5 | 0.4 | 0.0 | 11.0 |
| მიხეილ კობეშავიძე | 8 | 143 | 10/26 | 8/23 | 9/14 | 1 | 1 | 2 | 4 | 15 | 6 | 4 | 0 | 53 |
| საშუალოდ (%) | | 17.9 | 38.5 | 34.8 | 64.3 | 0.1 | 0.1 | 0.2 | 0.5 | 1.9 | 0.8 | 0.5 | 0.0 | 6.6 |
| ირაკლი ბაძრაძე | 8 | 106 | 3/11 | 0/0 | 11/15 | 5 | 12 | 17 | 3 | 26 | 6 | 7 | 0 | 17 |
| საშუალოდ (%) | | 13.3 | 27.3 | 0.0 | 73.3 | 0.6 | 1.5 | 2.1 | 0.4 | 3.3 | 0.8 | 0.9 | 0.0 | 2.1 |
| დავით უგრეხელიძე | 7 | 56 | 8/18 | 0/0 | 0/2 | 7 | 10 | 17 | 2 | 7 | 7 | 1 | 1 | 16 |
| საშუალოდ (%) | | 8.0 | 44.4 | 0.0 | 0.0 | 1.0 | 1.4 | 2.4 | 0.3 | 1.0 | 1.0 | 0.1 | 0.1 | 2.3 |
| ვალერი კილაძე | 6 | 67 | 5/12 | 0.0 | 3/7 | 6 | 12 | 18 | 0 | 14 | 1 | 2 | 0 | 13 |
| საშუალოდ (%) | | 11.2 | 41.7 | 0.0 | 42.9 | 1.0 | 2.0 | 3.0 | 0.0 | 2.3 | 0.2 | 0.3 | 0.0 | 2.2 |
| შემონდ უილიამსი | 5 | 197 | 21/40 | 12/39 | 22/24 | 6 | 13 | 19 | 37 | 9 | 16 | 12 | 1 | 100 |
| საშუალოდ (%) | | 39.4 | 52.5 | 30.8 | 91.7 | 1.2 | 2.6 | 3.8 | 7.4 | 1.8 | 3.2 | 2.4 | 0.2 | 20.0 |
| პაატა გურასპაული | 5 | 121 | 6/10 | 7/16 | 2/4 | 3 | 6 | 9 | 10 | 7 | 7 | 12 | 0 | 35 |
| საშუალოდ (%) | | 24.2 | 60.0 | 43.8 | 50.0 | 0.6 | 1.2 | 1.8 | 2.0 | 1.4 | 1.4 | 2.4 | 0.0 | 7.0 |
| ირაკლი მაისურაძე | 5 | 76 | 5/13 | 2/9 | 4/6 | 0 | 2 | 2 | 3 | 16 | 9 | 2 | 0 | 20 |
| საშუალოდ (%) | | 15.2 | 38.5 | 22.2 | 66.7 | 0.0 | 0.4 | 0.4 | 0.6 | 3.2 | 1.8 | 0.4 | 0.0 | 4.0 |
| გიგი ნაცვლიშვილი | 5 | 33 | 2/5 | 0/0 | 5/7 | 3 | 3 | 6 | 1 | 5 | 1 | 1 | 0 | 9 |
| საშუალოდ (%) | | 6.6 | 40.0 | 0.0 | 71.4 | 0.6 | 0.6 | 1.2 | 0.2 | 1.0 | 0.2 | 0.2 | 0.0 | 1.8 |
| დავით უსტიაშვილი | 4 | 115 | 0/2 | 4/5 | 1/2 | 0 | 6 | 6 | 12 | 11 | 7 | 2 | 0 | 13 |
| საშუალოდ (%) | | 28.8 | 0.0 | 80.0 | 50.0 | 0.0 | 1.5 | 1.5 | 3.0 | 2.8 | 1.8 | 0.5 | 0.0 | 3.3 |
| ზიო ხეცურიანი | 4 | 50 | 1/4 | 0/6 | 2/4 | 0 | 3 | 3 | 3 | 9 | 0 | 3 | 0 | 4 |
| საშუალოდ (%) | | 12.5 | 25.0 | 0.0 | 50.0 | 0.0 | 0.8 | 0.8 | 0.8 | 2.3 | 0.0 | 0.8 | 0.0 | 1.0 |
| ვასილ ოთიურიძე | 3 | 71 | 10/14 | 1/4 | 5/5 | 4 | 2 | 6 | 2 | 7 | 4 | 3 | 0 | 28 |
| საშუალოდ (%) | | 23.6 | 71.4 | 24.0 | 100.0 | 1.3 | 0.7 | 2.0 | 0.7 | 2.3 | 1.3 | 1.0 | 0.0 | 9.3 |
| დავით მუშკუდიანი | 3 | 29 | 2/4 | 0/1 | 4/6 | 4 | 9 | 13 | 2 | 2 | 1 | 3 | 0 | 8 |
| საშუალოდ (%) | | 9.7 | 50.0 | 0.0 | 66.7 | 1.3 | 3.0 | 4.3 | 0.7 | 0.7 | 0.3 | 1.0 | 0.0 | 2.7 |
| ნიკა მეტრეველი | 2 | 6 | 1/2 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 |
| საშუალოდ (%) | | 3.0 | 50.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 1.0 |
| ზვიად ბაბიაშვილი | 2 | 14 | 5/8 | 0/1 | 4/6 | 2 | 3 | 5 | 0 | 1 | 2 | 1 | 0 | 14 |
| საშუალოდ (%) | | 7.0 | 62.5 | 0.0 | 66.7 | 1.0 | 1.5 | 2.5 | 0.0 | 0.5 | 1.0 | 0.5 | 0.0 | 7.0 |
| კახა ბარამიძე | 2 | 34 | 2/5 | 0/2 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7 | 2 | 1 | 0 | 4 |
| საშუალოდ (%) | | 17.0 | 40.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 3.5 | 1.0 | 0.5 | 0.0 | 2.0 |
| გიორგი გაგნიძე | 2 | 16 | 2/3 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 1 | 2 | 4 | 1 | 0 | 4 |
| საშუალოდ (%) | | 8.0 | 66.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.5 | 1.0 | 2.0 | 0.5 | 0.0 | 2.0 |
| ალეკო დავითულიანი | 2 | 20 | 2/7 | 0/0 | 0/1 | 1 | 1 | 2 | 2 | 10 | 6 | 1 | 0 | 4 |
| საშუალოდ (%) | | 10.0 | 28.6 | 0.0 | 0.0 | 0.5 | 0.5 | 1.0 | 1.0 | 5.0 | 3.0 | 0.5 | 0.0 | 2.0 |
| გიორგი მარკოიშვილი | 1 | 9 | 1/1 | 2/3 | 0/0 | 0 | 3 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 8 |
| საშუალოდ (%) | | 9.0 | 100.0 | 66.7 | 0.0 | 0.0 | 3.0 | 3.0 | 1.0 | 0.0 | 0.0 | 1.0 | 0.0 | 8.0 |
| გიორგი მარხვაშვილი | 1 | 20 | 2/2 | 0/1 | 2/2 | 1 | 4 | 5 | 0 | 1 | 2 | 0 | 0 | 6 |
| საშუალოდ (%) | | 20.0 | 100.0 | 0.0 | 100.0 | 1.0 | 4.0 | 5.0 | 0.0 | 1.0 | 2.0 | 0.0 | 0.0 | 6.0 |
| მიხეილ ბერიშვილი | 1 | 1 | 0/0 | 1/1 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 |
| საშუალოდ (%) | | 1.0 | 0.0 | 100.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 3.0 |
| დავით საყვარელიძე | 1 | 12 | 0/0 | 1/1 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 3 |
| საშუალოდ (%) | | 12.0 | 0.0 | 100.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 1.0 | 0.0 | 1.0 | 0.0 | 0.0 | 3.0 |
| გელა დარსაძე | 1 | 21 | 0/0 | 1/2 | 0/0 | 0 | 1 | 1 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 3 |
| საშუალოდ (%) | | 21.0 | 0.0 | 50.0 | 0.0 | 0.0 | 1.0 | 1.0 | 0.0 | 5.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 3.0 |
| გიორგი მდივანი | 1 | 3 | 1/1 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 2 |
| საშუალოდ (%) | | 3.0 | 100.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 1.0 | 0.0 | 1.0 | 0.0 | 0.0 | 2.0 |
| ირაკლი კეიდია | 1 | 3 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| საშუალოდ (%) | | 3.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 1.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

ძიუდო. მსოფლიოს პირველობა

# პარიზში ნაგება გვჯაბნის




საქართველოს ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრებს მორიგ კრახამდე ერთი ნაბიჯი აშორებს - დღესაც თუ ვერ მოიპოვა მედალი, ხვალ რაც უნდა ჰქნას გუნდურში, მსოფლიოს ჩემპიონატზე მისი გამოსვლა მაინც ვერ იქნება წარმატებული. გუნდური მედალიც კარგია, მაგრამ საოლიმპიადოდ მთავარი მაინც პირად პირველობაში ნაჩვენები ჭიდაობის ხარისხია, ამ მხრივ კი ჩვენები პარიზში ისე გამოიყურებიან მოყვარესთან ერთად, მტერსაც კი შეებრალება. ამ ფონზე გუნდურის მედალი იგივე იქნება, რაც სახრავი ძვალი. ვნახოთ, რას იზამენ ჩვენები დღეს, გუშინ კი ორივე ქართველმა კვლავაც ნაადრევად წააგო და მედალს ვინლა დაეძებს, სანუგეშო წრემდე ვერც ამჯერად მივიდნენ. არადა, **ვალერი ლიპარტელიანი** (90) ჭიდაობდა - კაცი, ვისაც თავის დროზე თვით ლეგენდარულმა **იამასიტამ** პირველივე ნახვისას ოლიმპიური ჩემპიონობა უწინასწარმეტყველა და ვისზეც ყველა განსაკუთრებულად დიდ იმედებს ამყარებდა. თუმცა მისი გუშინდელი ნაგება იქნებ მოულოდნელი არც იყო - წილისყრამ ხომ მისთვის უხერხული მეტოქე, მსოფლიოს შარშანდელი იაპონელი ვიცე-ჩემპიონი **დაიკი ნიშიამა** არგუნა. ისინი აქამდე კარიერაში სულ ორჯერ შეხვედროდნენ ერთმანეთს - შარშან და ორივეჯერ აზიელმა იმარჯვა. სხვათა შორის, შარშან ეს მეორედ მსოფლიოს პირველობაზე მოხდა, ოღონდ მაშინ - ნახევარფინალში. ბუნებრივია, ნებისმიერ, თუნდაც ყველაზე უსიამოვნო სტატისტიკას მისი დარღვევის რაღაც იმედი მაინც ახლავს ხოლმე და ამჯერადაც ამას ვიმედოვნებდით, მაგრამ, სამწუხაროდ, კვლავაც გაგრძელდა. თავს ნუ დავიმშვიდებთ იმით, რომ ქართველმა მინიმალური სხვაობით - იუკოთი წააგო. ფაქტი ულმობელია - ლიპარტელიანი ტურნირიდან გამოვარდა, იაპონელმა კი ვერცხლი მოიპოვა.

ლიპარტელიანზე ცოტა უკეთ გამოვიდა დებიუტანტი **ზვიად გოგოჭური** (90) - პირველ შეხვედრაში შვედი **იოაკიმ დვარბი** ვაზარ-იუკოთი დაამარცხა, მერე კი მის წინ კორეელი მსოფლიოს ჩემპიონი **კიუ-ვონ ლეე** აღიმართა. აქ აზიელის უპირატესობა შკარა იყო - ვაზარით მოიგო.

გუშინ მორიგი ტრიუმფი მოიწყო **ილიას ილიადისმა (ჯარჯი ზვიადაურმა)**, რომელიც მართლაც ბრწყინვალე მოჭიდავეა. ამაზე არაერთხელ დაგვიწერია და ახლა გვიანიცაა თავში ხელის ცემა, მაგრამ ესეც ერთი მაგალითია ქართული უთავბოლობის - ჩვენი ტალანტით სხვები სარგებლობენ. უზბეკ **რიშოდ სობიროვისა** (60) და კორეელ **ჯაე-ბუმ კიმის** (81) შემდეგ ილიადისი გახდა მესამე ძიუდოისტი, ვინც შარშანდელი ტიტული შეინარჩუნა. ამ წონაში 2010 წლის ფინალი ვიხილეთ იმავე შედეგით, ოღონდ განსხვავება ისაა, რომ მაშინ თუ ილიადისმა ნიშიამას დამატებით დროში მოუგო, ამჯერად ჩინებული მოგვერდით მალევე მოუთავა ხელი. ვფიქრობთ, უფრო ეფექტური იყო მისი გდება ნახევარფინალში რუს **კირილ დენისოვთან**, თუმცა მისი შეხვედრებიდან რომელიმეს გამორჩევა ძნელია ყველა ორთაბრძოლა იმდენად კარგად ჩაატარა. საინტერესო იყო იაპონელთა ნახევარფინალიც, რომელშიც ნიშიამამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი უპირატესობა ონოზე. ონომ კარიერაში მეორედ მოიპოვა მედალი მსოფლიოზე და კვლავაც - ბრინჯაო (თუმცა კორეელი ლეეც ცოდვა იყო მასთან წასაგებად), ოღონდ პირველად ამ წარმატებას 81-ში მიაღწია. ჩანს, კუბელი **ეშლი გონსალესი** ოლიმპიადაზე ერთ-ერთი ფავორიტი იქნება.

ქალების ტურნირი მთლიანად ფრანგთა კარნახით წარიმართა - მასპინძელთა გულის გასახარად, ორივე ოქრო მათ დაისაკუთრეს. უბერებელი **ლუსი დეკოსიც** (70) იმათ შორისაა, შარშან მოპოვებული ტიტული წლეულსაც წარმატებით რომ დაიცვეს, თუმცა ფინალში ჰოლანდიელი **ედიტ ბოსხი** მეტად დუნე ჭიდაობაში კი დაამარცხა. შეხვედრაში, პრაქტიკულად, არაფერი გაკეთებულა. არადა, ბოსხსაც შეეძლო, მეორედ მოეპოვებინა მსოფლიოს ოქრო. დეკოსისგან განსხვავებით, ევროპის ჩემპიონმა **ოდრი ჩუმეომ** (78) პირველად მოიგო მსოფლიოს პირველობა.

> წინ მსოფლიოს პირველობის კიდევ ერთი დღეა დარჩენილი და ჩვენი მთელი იმედები მას უკავშირდება, თორემ უახლოეს წლებში ეს ყველაზე ცუდი გამოსვლა იქნება. ჩვენი ნაკრები უმედლოდ წინა ორ პირველობაზეც დარჩა, მაგრამ მაშინ მეხუთე ადგილებზე მაინც გავედით

ამდენად, წინ მსოფლიოს პირველობის კიდევ ერთი დღეა დარჩენილი და ჩვენი მთელი იმედები მას უკავშირდება, თორემ უახლოეს წლებში ეს ყველაზე ცუდი გამოსვლა იქნება. ჩვენი ნაკრები უმედლოდ წინა ორ პირველობაზეც დარჩა, მაგრამ მაშინ მეხუთე ადგილებზე მაინც გავედით - 2009-ში როტერდამში **ნესტორ ხერგიანი** (60), შარშან ტოკიოში - ლიპარტელიანი, ახლა კი სანუგეშომდეც ვერავინ მივიდა ანუ მეოთხედფინალამდეც ვერ მიაღწიეს.

დღეს მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძე** (100) პირველივე წრეში ბრაზილიელ მსოფლიოს ჩემპიონ **ლუსიანო კორეას** ხვდება, ჯგუფში კი ისეთი ძლიერი კონკურენტები ჰყავს, როგორიც იაპონელი მსოფლიოს ჩემპიონი **ტაკამასა ანაი**, მონგოლი ოლიმპიური ჩემპიონი **ნაიდან ტუვშინბაიარი**, ბელგიელი ევროპის ჩემპიონი **ელკო ფან დერ ხესტი**, ებრაელი ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ვერცხლისა და ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი **არიელ ზეევი**, პოლონელი ევროპის ვიცე-ჩემპიონი **პრზემისლავ მატიასზეკი** და ლატვიელი ევროპის პრიზიორი **ეუგენიუს ბოროდავკო** არიან. ცოტათი სუსტი ჯგუფი ერგო ევროპის ვიცე-ჩემპიონ **ლომერ ჟორჟოლიანს**, რომელიც პირველ შეხვედრას ლიტველ **მარიუს ლაბალაუსკასთან** გამართავს, ნახევარფინალის საგზურისთვის კი კონკურენციას სხვებთან ერთად ჰოლანდიელი მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონი და ოლიმპიური ბრინჯაოს მფლობელი **ჰენკ ხროლი**, ეგვიპტელი მსოფლიოს პრიზიორი **რამადან დარვიში**, იაპონელი **კაიჰან ტაკაგი** და ის ბოსნიელი **ამელ მეტიკი** გაუწევენ, ვისთანაც წლეულს ევროპული ფინალი დათმო.

მძიმე წონაში უძნელეს ჯგუფშია **ადამ ოქრუაშვილიც** - რუსი მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი **ალექსანდრ მიხაილინი**, იაპონელი მსოფლიოს შარშანდელი ოქროს მედალოსანი აბსოლუტურში **დაიკი კამიკავა**, ბელარუსი ოლიმპიური ჩემპიონი **იჰარ მაკარაუ**, უზბეკი ოლიმპიადის ვერცხლისა და მსოფლიოს სამგზის პრიზიორი **აბდულო ტანგრიევი**, ჰოლანდიელი ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ხრიმ ვუიჯსტერსი**, პირველ შეხვედრას კი ჩვენებური ფილიპინელ **ტომიჰიკო ჰოშიმასთან** ჩაატარებს. **ზვიად ხანჯალიაშვილი** კორეელ **სოო-ვან კიმს** შეხვდება, ჯგუფში კი ძლიერ მეტოქეთაგან იაპონელი ორგზის მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **კეიჯი სუძუკი** და გერმანელი მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანი **ანდრეას ტოლცერი** ჰყავს.

**ირაკლი თავაძე**

## კვარცხლბეკი

**ვაჟები**

**90 კგ.** 1. ილიას ილიადისი (საბერძნეთი); 2, დაიკი ნიშიამა; 3. ტაკაში ონო (ორივე - იაპონია), ეშლი გონსალესი (კუბა).

**ქალები**

**70 კგ.** 1. ლუსი დეკოსი (საფრანგეთი); 2. ედიტ ბოსხი (ჰოლანდია); 3. იორიკო კუპინარა (იაპონია), ანეტ მესაროში (უნგრეთი).

**78 კგ.** 1. ოდრი ჩუმეო (საფრანგეთი); 2. აკარი ოგატა (იაპონია); 3. მაირა აგუიარი (ბრაზილია), კაილა ჰარისონი (აშშ).

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

# ჭაბუკები მსოფლიოს იწყებენ

ხვალ უნგრულ სომბათჰეიში ჭაბუკ ბერძენ-რომაელთა მსოფლიოს პირველობა იწყება, რომელშიც საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოვა: **რამაზ ზოიძე** (42), **ლეონ ხოზრევანიძე** (46), **ედნარ შავაძე** (50), **გიორგი ტოტიკაშვილი** (54), **შმაგი ბოლქვაძე** (58), **ნიკა მამარდაშვილი** (63), **გიორგი ჩხარტიშვილი** (69), **ლაშა გობაძე** (76), **კუკური კირცხალია** (85), **ზურაბ გედეხაური** (100). ამათგან ევროპის წლევანდელ პირველობაზე მხოლოდ ხოზრევანიძეს, მამარდაშვილს და ჩხარტიშვილს არ უჭიდავიათ, ხოლო გობაძემ და კირცხალიამ ვერცხლის, ზოიძემ, შავაძემ და ბოლქვაძემ კი ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. უნგრეთში მსოფლიოს ჩემპიონ **გურამ გედეხაურის** ვაჟის - ზურაბ გედეხაურის დებიუტიც შედგება, რომელიც საქართველოში წლეულს დაბრუნდა მოსკოვიდან.

დღეს 42, 50, 58, 69 და 85-ის ფალავნები იჭიდავებენ. დარჩიძე თავიდან ყირგიზ **ნუზურბეკ კასიმოვს** ხვდება, შავაძე - ბულგარელ **იოვო პავლოვ ჰრისტოვს**, ბოლქვაძე - ირანელ **მაისამ სეიედ რამეზანის**, ჩხარტიშვილი - რუს **ბისლან ასაკალოვს**, კირცხალია - იაპონელ **რიუტა იონანას**.

**ირაკლი თავაძე**

კრივი

# ევროპული კვარცხლბეკიდან დანახული ოლიმპიადის კონტურები

**მსგავსი წარმატებისთვის ქართულ კრივს დიდი ხანია არ მიუღწევია — ანკარის რინგზე ქართველმა სპორტსმენებმა ევროპის ჩემპიონატის სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. პრიზიორთაგან ერთ-ერთი თბილისელი ზაალ კვაჭატაძე გახლავთ.**

სპორტული კარიერა ფეხბურთით დაიწყო: ბავშვობისას 3 წელიწადი „ავაზასა" და „ოლიმპში" ვარჯიშობდა. ახალ გუნდში გადასვლას აპირებდა, მამამ კრივზე სიარული რომ შესთავაზა. 10 წლის ყმაწვილს ტყავის ხელთათმანები სულაც არ ეპიტნავებოდა, მაგრამ მამას ვერ უთხრა უარი. ფიზული ალექპეროვთან ვარჯიში სამიოდე კვირის დაწყებული ჰქონდა, სოფელ ნორიოში თანატოლთა შორის ლუხუმ თოთიაურის ტურნირი რომ მოიგო.

— კრივზე კი დავდიოდი, მაგრამ გული მაინც ფეხბურთისაკენ მიმიწევდა. მამის ხათრით, უცებ თავს ვერ ვანებებდი ვარჯიშს. ნორიოში ტურნირის მოგებისთვის პირველ პრიზთან ერთად გულშემატკივართა ტაში რომ დავიმსახურე, ისეთი რამ ვიგრძენი, რამაც სამუდამოდ რინგს მიმაჯაჭვა და ეს არჩევანი დღემდე არასდროს მინანია, — გაიხსენა კრივში პირველი ნაბიჯები ზაალ კვაჭატაძემ.

დღე დღეს მისდევდა და შეჯიბრება-შეჯიბრებას. ახალგაზრდა მოკრივე ნელ-ნელა იმყარებდა პოზიციებს. ჯერ თბილისისა და საქართველოს ჩემპიონი გახდა თანატოლებში, მერე ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე მესამე ადგილი დაიკავა, 2006 წელს კადეტთა მსოფლიოს პირველობაზე ზედიზედ სძლია ტაილანდელ, კორეელ და ამერიკელ მეტოქეებს, ფინალური ორთაბრძოლა კი რუს ალექსანდრ ვოლკოვთან დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა.


ზაალ კვაჭატაძე

— უფროსებში საერთაშორისო სარბიელზე დებიუტი მარცხიანი გამოდგა, — მითხრა ზაალმა. — 2009 წელს ლიტვაში პირველივე შეხვედრა ბელარუს სპორტსმენთან წავაგე. მახსოვს, კობა ფხაკაძემ და კახა ჟვანიამ შემაგულიანეს — გული არ გაიტეხოო. მაშინ ორივემ ლიტვის ტურნირი მოიგო.

**— სამაგიეროდ, წლევანდელი სეზონი აღმოჩნდა შენთვის შედეგიანი.**

— დიახ. სახელოვანი სპორტსმენისა და გამოცდილი მწვრთნელის რამაზ ფალიანის ხელმძღვანელობით იანვრიდან ოთხი ერთობლივი საწვრთნელი შეკრება გავიარე სომხეთში, აზერბაიჯანში, ბულგარეთსა და ყაზახეთში. სამ საერთაშორისო ტურნირზეც გამოვედი. სოფიასა და ალმათიში მესამე ადგილები დავიკავე. ბულგარეთში ნახევარფინალური ორთაბრძოლა მსოფლიოს ჩემპიონ ანდრეი ზამკავოისთან წავაგე. იგი დღესაც რუსეთის ნაკრების პირველი ნომერია 69 კილოში. ყაზახეთის ტურნირის ნახევარფინალში კი ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ მასპინძელს სერიკ საპიევს უნდა შევხვედროდი, მაგრამ მის თანამემამულესთან მეოთხედფინალში ხელი ვიღრძე და რინგზე ვერ გავედი.

მთავარი მაინც თურქული ბატალიები იყო. ასეთი მაღალი რანგის შეჯიბრებაზე პირველად მოვსინჯე ძალები. ბელგიელ მოჰამედ სდერის ნოკაუტით მოვუგე. მერე უკრაინელ დენის ლაზარევს დავუპირისპირდი. სამრაუნდიანი პაექრობა ფრედ — 24:24 დამთავრდა, მაგრამ მსაჯებმა უპირატესობა მე მომცეს, რადგან მეტოქე ბოლო წუთზე ორჯერ გავგზავნე ნოკდაუნში. ყველაზე ძნელი ბრძოლა ირლანდიელ უილიამ მაკლოჰინთან მქონდა. მართალია, 28:21 ვძლიე, მაგრამ ძალიან დავიღალე. ნახევარფინალში ბრიტანელმა ფრედ ევანსმა, რომელიც მერე ჩემპიონი გახდა, სამი ქულით მაჯობა. ეტყობა. ირლანდიელთან ორთაბრძოლის შემდეგ ძალების ბოლომდე აღდგენა ვერ მოვასწარი, თორემ ევანსი სულაც არ ჩანდა გადაულახავი ზღუდე. ტრაბახად თუ არ ჩამეთვლება, ოქროს მოპოვების შანსი გავუშვი ხელიდან.

**— ევროპის ჩემპიონატის შემდეგ 69 კილოში მყარად მოიკიდე ფეხი ეროვნულ ნაკრებში. არადა, ამ წონაში ევროპის პრიზიორი და პეკინის ოლიმპიადის მონაწილე კახა ჟვანია იყო ფავორიტი...**

— ჭაბუკობისას კახას პაექრობებს აღფრთოვანებული ვუყურებდი, მომწონდა მისი ბრძოლის მანერა. არაერთხელ მომისმენია მისი რჩევები. ასაკში განსხვავების მიუხედავად, რამდენიმე წელიწადია, ვმეგობრობთ. თურქეთში ბრინჯაოს მედალი რომ მოვიპოვე, ერთ-ერთი პირველი მან მომილოცა პრიზიორობა უკრაინიდან. კარგა ხანია, იქ არის ცოლოურს. ერთი თვის წინათ ქალიშვილი შეეძინა. შარშანწინ მილანის მსოფლიოს ჩემპიონატზე ტრავმის მიღების შემდეგ კახა შეჯიბრებებზე, ფაქტობრივად, არ გვინახავს. კარგი იქნებოდა, ნაკრებში ერთად ვყოფილიყავით. იგი ყველას სტიმულს გვაძლევდა ყოველთვის. იმედია, კახა ჟვანია ასე იოლად არ შეელევა დიდ რინგს.

**— უახლოეს მიზნებზე რას იტყვი?**

— წლეულს სექტემბერში ბაქო მოკრივეთა სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ჩემი უპირველესი მიზანია, რვა საუკეთესოში მოვხვდე, რომ ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების საგზური მოვიპოვო. მერე მედლებისკენაც ვეცდები გზის გაკაფვას. ევროპის ჩემპიონატის კვარცხლბეკმა ოლიმპიადის კონტურები დამანახვა. აზერბაიჯანის დედაქალაქში ძლიერი მეტოქეები მეყოლება. 69 კილოში ფავორიტები არიან საპიევი და ზამკავოი. მილანში რუსმა ქულით აჯობა ყაზახს ფინალში. საპიევს აქამდე ორჯერ შევხვედრივარ. სამწუხაროდ, უარყოფითი ბალანსი მაქვს. ახლა ალმათიში მივემგზავრებით ერთობლივ საწვრთნელ შეკრებაზე, სადაც ჩვენთან ერთად იქნებიან მასპინძლები და ბრაზილიელები. საპიევთან სპარინგობა მომიწევს. დავაკვირდები მისი ჩხუბის მანერას, თუმცა ამჟამად ისეთ კარგ სპორტულ ფორმაშია, მსოფლიოს ჩემპიონატზე, არა მგონია, მისი ძლევა ვინმემ შეძლოს. ყოველ შემთხვევაში, იმედს არ ვკარგავ.

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ნაკრების მთავარ მწვრთნელ რამაზ ფალიანს, მწვრთნელ თემურ ოჩიგავას, კრივის საერთაშორისო ფედერაციის ტექნიკურ დელეგატ ვლადიმერ ახალკაცს, აიბას არბიტრ ზურაბ ტიბუას, ნაკრების წევრებს, რომელთა დახმარებამ და მხარდაჭერამ ევროპულ კვარცხლბეკზე ამიყვანა. ვეცდები, გულშემატკივართა იმედები მომავალშიც გავამართლო.

**ვაჟა დანელია**

# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

## ქართული სპორტი

● ძალოსნობა

# გაცუდებული ცდები და მერვე ადგილი




ჩეხანოვში (პოლონეთი) ქაბუკ ძალოსანთა ევროპის პირველობაზე გუშინ მედლები 77 კილოგრამ წონით კატეგორიის გათამაშდა. საქართველოდან მეჯიბრებაზე ზუგდიდელი **თემურ პერტაია** გამოდიოდა. ორჭიდში მან 273 კილოგრამით მე-8 ადგილი დაიკავა. საქართველოს ლიგის გათამაშებზე ნაწვენები თავისი საუკეთესო შედეგიც (280 კგ) რომ გაემეორებინა, მე-7 საფეხურს მაინც ვერ ასცდებოდა, რადგან მე-6 ადგილზე გასულმა მოლდოველმა იური ბულატმა 287 კილოს მოუყარა თავი.

პერტაიამ ატაცში 120 კილო დაიმორჩილა, აკვრა 153 კილოთი დაიწყო, მომდევნო ორი ცდა (158, 161 კგ) კი გაუცუდდა.

ორჭიდში 313 კილოთი ჩემპიონობა ბელარუსმა სიარჰეი პარანჩიმ მოიპოვა. მანვე ატაცსა (140 კგ) და აკვრაშიც (173 კგ) მცირე ოქროს მედლები დაიმსახურა. 297 (134+163) კილოთი მეორე ადგილი უკრაინელმა ალექსანდრ პილიშჩუკმა დაიკავა, 290 (125+165) კილოთი მესამე იყო ბელარუსი ანდრეი იურატაუ.

*ვაჟა დანელია*

● +1

# საქართველოს შეემატა



საქართველოს სპორტულ ბაზებს კიდევ ერთი სარბიელი შემატა – ბათუმის ახალ ბულვარში საზეიმოდ გაიხსნა ოლიმპიური სტანდარტების ყინულის დარბაზი, რომლის მშენებლობაზეც 2,5 მილიონი ლარი დაიხარჯა. კომპანია „არიით ლაინის" წარმომადგენლებმა მოცურავეებს და ჰოკეისტებს საკმაოდ მოკლე დროში - 3,5 თვეში მოამზადეს ახალი მოედანი. დარბაზის გახსნისას ითქვა, რომ აქ მოსწავლეთა მიღება სექტემბრიდან განახლდება, ხოლო იანვარში, შესაძლოა, ჰოკეისტთა "კავკასიის ლიგის" მეორე ეტაპის შეხვედრებიც გაიმართოს.

ახალი სპორტული ობიექტის საზეიმო გახსნას საქართველოს პრეზიდენტი, **მიხეილ სააკაშვილი** ესწრებოდა.

*ვაჟა დანელია*

● წერილი რედაქციას

# 1961 წელი, საქართველოს პირველი ჩემპიონატი ყინულის ჰოკეიში

**ამას წინათ „ლელო" წერდა, რომ 1961 წლის იანვარში ბაკურიანში ჩატარებულ საქართველოს პირველ ჩემპიონატში ყინულის ჰოკეიში და ფინალში ახალქალაქის გუნდს მოუგია ბათუმელებისთვის - 9:4.**

**გთხოვთ ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოაქვეყნოთ დამატებითი ინფორმაცია, კერძოდ, ვინ თამაშობდნენ ბათუმელთა შემადგენლობაში, რა ერქვა გუნდს, არის თუ არა შემონახული ფოტო და ა.შ.**

*დათო მურვანიძე, ბათუმი*

ამ დღეებში დაახლოებით ანალოგიური თხოვნით მოგვმართა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომაც.

გაცნობებთ, რომ არანაირი სხვა დამატებითი ინფორმაცია და ფოტო ბათუმის ჰოკეისტთა გუნდთან დაკავშირებით რედაქციას არ მოეპოვება, გარდა იმისა, რაც აღნიშნულია „სპორტის ენციკლოპედიაში" (თბილისი, 2006; გვ. 551) და გამოქვეყნებულია გაზეთ „ლელოს" 1961 წლის 31 იანვრის ნომერში. „ლელოს" კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ მოედანზე იყო აჭარის ნაკრები, რომლის შემადგენლობაშიც გამორჩეულად კარგად უთამაშია **ა. კალინინს** (№9), აქტიურობით გამოირჩეოდა აგრეთვე ამ გუნდის კიდევ ერთი წევრი **ვინოგრადოვი** (№10). იქვე დაბეჭდილია თბილისისა და ქუთაისის ჰოკეისტების შეხვედრის ფოტოც.

**სპორტული ფედერაციების საყურადღებოდ!**

ყველა ახალი ინფორმაცია, რომელიც დააინტერესებს მკითხველს და გსურთ მოხვდეს ოპერატიულად „ლელოს" ფურცლებზე, გთხოვთ მოგვაწოდოთ დაუყოვნებლივ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე მითითებული ნებისმიერი საკონტაქტო საშუალებით.

*რედაქცია*




*2010 წელი. ვანკუვერი, კანადა. ზამთრის XXI ოლიმპიური თამაშების ემბლემა და მედალი*

● თარიღი. 27.08-2.09

**27. 08. 1938 წ.** დაიბადა **ჯოზე ალტაფინი**-ფეხბურთი (იტალია).

**27. 08. 1976 წ.** დაიბადა **კარლოს მოია**-ჩოგბურთი (ესპანეთი).

**28. 08. 1918 წ.** დაარსდა ვარნის (ბულგარეთი) საფეხბურთო კლუბი „სპარტაკი".

**28. 08. 1977 წ.** ჩრდილოამერიკული საფეხბურთო ლიგის ჩემპიონი მეორედ გახდა ნიუ იორკის „კოსმოსი", რომლის შემადგენლობაში **პელე** და **ბეკენბაუერი** თამაშობდნენ.

**29. 08. 1946 წ.** დაიბადა ლეგენდარული მძლეოსანი (სიგრძეზე ხტომა) **ბობ ბიმონი** (აშშ).

**30. 08. 2004 წ.** ათენში დასრულდა ზაფხულის 28-ე ოლიმპიური თამაშები.

**31. 08. 1913 წ.** შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „ეინდჰოვენი" (ჰოლანდია).

**31. 08. 1969 წ.** პროფესიონალი მოკრივე, ლეგენდარული **როკი მარჩიანო** ავიაკატასტროფაში დაიღუპა.

**01. 09. 1962 წ.** დაიბადა **რუუდ გულიტი**-ფეხბურთი (ჰოლანდია).

**01. 09. 1925 წ.** თანამდებობიდან გადადგა თანამედროვე ოლიმპიური თამაშების აღმორძინებელი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **პიერ დე კუბერტენი.**

**02. 098 1952 წ.** დაიბადა **ალენ ჟირესი**-ფეხბურთი (საფრანგეთი).

**02. 09. 1891 წ.** ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ პენალტის დარტყმა დააკანონა.

● სპორტის ნაკლებად ცნობილი სახეობები

# კორტის ფეხბურთი

კორტის ფეხბურთი, Footballtennis (ინგლ. foot-ფეხი, ball-ბურთი, tennis-ჩოგბურთი). უწოდებენ აგრეთვე სოკერტენისს, ფუტტენისს, ფუტვოლეიბოლს, ლეგბოლს, ფუტვოლეის, საფრანგეთში — ტენისბალონს, გერმანიაში — ფუსბალტენისს. სპორტული თამაში, ფეხბურთის, ჩოგბურთისა და ფრენბურთის ერთგვარი ნაზავი. წესები დაახლოებით ისეთივეა, როგორიც ფრენბურთში, ოღონდ მოთამაშეს არა აქვს უფლება, ბურთს ხელით შეეხოს. ნებადართულია მხოლოდ ფეხით თამაში. ერთმანეთს უპირისპირდება თითო სპორტსმენი, ან 2-3-კაციანი გუნდი. ერთეულთა შეხვედრების დროს მოედნის სიგრძეა 12,8 მ, სიგანე — 8,2 მ, წყვილთა მატჩებში — შესაბამისად 18 მ და 8,2-9 მ. მოედნის შუაში გაჭიმულია ბადე, რომლის სიმაღლეა 110 სმ მიწის ზედაპირიდან. თამაშობენ სინთეტიკური ან ტყავის ბურთით, რომლის გარშემოწერილობაა 680-710 მმ, წონა — 396-453 გ. ბურთი თამაშში შეჰყავთ მოედნის უკანა ხაზიდან. მოწინააღმდეგე მას ვერ შეეხება, სანამ მის მოედანზე არ დავარდება. როდესაც ბურთი ერთხელ (ერთეულებში) ან ორჯერ (წყვილებში) მიწიდან ჰაერში ახტება, ინდივიდუალურ მოთამაშეს უფლება აქვს მას ზედიზედ ორჯერ შეეხოს, წყვილთა შეხვედრებში კი სპორტსმენებს შეუძლიათ ბურთი ერთმანეთში სამჯერ გაათამაშონ, სანამ ბადეზე გადააგდებდნენ და მოწინააღმდეგის ნახევარზე დააბრუნებდნენ. წყვილთა მატჩში ერთი და იგივე სპორტსმენი ბურთს ზედიზედ ორჯერ ვერ შეეხება, ის ვალდებულია პარტნიორს გადააწოდოს. შეხვედრა გრძელდება მანამ, სანამ მოთამაშე შეცდომას დაუშვებს, რაც 1 ქულით ფასდება. გამარჯვებულად ცხადდება ის, ვინც ორ სეტს მოიგებს. სეტის მოსაგებად საჭიროა 11 ქულის მოგროვება, მაგრამ ისე, რომ უპირატესობა 2 ქულას მაინც შეადგენდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სეტი გრძელდება.

კორტის ფეხბურთი XX საუკუნის 20-იან წლებში იშვა ბოჰემიაში, საიდანაც ევროპასა და ამერიკაში გავრცელდა. 1987 წელს დაფუძნდა საერთაშორისო ასოციაცია (IFTA). ევროპის ჩემპიონატი იმართება 1991 წლიდან (ორ წელიწადში ერთხელ), მსოფლიოს ჩემპიონატი — 1994 წლიდან (ორ წელიწადში ერთხელ). ქალებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატი ტარდება 2000 წლიდან.




● იყო ასეთი შემთხვევა

„თაიგერ ქაფის" (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის საფეხბურთო ტურნირი) ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩის უკანასკნელ წუთზე, ინდონეზიელმა **მერსიიდ ეფენდიმ** დემონსტრაციულად დაარტყა ბურთი საკუთარი ნაკრების კარის მიმართულებით და ბურთი ბადეში აღმოჩნდა, რაც ყველაზე გახმაურებულ ავტოგოლად იქცა ფეხბურთის ისტორიაში. ეს მოხდა 1998 წლის 31 აგვისტოს. იმ დღეს ინდონეზია ტაილანდს ხვდებოდა. ორივე გუნდს ნახევარფინალში გასვლა გარანტირებული ჰქონდა, მაგრამ ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება არც ერთს სურდა, რადგანაც ამ შემთხვევაში, მათთვის უხერხულ მეტოქესთან, ვიეტნამთან მოუწევდათ შეხვედრა. ორივე მათგანს სინგაპურთან სურდა ნახევარფინალში შებმა. საბოლოოდ, ინდონეზია მეორე ადგილზე გავიდა, ნახევარფინალში სინგაპურს შეხვდა და 1:2 დამარცხდა. მერსიიდ ეფენდის კი, ფიფამ სამუდამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

● პირველი, პირველმა, პირველად...

■ ■ ■

**პირველი** საერთაშორისო დიდოსტატი ჭადრაკში საბჭოთა კავშირიდან იყო **მიხეილ ბოტვინიკი.** ეს წოდება მან 1950 წელს მიიღო.

■ ■ ■

**პირველმა** დედამიწის გარშემო ეულად მოგზაურობა ნაოსნობით წამოიწყო ინგლისელმა **ფრენსის ჩიჩესტერმა.**

■ ■ ■

**პირველად** სუპერმძიმე წონაში პროფესიონალ მოკრივეთა მატჩი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად ჩატარდა 1895 წელს. იმ ორთაბრძოლაში **ჯონ სალივანმა დომინიკ მაკკეფსის** სძლია და პლანეტის პირველი ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

# კროსვორდი



**თარაზულად:** 1. ჩოგბურთელი — "თიხნარის მეფე"; 4. იტალიის ეროვნულისა და "იუვენტუსის" ნახევარმცველი; 8. "შალკე 04"-ის მთავარი მწვრთნელი; 9. ძიუდოისტ ხანჯალიაშვილის სახელი; 10. ურუგვაის ყველა დროის უდიდესი ფეხბურთელი; 13. ვეტერანი ფეხბურთელი ... ცაავა; 15. საქართველოდან მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ქალი; 18. ჭადრაკში: მოწინააღმდეგის ფიგურების მოძრაობის შეზღუდვა; 19. გამოჩენილი შვეიცარიელი ჩოგბურთელი ქალი; 20. ესპანეთის "სარაგოსას" მექსიკელი მწვრთნელი; 21. ფლანგზე მოთამაშე ნახევარმცველი ფეხბურთში; 22. "არსენალისა" და ინგლისის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი; 23. ზუგდიდის ყოფილი საფეხბურთო გუნდი; 25. წარსულში ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი და მწვრთნელი; 28. ლეგენდარული რუსი მეკარე; 29. ბაფთებით შემკული პატარა შუბი, რომელსაც იყენებენ კორიდაში; 30. კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია.

**შვეულად:** 1. ჰოლივუდის მსახიობი, მსოფლიოს ჩემპიონი კარატეში; 2. უნგრეთის საფეხბურთო კლუბი; 3. ფეხბურთში ოლიმპიური ჩემპიონი(1956), მოსკოვის „სპარტაკისა" და სსრკ ნაკრების ფორვარდი, ანატოლი...; 4. იტალიელი საფეხბურთო მწვრთნელი ... საკი; 5. ვეტერანი ქართველი ძიუდოისტი, მწვრთნელი; 6. საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ყოფილი ავსტრალიელი მწვრთნელი; 7. ცხენის კისრის ბოლო ნაწილი; 11. სანაოსნოდ გამოსადეგი წყლის სივრცე; 12. საქართველოში სამბოს ერთ-ერთი დამაარსებელი; 14. მეკარე ფეხბურთში; 16. საფეხბურთო კლუბ "ჩელსის" მფლობელი; 17. ესპანეთის "რასინგის" სერბი ფორვარდი; 21. შვედეთის საფეხბურთო ნაკრების მეკარე; 24. წარსულში ცნობილი გერმანელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 25. კიევის "დინამოს" ყოფილი ნახევარმცველი; 26. იაპონიის საფეხბურთო კლუბი "... არდია"; 27. პორტუგალიის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მეკარე.

*შეადგინა ლალი ჭიჭინაძემ*

● ვიქტორინა

**1. რომელ წელს და სად შედგა ძიუდოს ოლიმპიური დებიუტი?**

ა — 1960 წელს რომში
ბ — 1964 წელს ტოკიოში
გ — 1968 წელს მეხიკოში

**2. რომელ წელს ცდილობდა ფიფა მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატის ჩატარებას, რომელიც უშედეგოდ დასრულდა?**

ა — 1905 წელს
ბ — 1911 წელს
გ — 1920 წელს

**3. რომელმა გუნდებმა ითამაშეს გინესის წიგნში მოსახვედრად საფეხბურთო მატჩი, რომელიც 65 საათს გაგრძელდა?**

ა — ინგლისის „ჩელსისა და „არსენალის" დუბლებმა
ბ — პორტუგალიის „ბენფიკამ" და იტალიის „ინტერმა"
გ — ირლანდიის „კანაფერსის" ორმა გუნდმა

**4. რომელი წლიდან ჩაერთვება სოკ-ის გადაწყვეტილებით გოლფი და რაგბი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში?**

ა — 2012 წლიდან
ბ — 2016 წლიდან
გ — 2020 წლიდან

**5 რომელ წელს დალაშქრა ეულად იტალიელმა ალპინისტმა რეინოლდ მესნერმა მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი ევერესტი?**

ა — 1976 წლის 15 ივლისს
ბ — 1979 წლის 20 სექტემბერს
გ — 1980 წლის 20 აგვისტოს

პასუხები: 1-ბ, 2-ა, 3-გ, 4-ბ, 5-გ

ეროვნული ბიბლიოთეკა

● პრესკონფერენცია



მარცხნიდან: ლაშა ხურციძე, გიორგი ნიჟარაძე და ილია მაისურაძე

# ნაკრების მიზანი ერთი მატჩის მოგებაა

## ბოლომდე, თავდადებით თამაში ჩვენი კოზირია

ერთი კვირაც და, საქართველოს ნაკრები, რომელიც საწვრთნელ შეკრებაზე საფრანგეთში იმყოფება, გეზს ახალი ზელანდიისკენ აიღებს. „ბორჯღალოსნებმა" მზადების ორი ეტაპი გაიარეს და ახლა ერთკვირიან შვებულებაში იმყოფებიან. სამშობლოში დაბრუნდა ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი **ილია მაისურაძე,** საფრანგეთში ასევე რამდენიმე დღით იმყოფებოდა საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი **გიორგი ნიჟარაძე,** რომლებმაც ნაკრების მედიამენეჯერ **ლაშა ხურციძესთან** ერთად „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" პრესკონფერენცია გამართეს.

**გიორგი ნიჟარაძე:**

„საფრანგეთში მზადება საკმაოდ ინტენსიური იყო. ნაკრებმა ორი საწვრთნელი შეხვედრაც გამართა. უნდა ითქვას, რომ ბიჭები ძალიან დაიღალნენ და ეს ერთკვირიანი შვებულება, რომელიც გუნდის მოთამაშეებს მწვრთნელმა მისცა, სწორედ რომ დროული იყო.

ვფიქრობ, ფიზიკურად გუნდი კარგადაა მომზადებული. მსოფლიოს თასამდე დარჩენილ დროში კი ტაქტიკურ მონახაზებზე იმუშავებენ. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ორი თამაში საკმარისი არ იყო. სამწუხაროდ, ამის საშუალებას არ გვაძლევს მოკლე სათადარიგოთა სკამი. მეტი თამაში, მეტ ტრავმირებულ მორაგბეს ნიშნავს. ამის ფუფუნება კი ჩვენ არ გვაქვს. მიმაჩნია, რომ მწვრთნელმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა მხოლოდ ორი მატჩის გამართვა იკმარა.

როცა ვამბობთ, რომ ჩვენ ძალიან რთულ ჯგუფში მოვხვდით, ვგულისხმობთ იმას, რომ მეტოქეთა შორის სუსტი გუნდი არ გვყავს. ჩვენ ვნახეთ შოტლანდიის ნაკრების თამაში, ეს გუნდი შესანიშნავ ფორმაშია, არგენტინელებიც ნელ-ნელა მოუმატებენ, ინგლისის ნაკრების შესახებ ალარაფერს ვამბობ. რაც შეეხება რუმინეთს, ის ჩვენი ტოლ-სწორი გუნდია.

ერთი სიტყვით, ინგლისის, შოტლანდიისა და არგენტინის ნაკრებები ჩვენზე ობიექტურად ძლიერი გუნდები არიან. მიუხედავად ამისა, პირობას გაძლევთ, რომ ჩვენი გუნდის თამაშით შერცხვენილი არ იქნებით. ნაკრებში ძალიან კარგი განწყობაა და მეგობრული ატმოსფერო სუფევს. ბიჭებს კარგად ესმით, რა პასუხისმგებლობა აკისრიათ და მზად არიან ძალების მაქსიმალური კონცენტრაცია მოახდინონ. ბოლომდე თავდადებით თამაში ის კოზირია, რომელიც ჩვენს ნაკრებს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენს.

**ილია მაისურაძე:**

„ნაკრები 49 დღეა საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფება და, ცხადია, ძნელია, ამ დროის მანძილზე ტრავმებს თავი აარიდო. ზვიად მაისურაძისა და გიორგი ბეგაძის შესახებ უკვე იცით. ბოლო მატჩში ხელზე თითი მოიტეხა და სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს ილია ზედგინიძეს. როგორც ექიმები ამბობენ, ის პირველ მატჩში შოტლანდიის ნაკრებთან ვერ დაგვეხმარება. თუმცა მეორე შეხვედრაში, იმედია, თამაშს შეძლებს.

დავით ზირაქაშვილს სამი წელიწადია მუხლი აწუხებს. მზადების პროცესში მენისკის ანთება დაეწყო, მაგრამ დროულად მივხედეთ და ამჟამად ყველაფერი წესრიგში აქვს. საწვრთნელ შეხვედრებში მას არ უთამაშია, ზედმეტად გარისკვა არ გვინდოდა. ფეხი იტკინა ლაშა მალაღურაძემაც, თუმცა იმედი გვაქვს, ისიც მალე გამოჯანმრთელდება.

ახლახან გამოკეთდა მალხაზ ურჯუკაშვილი, რომელმაც პირველ მატჩში „ორიკთან" ითამაშა, თუმცა მერე „ბურგუენთან" შეხვედრაში დავასვენეთ. მის ნაცვლად ფულბეკის პოზიციაზე რეზო გიგაური მოვსინჯეთ. ამავე ფუნქციის შესრულება შეუძლია ასევე მერაბ კვირიკაშვილსაც.

ნაკრების ძირითადი ბირთვი ახლოსაა იმ შემადგენლობასთან, რომელმაც მეორე მატჩში, „ბურგუენთან" ითამაშა. საკმაოდ მძიმე დატვირთვებთან ერთად მორაგბეებს საინტერესო განტვირთვის საშუალებებიც ჰქონდათ. რამდენჯერმე ბარბექიუ მოვაწყვეთ. ველოსიპედებით გავისეირნეთ, ერთი სიტყვით, ბიჭებმა აქტიურად დაისვენეს.

ყველაზე კარგი კი ის იყო, რომ ლევან ვასაძემ ბასიანის მგალობლები ჩამოიყვანა და ნაკრებს შესანიშნავი საღამო მოუწყვეს. სტუმრებმა საფრანგეთში მისი უწმინდესობის ილია მეორის მიერ გამოგზავნილი ხატი ჩამოასვენეს. ამ ამბავმა ბიჭებზე ფსიქოლოგიურად ძალიან კარგად იმოქმედა, კიდევ უფრო მოტივირებულნი გახდნენ.

მეტოქეებზე სრული ინფორმაცია გვაქვს. ახლაც რომ შევიკრიბებით. კიდევ ერთხელ გავაანალიზებთ მათ თამაშს, ვიმსჯელებთ, რა შეიძლება, რომ დავუპირისპიროთ"

**ლაშა ხურციძე:**

„მალე საქართველოს რაგბის კავშირის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოვაქვეყნებთ ახალ ზელანდიაში გასამართი ღონისძიებების განრიგს. იქ საკმაოდ დატვირთული პროგრამა გვექნება. გარდა იმისა, რომ მასპინძლები საკმაოდ საინტერესო დღეებს გვთავაზობენ, ჩვენ ვაპირებთ საქართველოს კულტურის დღეების მოწყობას, სადაც ჩვენი მორაგბეები ჩოხებით იქნებიან. წარმოვადგენთ ქართულ ღვინოს.

მასტერტონში, სადაც მეორე თამაშის შემდეგ დავბინავდებით, საქართველოს ნაკრების ფანკლუბია შექმნილი და ჩვენი გუნდის საპატივცემლოდ, ქალაქის მთავარ ქუჩაზე ალლუმის გამართვას აპირებენ.

ერთი სიტყვით, მსოფლიოს თასის გათამაშების დღეები საკმაოდ დატვირთული იქნება მოვლენებით და ყოველივე ამის შესახებ ქართულ მედიასაშუალებებს ინფორმაციას ოპერატიულად მივაწვდით".

### საქართველოს ნაკრები

I ხაზი: გოდერძი შველიძე (მონპელიე), დავით ხინჩაგიშვილი, ვასილ კაკოვინი (ბრივი), აქვსენტი გიორგაძე (კასტრი), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), ჯაბა ბრეგვაძე (არმია), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი).

II ხაზი: ილია ზედგინიძე (კარკერენი) გიორგი ნემსაძე (ვალანსი), ვახტანგ მაისურაძე (ლა სეინი), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი).

III ხაზი: ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი), დიმიტრი ბასილაია (ობენა), გიორგი ჩხაიძე (ლელო), გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი), მამუკა გორგოძე (მონპელიე), შალვა სუთიაშვილი (მასი).

N:9: ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), ბიძინა სამხარაძე (არმია).

N:10: მერაბ კვირიკაშვილი (ფიჟაკი), ლაშა ხმალაძე (ლელო).

N:12-13: ლაშა მალაღურაძე (უგუნდო), რეზო გიგაური (ფიჟაკი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), დავით კაჭარავა (ნიცა).

N:11-14: ლექსო გუგავა, ალექსანდრე თოდუა (ორივე-ლელო), ირაკლი ჩხიკვაძე (აია), ირაკლი მაჩხანელი (სენტ ეტიენი).

N:15: მალხაზ ურჯუკაშვილი (გურდო).

### მსოფლიოს თასი

**14 სექტემბერი**
საქართველო-შოტლანდია

**18 სექტემბერი**
საქართველო-ინგლისი

**28 სექტემბერი**
საქართველო-რუმინეთი

**2 ოქტომბერი**
საქართველო-არგენტინა

● მეტოქეები

# პომების ბოლო რეპეტიცია სამყურებთან

**ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქე ინგლისის ეროვნული გუნდი დღეს, დუბლინში ბოლო ტესტმატჩს ირლანდიის ნაკრებთან გამართავს.**

„პომების" თავკაცმა **მარტინ ჯონსონმა,** ერთი კვირის წინათ, უელსელებთან გამართული შეხვედრის შემდეგ, ძირითად შემადგენლობაში ექვსი ცვლილება განახორციელა. სამყურებს პირველივე წუთებიდან შეებრძოლებიან **კრის ეშტონი, მანუ ტუილაგი, ჯონი ვილკინსონი, ენდრიუ შერიდანი, ტომ კროფტი** და **ჯეიმზ ჰესკელი.**

კვლავ ძირითადში ითამაშებს ვეტერანი შუამარბი **მაიკ თინდოლი.** მეტიც, ის ამ შეხვედრაში „პომების" კაპიტანი იქნება. ჯონსონმა თადარიგში დააყენა ცხრა ნომერი **ჯო სიმპსონი,** რომელიც თუ შეცვლაზე შევა, ეროვნულ გუნდში პირველ კეპს მოიხვეჭს.

„დუბლინში საკმაოდ დაძაბული შეხვედრის მოლოდინში ვართ. ეს ძალიან კარგი შანსია, მოსამზადებელი პერიოდი სერიოზული გამოცდით დავასრულოთ.

ძალიან გვიხარია, რომ პირველხაზელი ენდრიუ შერიდანი დაგვიბრუნდა. მან შეძლო ყველა სირთულის წინააღმდეგობის დაძლევა და ისევ ჩვენთანაა. გუნდს მაიკ თინდოლი უკაპიტნებს. მან ეს ალალად დაიმსახურა. ის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი მორაგბეა და საკმაოდ მაღალი ხარისხის თამაშს გვიჩვენებს" - თქვა მარტინ ჯონსონმა.

ინგლისი: 15. ბენ ფოდენი, 14. კრის ეშტონი, 13. მანუ ტულიგაი, 12. მაიკ თინდოლი, 11. მარკ კუეტო, 10. ჯონი ვილკინსონი, 9. რიჩარდ ვაიგლსვორსი. 1. ენდრიუ შერიდანი, 2. სტივ თომპსონი, 3. დენ კოლი, 4. ლუის დიკონი, 5. კორტნი ლოუ, 6. ტომ კროფტი, 7. ჯეიმზ ჰესკელი, 8. ნიკ ისთერი.

16. დილან ჰარტლი, 17. მეთ სტივენსი, 18. საიმონ შოუ, 19. ტომ ვუდი, 20. ჯო სიმპსონი, 21. ტობი ფლუდი, 22. დელონ არმითიჯი.

● სამი ერი



# ბრისბენში სამი ერის ბედი წყდება

**დღეს ბრისბენში, სამი ერის გათამაშების ბოლო შეხვედრაში, ამ ტურნირის გამარჯვებულის ვინაობა გაირკვევა. ავსტრალიის ნაკრები შეეცდება შინ ახალი ზელანდიის ეროვნული გუნდი დაამარცხოს და მსოფლიოს თასის გათამაშების დაწყების წინ შესანიშნავი განწყობა შეიქმნას.**

„ოლ ბლექსის" ნაკრების თავკაცმა **გრემ ჰენრიმ** მსოფლიოს თასზე საასპარეზო 30-კაციანი შემადგენლობა ოთხი დღის წინ გააცხადა. მისი რამდენიმე გადაწყვეტილება რაგბის სპეციალისტებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ჰენრიმ **ლიამ მესამს, ხოსე გეარს, ჯერარდ ჰოეთას** და **სიტივენი სივივატუს** ამჯობინა **ვიქტორ ვიტო, ზაკ გილფორდი და ისაია ტოეავა.**

ავსტრალიის ნაკრებს კი კაპიტანი შეუცვალეს. როკი ელსომის ნაცვლად „ვოლაბებს" **ჯეიმზ ჰორვილი** წარუძღვება. **რობი დინსმა** განაცხადში არ შეიყვანა **ჯეიმზ ოკონორი.** სწორედ ამიტომ ბუქმეიკერებს ფავორიტად ახალი ზელანდიის ნაკრები მიაჩნიათ. ოკონორის არყოფნა ავსტრალიელთა გუნდს იმაზე მეტად დაეტყობათ, ვიდრე ამას გუნდის მწვრთნელები ვარაუდობენ. ეს გასაკვირი არც არის, რადგან ჰენრიმ ძირითად შემადგენლობაში ყველა წამყვანი მოთამაშე დააბრუნა. **დენ კარტერი, რიჩი მაკქოუ, მაა ნონუ, კონრად სმითი** და ძმანნი მათნი, სრულ მზადყოფნაში არიან.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ 30-კაციან განაცხადში მოხვდა, ჰენრის გადაწყვეტილების ლოგიკურობა მაინც დასამტკიცებელი აქვს გარემარბ ზაკ გილფორდს.

### ავსტრალია–ახ. ზელანდია

ავსტრალია: 15. ქართლი ბეილი, 14. ადამ ეშლი-კუპერი, 13. ენტონი ფაინგაა, 12. პატ მაკკები, 11. დიგბი იოანი, 10. ქუადე კუპერი, 9. ვილი გენია. 1. სეკოპე კეპუ, 2. სტივენ მური, 3. ბენ ალექსანდერი, 4. დენ ვიკერმანი, 5. ჯეიმზ ჰორვილი, 6. როკი ელსომი, 7. დევიდ პოკოქი, 8. რადიკე სამო.

16. საია ფაინგაა, 17. სალესი მააფუ, 18. რობ საიმონსი, 19. ბენ მაკკალმენი, 20. სკოტ ჰიგინბოთამი, 21. ლუკ ბარჯესი.

ახალი ზელანდია: 15. მალილი მულიაინა, 14. კორი ჯეინი, 13. კონრად სმითი, 12. მაა ნონუ, 11. ზაკ გილფორდი, 10. დენ კარტერი, 9. პირი ვიპუ. 1. ტონი ვუდკოქი, 2. კევინ მეალამუ, 3. ოუენ ფრენქსი, 4. ბრედ თორნი, 5. სემ ვაითლოქი, 6. ადამ თომსონი, 7. რიჩი მაკქოუ, 8. კირან რიდი.

16. ენდრიუ ჰორი, 17. ჯონ აფოა, 18. ალი ვილიამსი, 19. ვიქტორ ვიტო, 20. ენდი ელისი, 21. კოლინ სლედი, 22. ისაია ტოეავა.

### სატურნირო მდგომარეობა

1. ახალი ზელანდია - 9 ქულა, 2. ავსტრალია - 9, 3. სამხრეთ აფრიკა - 5.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

### ავტომოტოსპორტი

# უქმეების წინ

ოთხკვირიანი პაუზის შემდეგ განახლდება მსოფლიოს ჩემპიონატი ფორმულა 1-ში. მე-12 ეტაპი ბელგიაში, პირველობის ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ავტოდრომზე („სპა“) გაიმართება. **სებასტიან ფეტელი** ბელგიაში მისთვის ჩვეული ლიდერის რანგში ჩადის, მაგრამ მინიმუმ სამი კონკურენტი მას იოლ ცხოვრებას არ ჰპირდება.

ამავე ტრასაზე გაიმართება GP2-ის სერიის მორიგი ეტაპი და თუ **რომენ გროსჟანი** ისევ პირველი მივა ფინიშთან, უკვე ბელგიაში ვადაზე ადრე გაინაღდებს ტიტულს.

მოტოგრანპრის სერია კი ისევ ამერიკაში მიემგზავრება - ახლა უკვე ინდიანაპოლისის გრანპრის ჩასატარებლად. ბოლო წლებში **კეისი სტოუნერს** აქ მუდმივად პრობლემები ჰქონდა და თუ ამჯერადაც ასე მოხდა, **ხორხე ლორენსოს** საერთო ჩათვლაში ლიდერთან მიახლოების შანსი ექნება.

#### ფორმულა 1

##### ბელგიის გრანპრი

**ჩატარების ადგილი** - სპა-ფრანკორშამი, ბელგია

**წრის სიგრძე** - 7 004 მ

**საუკეთესო წრე** - 1:45,108 (რაიკონენი, 2004)

##### საერთო ჩათვლა

1. ფეტელი (რედ ბული) - 234 ქულა
2. უებერი (რედ ბული) - 149
3. ჰემილტონი (მაკლარენი) - 146
4. ალონსო (ფერარი) - 145
5. ბატონი (მაკლარენი) - 134
6. მასა (ფერარი) - 70

##### განრიგი

26 აგვისტო, 12:00 - I პრაქტიკა
26 აგვისტო, 16:00 - II პრაქტიკა
27 აგვისტო, 13:00 - III პრაქტიკა
27 აგვისტო, 16:00 - კვალიფიკაცია
28 აგვისტო, 16:00 - რბოლა

#### GP2

##### ბელგიის გრანპრი

**ჩატარების ადგილი** - სპა-ფრანკორშამი, ბელგია

**წრის სიგრძე** - 7 004 მ

**შარშანდელი გამარჯვებულები** - მალდონადო, პერესი

##### საერთო ჩათვლა

1. გროსჟანი - 74 ქულა
2. ვან დერ გარდე - 49
3. პიკე - 42
4. ბიანკი - 35
5. ბიორდი - 35
6. ვალსეკი - 30

##### განრიგი

26 აგვისტო, 17:55 - კვალიფიკაცია
27 აგვისტო, 17:40 - I რბოლა
28 აგვისტო, 12:35 - II რბოლა

#### მოტოგრანპრი

##### ინდიანაპოლისი

**ჩატარების ადგილი** - ინდიანაპოლისი, აშშ

**წრის სიგრძე** - 4 216 მ

**საუკეთესო წრე** - 1:40,152 (ლორენსო, 2009)

##### საერთო ჩათვლა

1. სტოუნერი (ჰონდა) - 218 ქულა
2. ლორენსო (იამაჰა) - 186
3. დოვიციოზო (ჰონდა) - 163
4. როსი (დუკატი) - 118
5. პედროსა (ჰონდა) - 110
6. სპისი (იამაჰა) - 109

##### განრიგი

26 აგვისტო, 18:10 - I პრაქტიკა
26 აგვისტო, 22:10 - II პრაქტიკა
27 აგვისტო, 18:10 - III პრაქტიკა
27 აგვისტო, 21:55 - კვალიფიკაცია
28 აგვისტო, 22:00 - რბოლა

### ამბები

#### ფორმულა 1

## ჰაიდფელდი სასამართლოში წავიდა

გერმანელ **ნიკ ჰაიდფელდს** ჯერ კომენტარი არ გაუკეთებია „ლოტუს-რენოს“ გადაწყვეტილებაზე, რომლის მიხედვითაც ის ჩამოაშორეს რბოლებს და მის ადგილს ბოლიდში ბრაზილიელი **ბრუნო სენა** დაიკავებს. მაგრამ გერმანელი პილოტის პოზიცია დაფიქსირდა იურიდიული ფირმის ოფიციალურ პრესრელიზში, რომელიც ნიკის ინტერესებს გამოხატავს:

*„ნიკ ჰაიდფელდი, რომელსაც „ლოტუს-რენოს“ საპრიზო პილოტის კონტრაქტი აქვს, აპირებს გააგრძელოს პროცესუალური მოქმედება ლონდონის სასამართლოში. ჩვენ არ შევურიგდებით ამ სიტუაციას იქამდე, სანამ პილოტის სტატუსი ბოლომდე არ იქნება აღდგენილი“.*

#### კალათბურთი

## მარბერი ჩინეთში დარჩა

ვეტერანმა გამთამაშებელმა, 34 წლის **სტეფონ მარბერიმ** მომდევნო სეზონის ჩატარებაც ჩინეთში გადაწყვიტა. NBA-ის ყოფილი ვარსკვლავი მალე ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს „ბეიჯინ დაქსთან“.

გასული სეზონი მარბერიმ „ფოშანის“ რიგებში ითამაშა და საშუალოდ 25.2 ქულა, 4.5 მოხსნა და 5.7 პასი დააგროვა.

#### კრივი

## ჰოლიფილდმა მეტოქე შეარჩია

48 წლის ლეგენდარული სუპერმძიმეწონოსანი **ევანდერ ჰოლიფილდი** კვლავაც კარიერის გაგრძელებას აპირებს. ამერიკელს სურს შეხვდეს რუს **ალექსანდრ პოვეტკინსა** და უზბეკ **რუსლან ჩაგაევს** შორის გამარჯვებულს. ეს ბრძოლა შაბათს გაიმართება.

*„ეს ძალიან საინტერესო ბრძოლაა. ფავორიტად პოვეტკინი მიმაჩნია. ის ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი იყო მოყვარულებში. მინდა მასთან შეხვედრა, რადგან კვლავ ჩემპიონობის მოპოვება მაქვს ჩაფიქრებული“,* - ამბობს მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი.

## მარგარიტო და კოტო შეთანხმდნენ

**ანტონიო მარგარიტომ** და **მიგელ კოტომ** მომავალი ბრძოლის დეტალები შეათანხმეს. მექსიკელის მენეჯერმა **სერხიო დიასმა** ჟურნალისტებს გამოუცხადა, რომ მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა.

*„ჩვენ უკვე გვაქვს შეთანხმება. ბრძოლა 3 დეკემბერს გაიმართება“,* - განაცხადა დიასმა.

#### ჰოკეი

## სიდნი ახალ ექიმთან მივიდა

„პიტსბურგ პინგვინზის“ კაპიტანი **სიდნი კროსბი** კვლავაც ტვინის შერყევის შემდეგ აღდგენით კურსს გადის. კანადელი ფორვარდი აშშ-ის წამყვან ექიმს ენვია, რომელიც მსგავსი დაზიანებების მკურნალობით არის დაკავებული. კროსბის სამედიცინო შემოწმების დეტალები არ გაუმხელია, თუმცა ყველას მადლობა გადაუხადა ამ რთულ პერიოდში მხარდაჭერისთვის.

*„არ შეგვიძლია ტრავმის დეტალებზე გელაპარაკოთ. ტვინის შერყევა - ეს ის დაზიანება არ არის, რომელიც შეიძლება რენტგენით გამოავლინო. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ გრძნობს თავს მოთამაშე. კლუბი აღდგენისთვის იმდენ დროს გვაძლევს, რამდენიც საჭირო იქნება. სიდი მხოლოდ 24 წლისაა და წინ ბევრი შესანიშნავი წელი აქვს“,* - ამბობს კროსბის აგენტი **პეტ ბრისონი**.

### კალათბურთი



# ლებრონ ჯეიმსი: წაგებას ვერ ვიტან

**ინტერნეტგამოცემა HoopsHype-სთვის მიცემულ ინტერვიუში „მაიამი ჰიტის“ ვარსკვლავი ლაპარაკობს ერიკ სპოელსტრასთან ურთიერთობაზე, ლოკაუტზე, „დრიმ თიმზე“, ლონდონის ოლიმპიადაზე გამგზავრების პერსპექტივებზე...**

**- შეგიძლიათ შეადაროთ ერთმანეთს თქვენი ურთიერთობები ერიკ სპოელსტრასთან და მაიკ ბრაუნთან?**

- ახლა მიზანშეწონილი არ არის მსგავსი პარალელების გავლება. რაც არ უნდა იყოს, მაიკთან ერთად ხუთი წელი ვიმუშავე, ბევრი რამ გავიარეთ ერთად, ბევრი გადავიტანეთ... ერიკთან ერთად კი მხოლოდ ახლა დავიწყეთ გრძელი გზის გავლა და დარწმუნებული ვარ, ყველაფერი წინ გვაქვს.

**- გასულ სეზონში მოასწარით სპოელსტრას გაცნობა?**

- მთავარია, რომ მე მას ვენდობი. ყოველთვის რთულია ახალ მწვრთნელთან ერთად ახალი გზის დაწყება, მის ფილოსოფიაზე მორგება. მაგრამ ერიკი ცდილობს თითოეულთან მონახოს მიდგომა და სიმართლე გითხრათ, ეს კალათბურთელების ერთგვარ „მოსყიდვას“ ჰგავს. ახალი მწვრთნელი არაფრით განსხვავდება გუნდში ახალი პარტნიორებისგან - სანამ მათ შეეჩვევი, სანამ შეთამაშდები... მაგრამ ჩვენი ურთიერთგაგება ყოველდღიურად უმჯობესდება, რაც მომავლის მიმართ ოპტიმიზმით განგვაწყობს.

**- გიშლიდათ თუ არა ხელს მუშაობაში თქვენი პიროვნების მიმართ საზოგადოებაში უარყოფითი დამოკიდებულება?**

- იმის გათვალისწინებით, რა მაღალ შედეგებსაც მივაღწიეთ გასულ სეზონში, შეიძლება ითქვას, რომ ნორმალურად ვმუშაობდი. მართალია, მთავარ მიზანს ვერ მივაღწიეთ - საჩემპიონო ტიტული ვერ მოვიპოვეთ, მაგრამ გასათვალისწინებელია ის ზეწოლა, რაც ჩვენზე მთელი სეზონის განმავლობაში მოდიოდა, აგრეთვე ის ფაქტი, რომ გუნდი ახალი შემადგენლობით თამაშობდა. ასე რომ, სეზონს შეიძლება წარმატებული ვუწოდოთ.

**- როგორ გადაიტანეთ ფინალში წაგება?**

- ეს იყო ყველაზე უარესი კვირა ჩემს ცხოვრებაში. ვერ ვიტან წაგებას.

**- რას აკეთებდით იმ პერიოდში?**

- არაფერს.

**- ამ ზაფხულს ბევრს მუშაობთ ჰაკიმ ოლაჟუონთან. როგორ შეფასებას მისცემდით ამ გამოცდილებას და მაინცდამაინც ახლა რატომ დაგჭირდათ მისი დახმარება?**

- ჰაკიმი - ლეგენდარული კალათბურთელია და მიმაჩნია, რომ ერთად კარგად ვიმუშავეთ. საერთოდ, ყოველთვის ვცდილობ საკუთარი თამაშის ყველა კომპონენტში გაუმჯობესებას და მოხარული ვარ, რომ ასეთ დიად მოთამაშესთან მუშაობის საშუალება მომეცა.

**- „კლივლენდზე“ ფიქრისას, პირველ რიგში, რა აზრი მოგდით თავში?**

- პირველ რიგში, აქტიური გულშემატკივრები, რომელსაც ნამდვილად უყვართ და ესმით სპორტი. მე მათ დიდ პატივს ვცემ.

**- არ გაქვთ სურვილი უშუალო მონაწილეობა მიიღოთ „მაიამის“ სელექციაში? რაიმე ურჩიოთ პატ რაილის? მაგალითად, რომელიმე კალათბურთელის გაფორმება...**

- სიმართლე გითხრათ, ამაზე არ მიფიქრია. რაილი - შესანიშნავი პრეზიდენტია და ის შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ გამარჯვებების მოპოვებაში დაგვეხმაროს. რა თქმა უნდა, თუ მას ჩემი რჩევა დასჭირდება - სიამოვნებით დავჯდები სალაპარაკოდ. მაგრამ დარწმუნებული ვარ, მან ჩემს გარეშეც იცის, რომელი კალათბურთელი სჭირდება გუნდს და რომელია ზედმეტი.

**- გაქვთ თუ არა ურთიერთობა მაიკლ ჯორდანთან? იქნებ, ის გაძლევთ რაიმე რეკომენდაციას?**

- არა, ჩვენ არანაირი ურთიერთობა არ გვაქვს, შესაბამისად, არანაირი რეკომენდაციები არ არსებობს.

**- კლივლენდთან შედარებით როგორია მაიამიში ცხოვრება?**

- ჩემთვის ეს სრულიად ახალი შეგრძნებაა, რადგან ადრე არასოდეს მიცხოვრია ოჰაიოს გარეთ. ასე რომ, იმის მიუხედავად, სად წავიდოდი - ფლორიდაში, ილინოისში, კალიფორნიაში ან სხვაგან - ჩემთვის ეს გარკვეულწილად თამამი გამოწვევა იქნებოდა. უნდა ვაღიარო, საკმაოდ დიდი დრო დამჭირდა იმისთვის, რომ მაიამიში ცხოვრებას შევგუებოდი, მაგრამ ახლა ქალაქს კარგად ვიცნობ და თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობ.

**- უკვე გადაწყვეტილი გაქვთ მომავალ წელს ლონდონის ოლიმპიადაზე გამოსვლა?**

- სიამოვნებით გავემგზავრებოდი ლონდონში ჩემპიონის ტიტულის დასაცავად, მაგრამ ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. წინასწარ არაფრის თქმა არ შემიძლია. ოლიმპიადა ყოველთვის მიყვარდა. მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენების გვერდით ყოფნა - განსაკუთრებული მოვლენაა.

**- შეგიძლიათ შეადაროთ ერთმანეთს პეკინის ტრიუმფატორი გუნდი და „დრიმ-თიმი“?**

- ის გუნდი უფრო მაღალი და ფიზიკურად ძლიერი იყო, ვიდრე ჩვენი. საკმარისია დავასახელოთ დევიდ რობინსონი, პატრიკ იუინგი და ჩარლზ ბარკლი... ჩვენ უფრო სწრაფად ვმოძრაობდით. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ორივე გუნდი ძალიან ძლიერი იყო, ორივეს უნდოდა გამარჯვება და საბოლოოდ, ორივემ მიაღწია მიზანს.

**- ვფიქრობ, თქვენთვის პეკინის გამოცდილება უფრო სასიამოვნოა, ვიდრე წინა ოლიმპიადისა... მაინც რა მოხდა ათენში? შემადგენლობის მხრივ ის გუნდიც ძალიან ძლიერი იყო.**

- როგორც ჩანს, ჩვენ უბრალოდ დრო არ გვეყო სათანადოდ შეთამაშებისთვის. ნუ დაგავიწყდებათ, რომ 2008 წლის გუნდმა ერთად სამი წელი გაატარა - ყოველ ზაფხულს ვიკრიბებოდით და თამაშს ვაუმჯობესებდით. ათენში კი არ გვქონდა ამის საშუალება და ამიტომაც, არ ვიყავით ერთიანი გუნდი.

**- კლივლენდიდან მაიამიში გადასვლამ უდიდესი რეზონანსი გამოიწვია, მაგრამ ლიგის კალათბურთელთა უმრავლესობამ თქვენი მხარე დაიჭირა...**

- კოლეგების მხრიდან პატივისცემა ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ზოგიერთი გადაწყვეტილების მიღება ძალიან რთულია და სხვა მოთამაშეებისგან გამხნევება სასიამოვნოა. მე მართლაც მადლიერი ვარ მათი.

**- ბევრმა მოთამაშემ გამოთქვა ლოკაუტის პერიოდში საზღვარგარეთ თამაშის სურვილი, მაგრამ თქვენგან ასეთი რამ არ მოგვისმენია. რატომ?**

- ახლა, პირველ რიგში, იმაზე ვარ კონცენტრირებული, რომ საკუთარი თამაშის ხარისხი გავაუმჯობესო. ამასთან, სულაც არ ვარ დარწმუნებული იმაში, რომ უარესი პროგნოზი გამართლებდა და სეზონი მთლიანად გაუქმდება. შეიძლება ოპტიმისტად ჩამთვალოთ, მაგრამ მე რეგულარული ჩემპიონატის სტარტისთვის ვემზადები.

**- თავად მონაწილეობთ ლიგასა და პროფკავშირებს შორის მოლაპარაკებებში?**

- მინდა ამ პროცესში უფრო მეტად ვიყო ჩართული, მაგრამ სხდომებს ისედაც მუდმივად ესწრება ჩემი ახლო მეგობარი კრის პოლი და თანაგუნდელი ჯეიმს ჯონსი. ასე რომ, მუდმივად საქმის კურსში ვარ, რაც იქ ხდება.

**- როგორ ფიქრობთ, შეგეძლოთ თუ არა გასულ სეზონში MVP-ის ტიტულის ზედიზედ მესამედ მოგება?**

- ერთმნიშვნელოვნად, არა.

**- რატომ?**

- „კლივლენდიდან“ „მაიამიში“ გადასვლა არ მომცემდა ამ საპატიო პრიზისთვის ბრძოლის შანსს და ეს კარგად ვიცოდი.

**- შემდეგ სეზონში?**

- რა თქმა უნდა, შანსი მაქვს, მაგრამ ამაზე ჯერ ნაადრევია ლაპარაკი.

**- ცხადია, რომ კლუბის შეცვლის შემდეგ პოპულარობა დაკარგეთ NBA-ის გულშემატკივრებს შორის. ეს არ გაწუხებთ?**

- რთული საკითხია. დღეს, პირველ რიგში, მონადინებული ვარ, გავაუმჯობესო საკუთარი თამაშის ხარისხი. ჩემი ახლო მეგობრები და ნათესავები ყოველთვის მხარს მიჭერდნენ და ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

**- თუ მომავალ წელს NBA-ში ჩემპიონის ტიტულის მოპოვება შეძელით, ეს უფრო დიდი მიღწევა იქნება თუ ოლიმპიური თამაშების ოქრო?**

- პეკინში გამარჯვება უდიდესი ნაბიჯი იყო ჩემს კარიერაში, მაგრამ მაინც იმედი მაქვს, რომ ადრე თუ გვიან შევძლებ NBA-ის ჩემპიონობის მოგებას. ეს არის ჩემი უპირველესი მიზანი. ხოლო თუ ეს პრიზი მოვიპოვე, აი, მერე შეიძლება ლონდონის ოქროზე ფიქრი. რატომაც არა?!

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირები

# ისევ როდიკის შესახებ

დასასრულს უახლოვდება ამერიკის ღია პირველობის წინა ბოლო რეპეტიცია და ექსპერტებს საშუალება აქვთ გაარკვიონ, რა ფორმაში ხვდებიან ჩოგბურთელები სეზონის რიგით მეოთხე „დიდი სლემის" ტურნირს. თუმცა ბოლომდე ამის გაკეთება შეუძლებელია, რადგან ამ კვირას თითქმის ყველა ლიდერმა ტურნირებზე გამოსვლას ინდივიდუალური ვარჯიშები ამჯობინა.

უკვე შეგვიძლია თამამად თქვათ, რომ **ენდი როდიკი** გამოვიდა კრიზისიდან და თანდათან უახლოვდება ოპტიმალურ სპორტულ ფორმას. უინსტონ-სალემში მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო ორ სეტში, თანაც ამ შეხვედრებში ამერიკელის კონკურენტებმა ერთხელაც ვერ მიაღწიეს ტაი-ბრეიკამდე. რაც მთავარია, ბრწყინვალედ მოქმედებს როდიკის მთავარი იარაღი - მოწოდება. შესაძლოა, რთული დასაჯერებელია, მაგრამ განვლილ სამ შეხვედრაში ამერიკელს ერთი ბრეიკ-პოინტი არ მიუცია მეტოქეებისთვის.

მეოთხედფინალში არგენტინელ **ხუან მონაკოსთან** 28 წლის როდიკმა მხოლოდ ცხრა გათამაშება წააგო თავის მოწოდებაზე, სამი ბრეიკი გააკეთა და 66 წუთში გაიმარჯვა - 6:1, 6:4.

ენდის მეტოქე ნახევარფინალში ასევე ამერიკელი **ჯონ ისნერი** იქნება. ეს ჩოგბურთელი უიმბლდონის შემდეგ შესანიშნავად გამოიყურება - ამერიკული სერიის ტურნირებზე 19 მატჩი ჩაატარა და 15 მოიგო, გაიმარჯვა ნიუპორტში, გავიდა ატლანტას ფინალში და ვაშინგტონში ნახევარფინალში ითამაშა. ამჯერად


ენდი როდიკი

ისნერმა ნახევარფინალის მორიგი საგზური კვიპროსელი **მარკოს ბაღდატისის** დამარცხებით მოიპოვა, არადა, პირველ სეტში ამერიკელმა ვერაფრით აამოქმედა თავისი საფირმო მოწოდება და 1:6 განადგურდა. თუმცა მომდევნო ორ პარტიაში თითო ბრეიკის აღებით მაინც თავის სასარგებლოდ დაასრულა მატჩი - 1:6, 6:3, 6:4.

ისნერი და ბაღდატისი ბოლო დროს ტრადიციულ მეტოქეებად ჩამოყალიბდნენ: ორი კვირის წინ მონრეალის მასტერსზე შეხვდნენ ერთმანეთს, ახლა უინსტონ-სალემში გაარკვიეს ურთიერთობა და უკვე ცნობილია, რომ ისინი აშშ-ის ღია პირველობის პირველ წრეშიც დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

რაც შეეხება როდიკისა და ისნერის ურთიერთშეხვედრებს, აქ წინ არის გამოცდილი ამერიკელი - 3:1. ჯონმა ენდის ერთადერთხელ 2009 წელს აშშ-ის ღიას მესამე წრეში ხუთსეტიან თრილერში მოუგო.

კიდევ ერთი ჩოგბურთელი ხვდება კარგ ფორმაში ამერიკის ღია პირველობას. ეს არის მსოფლიოს 42-ე ჩოგანი **რობინ ჰაასე**, რომელმაც გამარჯვებათა სერია რვა მატჩამდე აიყვანა. ჰოლანდიელმა თვის დასაწყისში კიტცბუელის ტურნირი მოიგო, შემდეგ პაუზა ჰქონდა და ახლა უინსტონ სალემში აგრძელებს სერიას. მეოთხედფინალში უკრაინელი **ალექსანდრ დოლგოპოლოვის** წინააღმდეგ ჰაასემ 15 ეისისა და სამი ბრეიკის (რვა შესაძლებლიდან) წყალობით ერთ საათში მოიგო - 6:4, 6:4.

ჰაასეს მეტოქე ნახევარფინალში ფრანგი **ჟულიენ ბენეტო** იქნება, რომელსაც ყველაზე რთული მატჩის გადატანა მოუწია უკრაინელი **სერგეი სტახოვსკის** წინააღმდეგ. ფრანგმა მეორე სეტის ტაიბრეიკზე ერთი მატჩბოლიც კი მოიგერია და ის გეიმი 11:9 მოიგო, რის შემდეგაც მესამე სეტში პრობლემა აღარ შექმნია. ბენეტომ 14 ბრეიკ-პოინტიდან მხოლოდ სამი გამოიყენა და ამიტომაც გაირთულა ცხოვრება აღნიშნულ შეხვედრაში, რომელიც 2 საათსა და 19 წუთს გაგრძელდა.

**ATP**

**Winston Salem**

უინსტონ სალემი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 618 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**ენდი როდიკი (აშშ, 1)**-ხუან მონაკო (არგ, 7) 6:1, 6:4; **რობინ ჰაასე (ჰოლ, 10)**-ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 3) 6:4, 6:4; **ჯონ ისნერი (აშშ, 4)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 8) 1:6, 6:3, 6:4; **ჟულიენ ბენეტო (საფ)**-სერგეი სტახოვსკი (უკრ, 9) 3:6, 7:6(9), 6:2.


ვოზნიაცკის ჯერ ისევ მამა არიგებს

# ვოზნიაცკის რევანში

ასევე მეოთხედფინალური მატჩები გაიმართა ქალთა ტურნირზე ნიუ ჰევენში და აქ ერთი მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა. ფავორიტმა **მარიონ ბარტოლიმ** ჩეხ **პეტრა ჩეტკოვსკასთან** წააგო ორ სეტში.

თუმცა გასათვალისწინებელია ის, რომ ჩეტკოვსკა ახლა კარგ ფორმაშია, რაზეც წინა წრეში პოლონელი **აგნიეშკა რადვანსკას** ძლევაც მეტყველებს, გარდა ამისა, ჩეხს კარიერაში სამჯერ ჰყავს დამარცხებული WTA-ის ტოპ-ათეულის წევრები და აქედან ორჯერ სწორედ ბარტოლის მოუგო.

მატჩი ძალიან დაძაბული გამოვიდა. ორივე პარტიაში ჩეტკოვსკას 5:4-ზე შეეძლო სეტზე ჩაწოდება და ორივეჯერ ბარტოლიმ გაათანაბრა ანგარიში. ამის შემდეგ კი ჩეხი მაინც ახერხებდა ზედიზედ ორი გეიმის აღებას, რამაც მას ნახევარფინალის საგზური მოუტანა.

ჩეტკოვსკა ნახევარფინალში მეორე ნომრად განთესილ **ნა ლის** შეხვდება. როლან გაროსის ჩემპიონის შეხვედრა რუს **ანასტასია პავლიუჩენკოვასთან** წვიმის გამო რამდენიმეჯერ შეწყდა. ჩოგბურთელებს სამი სეტის თამაში მოუწიათ, თუმცა მაინც იგრძნობოდა ჩინელის უფრო მაღალი კლასი, რაც მესამე სეტში გამანადგურებელ ანგარიშში გამოიხატა - 6:2. ეს ამ ჩოგბურთელების რიგით მეორე შეხვედრა იყო და პირველში პავლიუჩენკოვას ჰქონდა მოგებული. სხვათა შორის ამერიკის ღია პირველობის პირველ წრეში რუსს ქართველი **ანა ტატიშვილი** დაუპირისპირდება.

მეორე ნახევარფინალური წყვილი დანიელმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ** და იტალიელმა **ფრანჩესკა სკიავონემ** შეადგინეს.

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ** რევანში აუღო ამერიკელ **კრისტინა მაკჰეილს** წინა კვირას ცინცინატიში წაგებისთვის - 7:5, 6:3. მატჩის შემდეგ ვოზნიაცკიმ განაცხადა, რომ მეტოქე უკეთ თამაშობდა, ვიდრე წინა შეხვედრაში, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მე თამაშს მოვუმატეო. ამერიკის ღია პირველობა აჩვენებს, რამდენად გამართლებულია დანიელის ოპტიმიზმი. ახლა კაროლინს ნიუ ჰევენში 15-დან 15 მოგება აქვს და აქ ზედიზედ მეოთხე ტიტულს უმიზნებს.

რაც შეეხება სკიავონეს, ის უბრძოლველად გავიდა ნახევარფინალში, რადგან ესპანელმა **ანაბელ მედინა გარიგესმა** ტრავმის გამო უარი თქვა კორტზე გასვლაზე. პრინციპში, იტალიელს ძალიან გაუმართლა, რადგან აქამდე გამოცდილ პირენეელთან ოთხიდან ოთხი მატჩი ჰქონდა წაგებული.

**WTA**

**New Haven Open**

ნიუ ჰევენი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 618 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)**-კრისტინა მაკჰეილი (აშშ) 7:5, 6:3; **ნა ლი (ჩინ, 2)**-ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 8) 6:4, 3:6, 6:2; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 3)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ) მედინა გარიგესის უარი; **პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 4) 7:5, 7:5.

**Texas Tennis Open**

დალასი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**საბინ ლისიცკი (გერ, 5)**-კატერინა ბონდარენკო (უკრ) 6:1, 6:2; **ირინი კამელია ბეგუ (რუმ)**-ანასტასია სევასტოვა (ლატ) 6:3, 6:4; **არავან რეზაი (საფ)**-ელენა ბალტაჩა (ბრიტ) 6:2, 6:2; **ანჟელიკ კერბერი (გერ)**-იოანა ლარსონი (შვედ) 6:0, 6:1.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ევროპის სუპერთასი** | |
| ბარსელონა-პორტუ | 2:0 |
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| ფლიტვუდი-იორკი | 0:0 |
| ლინკოლნი-სტოკპორტი | 1:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ვერონა-პესკარა | 1:2 |
| **ესპანეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ხირონა-ელჩე | 1:4 |
| **გერმანია** | |
| ჰერტა-შტუტგარტი | 1:0 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ბოხუმი-ფიურტი | 1:4 |
| დუისბურგი-დინამო | 3:0 |
| ინგოლშტადტი-ჰანზა | 3:1 |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ზაარბრიუკენი-ოსნაბრიუკი | 2:2 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| კილი-ვილჰელმშაავენი | 4:2 |
| პლაუენი-ჰანოვერი II | 0:1 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| ფრაიბურგი II-შტ. კიკერსი | 2:5 |
| მიუნხენი II-ჰოფენჰაიმი II | 0:7 |
| ბაიერნი (ა)-ინგოლშტადტი II | 1:4 |
| ფრანქფურტი II-პფიულენდორფი | 4:3 |
| ზონენჰოფი-ნიურნბერგი II | 3:2 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| ფერლი-გლადბახი II | 1:2 |
| დორტმუნდი II-ტრირი | 0:2 |
| ფორტუნა II-ლოტე | 2:2 |
| კობლენცი-ესენი | 0:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ანჟერსი-რეიმსი | 0:0 |
| არლი-ჰავრი | 1:0 |
| ბასტია-კლერმონი | 1:1 |
| შატორუ-ლე მანი | 1:0 |
| გინგამი-ისტრი | 1:0 |
| ლავალი-ტრუა | 0:0 |
| სედანი-მეცი | 1:1 |
| ამიენი-ბულონი | 0:0 |
| **ჰოლანდია** | |
| აიაქსი-ვიტესი | 4:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ვილემი-მაასტრიხტი | 2:1 |
| კამბური-ფორტუნა | 3:1 |
| ცვოლე-სპარტა | 2:0 |
| ჰელმონდი-ეინდჰოვენი | 0:1 |
| ტელსტარი-დორდრეხტი | 3:0 |
| ვეენდამი-დენ ბოში | 1:2 |
| **დანია** | |
| ესბერგი-ჰიორინგი | 3:0 |
| **ნორვეგია** | |
| ბრანი-ტრომსიო | 1:1 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბრომაპიოკარნა-ასირისკა | 1:3 |
| **ფინეთი** | |
| ტურკუ-კუოპიო | 5:0 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ავსტრია (ლ)-გრიოდიგი | 0:0 |
| ჰარტბერგი-ბლაუ ვაისი | 1:1 |
| ლინცერი-ლუშტენაუ | 2:1 |
| სტ. ანდრა-სტ. პოლტენი | 1:1 |
| ვენა-ალტახი | 0:1 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ბელინცონა-ბილი | 5:2 |
| **ირლანდიის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| ბრეი-ლიმერიკი | 0:4 |
| დროგედა-დანდალკი | 1:1 |
| უოტერფორდი-სტ. პატსი | 0:3 |
| შერიფი-შელბურნი | 3:2 |
| უექსფორდი-კორკი | 0:1 |
| **უელსი** | |
| აფან ლიდო-ნითი | 1:0 |
| კარმარტენი-პორტ ტელბოტი | 2:0 |
| ნიუ საინტსი-პრესტატინი | 2:1 |
| **ჩეხეთი** | |
| სლავია-ბოლესლავი | 1:1 |
| **უკრაინა** | |
| მეტალურგი (დ)-ოლექსანდრია | 3:1 |
| ვოლინი-ობოლონი | 1:1 |
| **პოლონეთი** | |
| გურნიკი-ლეხი | 2:1 |
| ზაგლებე-კრაკოვია | 1:1 |
| **ხორვატია** | |
| ინკერი-ზადარი | 2:0 |
| რიეკა-შიბენიკი | 1:0 |
| ზაგრები-ვარტექსი | 1:0 |
| **უნგრეთი** | |
| დიორი-ზალაეგერშეგი | 5:1 |
| **რუმინეთი** | |
| კლუჟი-სპორტული | 6:1 |
| **ლიტვა** | |
| ბანგა-ატლანტასი | 5:0 |
| **ჩრ. ირლანდია** | |
| კრუზეიდერსი-კოლრეინი | 1:1 |
| დონეგალი-ბალიმენა | 2:3 |
| პორტდაუნი-გლენავონი | 1:0 |
| **არგენტინა** | |
| გოდოი-ბანფილდი | 1:0 |
| **პერუ** | |
| ალ. ატლეტიკო-სენსიანო | 3:1 |
| **კალათბურთი** | |
| **აფრობასკეტი** | |
| ც. აფრიკა-კამერუნი | 20:0 |
| სენეგალი-მაროკო | 96:75 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ესპანეთი-ავსტრალია | 97:58 |
| გერმანია-მაკედონია | 70:68 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. უინსტონ სალემი** | |
| როდიკი-ისნერი | 6:7, 4:6 |
| **WTA. ნიუ ჰევენი** | |
| ჩეტკოვსკა-ნა ლი | 6:2, 5:7, 7:6 |

## TV პროგრამა

**27 აგვისტო. შაბათი**

**I არხი**

17:25 ძიუდო. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები - 100 კგ. +100 კგ. ქალები. +78 კგ. საფრანგეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

20:10 გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-დორტმუნდი (LIVE).
22:40 იტალიის ჩემპიონატი. კალიარი-მილანი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

17:25 ძიუდო. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები - 100 კგ. +100 კგ. ქალები. +78 კგ. საფრანგეთი (LIVE).
22:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-მონპელიე (LIVE).
00:55 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-ბოტაფოგო (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

17:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი (LIVE).
23:25 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.

**НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

15:10 რუსეთის ჩემპიონატი. ტომი-ამკარი (LIVE).
17:30 რუსეთის ჩემპიონატი. ვოლგა-ტერეკი (LIVE).
19:45 რუსეთის ჩემპიონატი. როსტოვი-ანჟი (LIVE).

**SPORT+**

17:30 რაგბილიგა. Challenge Cup. ფინალი. ლიდსი-უიგანი (LIVE).
19:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სიენა-ფიორენტინა (LIVE).

**EUROSPORT**

13:00 ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრანპრი. HS 131. ჰაკუბა. იაპონია (LIVE).
14:45 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დღე. ტეგუ. ს. კორეა (LIVE).
18:00 ველოსპორტი. ვუელტა. VIII ეტაპი. ესპანეთი (LIVE).
21:00 სნუკერი. ტურნირი PTC (Players Tour Championship). II დღე. გერმანია (LIVE).
01:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. ნიუ ჰევენი. აშშ (LIVE).
04:00 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. II დღე. ტეგუ. ს. კორეა (LIVE).

**EUROSPORT-2**

13:00 ავსტრალიური ფეხბურთი. ავსტრალიის ლიგა. XXIII ტური. სენტ კილდა-ჩრ. მელბურნი (LIVE).
18:30 ავტოსპორტი. GP3-ის სერია. I რბოლა. სპა. ბელგია (LIVE).
19:00 სნუკერი. ტურნირი PTC (Players Tour Championship). II დღე. გერმანია (LIVE).
00:00 ველოსპორტი. Pro Cycling Challenge. V ეტაპი. აშშ (LIVE).

**28 აგვისტო. კვირა**

**I არხი**

17:55 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. დინამო-ზესტაფონი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

19:55 იტალიის ჩემპიონატი. კანპოლი-ჯენოა (LIVE).
22:40 იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-იუვენტუსი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

16:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩემპიონშიფი. ნოტინგემი-ვესტ ჰემი (LIVE).
22:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ლეჩე (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

09:00 მაგიდის ჩოგბურთი. პრო-ტური. ჩინეთის ღია პირველობა. 1/2 ფინალი. ჩინეთი (LIVE).
15:00 მაგიდის ჩოგბურთი. პრო-ტური. ჩინეთის ღია პირველობა. ფინალი. ჩინეთი (LIVE).
16:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩემპიონშიფი. ნოტინგემი-ვესტ ჰემი (LIVE).
18:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ტულუზა-პსჟ (LIVE).
20:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი (LIVE).
22:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-მარსელი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

16:10 რუსეთის ჩემპიონატი. დინამო-ნალჩიკი (LIVE).
18:30 რუსეთის ჩემპიონატი. რუბინი-კრილია (LIVE).
20:45 რუსეთის ჩემპიონატი. ყუბანი-ლოკომოტივი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

00:00 WNBA. რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-ფინიქსი (LIVE).

**SPORT+**

16:30 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ზენიტი-კრასნოდარი (LIVE).
18:45 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. სპარტაკი-ცსკა (LIVE).
22:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი (LIVE).

**EUROSPORT**

11:15 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. II დღე. ტეგუ. ს. კორეა (LIVE).
18:00 ველოსპორტი. ვუელტა. IX ეტაპი. ესპანეთი (LIVE).
22:00 სნუკერი. ტურნირი PTC (Players Tour Championship). III დღე. გერმანია (LIVE).
05:00 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. III დღე. ტეგუ. ს. კორეა (LIVE).

**EUROSPORT-2**

11:30 ავტოსპორტი. GP3-ის სერია. II რბოლა. სპა. ბელგია (LIVE).
12:30 ბალახის ჰოკეი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. მიონხენგლადბახი. გერმანია (LIVE).
14:00 ავტოსპორტი. პორშეს სუპერთასი. სპა. ბელგია (LIVE).
15:00 ბალახის ჰოკეი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. მე-3 ადგილისთვის. მიონხენგლადბახი. გერმანია (LIVE).
17:30 ბალახის ჰოკეი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. ფინალი. მიონხენგლადბახი. გერმანია (LIVE).
19:00 სნუკერი. ტურნირი PTC (Players Tour Championship). III დღე. გერმანია (LIVE).
00:00 ველოსპორტი. Pro Cycling Challenge. VI ეტაპი. აშშ (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# ეს იყო 20 წლის წინ

შუმახერი 1991 წელს





სპაზე ერთ-ერთი ტრიუმფის შემდეგ

კვირას ბელგიის „სპაზე“ განსაკუთრებული რბოლა გაიმართება - სწორედ აქ, ზუსტად 20 წლის წინ ფორმულა 1-ში დებიუტი ჰქონდა ნორჩ **მიხაელ შუმახერს**. ღირსშესანიშნავი იუბილეს წინ გერმანელი იხსენებს გასული წლების მოვლენებსა და იმ ადამიანებს, რომლებმაც ბიძგი მისცეს მის ბრწყინვალე კარიერას.

*„სადებიუტო რბოლა ჩემთვის სტარტიდან 500 მეტრის შემდეგ დასრულდა, რადგან მწყობრიდან გამოვიდა გადაცემათა კოლოფი,* - ყვება შუმახერი. - *ვფიქრობ, ამის თავიდან აცილება იოლად შეიძლებოდა, მაგრამ გუნდის შეფმა (ედი ჯორდანი) არ მოისურვა ზედმეტი ფულის დახარჯვა დაზიანებული დეტალის შესაცვლელად, არადა, პრობლემები უკვე კვირას დილით გახურებისას შეიმჩნეოდა. ჩემი აზრით, პრობლემის მოგვარებას 500 გერმანული მარკა სჭირდებოდა“.*

მაგრამ ასეთი წარუმატებელი რბოლის მიუხედავად, „სპაზე“ შუმახერის გამოსვლა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. საქმე ისაა, რომ დებიუტანტმა კვალიფიკაციაში მეშვიდე დრო აჩვენა და 0.7 წამით გაუსწრო „ჯორდანში“ თავის გამოცდილ თანაგუნდელს **ანდრეა დე ჩეზარისს**. ამასთან, უნდა დავამატოთ, რომ მანამდე მიხაელს არასოდეს ჰქონია ბელგიის ურთულეს ტრასაზე ასპარეზობის საშუალება.

*„ალბათ, გუნდში გადაწყვიტეს, რომ ძველი გადაცემათა კოლოფი გაუძლებდა დატვირთვას. შესაძლოა, ისინი ადრეც ასე იქცეოდნენ, ან უბრალოდ ჩათვალეს, რომ ვერ მივხვდებოდი, რაში იყო საქმე,* - ფიქრობს შუმახერი. - *დე ჩეზარისი რბოლის მსვლელობისას მეორე ადგილამდეც კი ავიდა, თუმცა ფინიშამდე ცოტა ხნით ადრე გამოეთიშა რბოლას. წრეზე ჩემი დრო თითქმის წამით უკეთესი იყო, ვიდრე დე ჩეზარისისა, ასე რომ, ნებისმიერს შეუძლია გამოთვალოს, რა შედეგის მიღწევა შემეძლო კარიერაში პირველივე რბოლის დროს. შესაბამისად, გრანპრის შედეგმა ძალიან დამწყვიტა გული“.*

იმ პერიოდში **ედი ჯორდანის** გუნდი (რომელსაც 1991 წელს ასევე დებიუტი ჰქონდა ფორმულა 1-ში) რთულ ფინანსურ სიტუაციაში აღმოჩნდა. ძრავების მიმწოდებელმა კომპანია „კოსუორტმა“ ვალების დაფარვა მოითხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ძრავების მომარაგების შეწყვეტით დაიმუქრა. რაღაც პერიოდი ძრავებით დატვირთული სატვირთო მანქანები მართლაც შეჩერებული იყო და მართალია, საბოლოოდ სიტუაცია მოგვარდა (პირველ რიგში, იმ 500 ათასი დოლარის წყალობით, რომელიც მიხაელის გამოსვლისთვის კომპანია „მერსედესმა“ გადაიხადა), თავად პილოტი (მომავალი მილიარდერი და მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი) მთელი უქმეების განმავლობაში იძულებული იყო ახალგაზრდულ ტურისტულ ბაზაზე მექანიკოსებთან ერთ ოთახში ყოველგვარი კომფორტის გარეშე ეცხოვრა.

მაგრამ იმ ხანებში გერმანელს ეს ნაკლებად ადარდებდა. *„მე სწრაფად გავაცნობიერე, რომ პადოკის ყველა ბინადარი - ჩვეულებრივი ადამიანია. სენა, პროსტი, მენსელი - ეს პილოტები მიუწვდომელნი მეჩვენებოდნენ და უცებ ისინი ჩემს გვერდით აღმოჩნდნენ,* - აგრძელებს თხრობას შუმახერი. - *და რაღაც მომენტში მივხვდი, რომ შემიძლია მათთან კონკურენცია. ამან მაშინვე მომიტანა თავდაჯერებულობა საკუთარ შესაძლებლობებში. სწორედ ეს იყო უქმეების მთავარი შედეგი. თავს შესანიშნავად ვგრძნობდი“.*

როგორც ცნობილია, მიხაელი „ჯორდანში“ მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც გუნდის საპრიზო პილოტი **ბერტრან გაშო** ლონდონის სასამართლოს გადაწყვეტილებით ციხეში მოხვდა. მოსამართლემ მიიჩნია, რომ ბელგიელმა ავტომრბოლმა გადაამეტა საჭირო თავდაცვის ზომებს, როცა გაზის ბალონიდან სახეში შეასხა ტაქსის მძღოლს. თავდაპირველად, ედი ჯორდანი გაშოს ნაცვლად გამოცდილი **სტეფან იოჰანსონის** მიწვევას აპირებდა.

ამ დროს ირლანდიელს მენეჯერმა **ვილი ვებერმა** დაურეკა და ჯორდანმა პირველ რიგში ეს იკითხა: „შუმახერი ვინაა?“ მაგრამ, როცა საქმეში ჩაერია „მერსედესის“ ახალგაზრდული პროგრამის წარმომადგენელი **იოჰენ ნეერპაში** და საპონსორო თანხის ოდენობა დაასახელა, ჯორდანი დათანხმდა მიხაელისთვის შანსის მიცემას. ბელგიის გრანპრის წინ პირველი სატესტო პროგრამა ბრიტანულ „სილვერსტოუნზე“ ჩატარდა.

*„მახსოვს, პირველი რამდენიმე წრე ძალიან ნელა გავიარე - მანქანას უნდა შევგუებოდი, გამეხურებინა საბურავები, შემემოწმებინა, ყველაფერი წესრიგში იყო თუ არა,* - იხსენებს 91 ეტაპის მომგები შუმი. - *შემდეგ ცოტა ხნით მექანიკოსებთან დავბრუნდი და ისევ ტრასაზე გავედი. როცა ასი პროცენტით მივიღე მანქანის გამოყენების საშუალება, უცებ მივხვდი, რომ შემეშინდა.*

*მანამდე უამრავი მანქანის საჭესთან ვმჯდარვარ, მაგრამ არც ერთი ასეთი სწრაფი, ექსტრემალური და აგრესიული არ ყოფილა. ამ შიშმა ერთ აზრამდე მიმიყვანა - იქნებ მზად არ ვარ ფორმულა 1-სთვის?“*

საბედნიეროდ, მსოფლიოს მომავალი ჩემპიონის ყოყმანი დიდი ხანი არ გაგრძელებულა: *„წრე გავიარე, შემდეგ კიდევ ერთი - და ოდნავ ამოვისუნთქე. შემდეგ შიში საერთოდ დამავიწყდა და სავსებით კომფორტულად ვიგრძენი თავი“.* თავად ედი ჯორდანი ტესტებს არ ესწრებოდა - თავის თანაშემწეებს ენდო. ისინი კი გაოცებით აკვირდებოდნენ, რომ მიხაელი ყოველ მომდევნო წრეზე ზრდიდა ტემპს. გერმანელი სასწრაფოდ ბოქსებში იხმეს - ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე არ იყო მანქანის დამტვრევის აუცილებლობა, არადა, შუმახერის ტემპიდან გამომდინარე, ყველაფერი სწორედ აქეთკენ მიდიოდა.

დღის შედეგების მიხედვით შუმახერმა წამით უკეთესი დრო აჩვენა, ვიდრე „ჯორდანის“ პილოტებმა ბრიტანეთის გრანპრის მსვლელობისას. *„ამის შემდეგ მივხვდი, რომ კარგი შედეგის მიღწევა შემეძლო, თუმცა ვერც იმას ვაცნობიერებდი, საბოლოოდ რა გამოვიდოდა ამ ყველაფრიდან“,* - იხსენებს შუმახერი. იმ მომენტისთვის გერმანელთან კონტრაქტი გაფორმებული არ იყო.

*„დამირეკეს და მითხრეს, რომ ბელგიაში უნდა გავმგზავრებულიყავი, თუმცა მოლაპარაკებები ჯერ დასრულებული არ იყო,* - ამბობს „მერსედესის“ პილოტი. - *მხოლოდ ხუთშაბათს საღამოს გაირკვა, რომ მომდევნო დღეს, დილით საჭეს მივუჯდებოდი და მთელს უქმეებს „ჯორდანის“ რიგებში გავატარებდი. ეს იყო ჩემი ბილეთი ფორმულა 1-ში“.*

■ ■ ■

გავიდა ზუსტად ერთი წელი და იქვე, „სპაზე“ მიხაელ შუმახერი ახალ დონეზე აღმოჩნდა - 1992 წლის 30 აგვისტოს მან თავისი პირველი რბოლა მოიგო ფორმულა 1-ში. ის ეტაპი ურთულეს მეტეოროლოგიურ პირობებში მიმდინარეობდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ახალგაზრდა სპორტსმენისთვის „ბენეტონის“ ბოლიდით დაემარცხებინა **აირტონ სენა** და **ნაიჯელ მენსელი**.

*„იმ მომენტში ეს მოვლენა ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩემს კარიერაში, რადგან მანქანა არ იძლეოდა გამარჯვების შანსს, მაგრამ ამინდი დამეხმარა - მოულოდნელად პირველ პოზიციაზე აღმოვჩნდი და ფინიშამდე შევინარჩუნე ლიდერობა,* - ყვება გერმანელი. - *იმ დღეს ასრულდა ჩემი ოცნება“.*

გავიდა კიდევ სამი წელი - და შუმახერმა ისევ გაიბრწყინა „სპაზე“. მეორე საჩემპიონო ტიტულისკენ მიმავალ გზაზე მან ასევე წვიმაში დაამარცხა **დეიმონ ჰილი** და ისევ ავიდა პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე, არადა, სტარტი მე-16 პოზიციიდან აიღო.

მაგრამ მიხაელი ბელგიაში ყოველთვის წარმატებული არ ყოფილა. საკმარისია გავიხსენოთ 1998 წელი, როცა თავსხმა წვიმაში ის „ფერარის“ ბოლიდით ლიდერობდა, მაგრამ წრეზე ჩამორჩენილ **დევიდ კულტჰარდს** შეეჯახა, რომელიც შუმის მთავარი კონკურენტის - **მიკა ჰაკინენის** თანაგუნდელი იყო. ინციდენტის დროს შოტლანდიელმა აქსელერატორის სატერფულს ფეხი აუშვა და შუმახერი მას უკნიდან დაეჯახა.

*„ისე კარგად მახსოვს ყველაფერი, თითქოს ეს გუშინ მოხდა,* - აგრძელებს თხრობას შუმახერი. - *როგორც წესი, წვიმიან რბოლაში წყლის შხეფების გამო წინ რაიმეს გარჩევა თითქმის შეუძლებელია. და თუ წინ მიმავალი პილოტი ოდნავ აგდებს სიჩქარეს, ამას ისეთივე ეფექტი აქვს, თითქოს მან მკვეთრად დაამუხრუჭა. შეუძლებელია ამის დაფიქსირება: ჯერ არის წყლის შხეფები და უცებ კონტრაქტის გამო თქვენს მანქანას აღარ აქვს წინა საბურავი“.*

ორივე პილოტმა გაჭირვებით მიიყვანა დამტვრეული მანქანა ბოქსებში, რის შემდეგაც განრისხებული შუმახერი „მაკლარენის“ ბოქსებისკენ გაიწია, სადაც მექანიკოსებმა ჩაუშალეს ხელი ჩანაფიქრის ასრულებაში. *„შენ ჩემი მოკვლა გინდოდა“,* - დაუყვირა მიხაელმა თავის პრინციპულ მოწინააღმდეგეს. როგორც თავად კულტჰარდი იხსენებს, იმ მომენტში ჯერ კიდევ ჩაფხუტი ეხურა და ამიტომაც პასუხი ვერ გასცა გერმანელს. მოგვიანებით, შოტლანდიელმა აღიარა დანაშაული.

*„ის მიკა ჰაკინენის თანაგუნდელი იყო, რომელთანაც მაშინ ტიტულისთვის ვიბრძოდი,* - ხსნის შუმახერი. - *ამიტომაც გარკვეული დასკვნები თავად ამოტივტივდა გონებაში. გარდა ამისა, ავარიის შემდეგ განრისხებული ვიყავი იმის გამო, თუ როგორ დაუშვა ასეთმა გამოცდილმა პილოტმა მსგავსი უპატიებელი შეცდომა. ამით აიხსნება ჩემი მოქმედება“.*

გავიდა კიდევ ორი წელი და ბედმა ისევ შეახვედრა შუმახერი „სპაზე“ „მაკლარენის“ პილოტს. ამჯერად გერმანელი **მიკა ჰაკინენს** ებრძოდა. ის ლიდერობდა, მაგრამ რბოლის ფინალურ ნაწილში „ფერარი“ ისეთი სწრაფი ვერ იყო, როგორც ფინელის „მაკლარენი“. და როცა Kemmel-ის სწორი მონაკვეთის ბოლოში პილოტების წინ წრეზე ჩამორჩენილი **რიკარდო ზონტა** გამოჩნდა, მათ ეს პილოტი სხვადასხვა მხრიდან ჩამოიტოვეს უკან და საბოლოოდ, მიკამ შეძლო შუმის გასწრება.

*„რა თქმა უნდა, იმ მომენტის გამო ძალიან განბილებული დავრჩი,* - ამბობს შუმახერი. - *მანამდე ხომ ლიდერობას ვინარჩუნებდი. შემდეგ ზონტა დავინახე - ის ზუსტად ტრასის შუაში მიდიოდა. სწრაფად გავიფიქრე, რომ ასეთ სიტუაციაში ლიდერობის შენარჩუნების შანსი თითქმის არ მქონდა: მიკას იმ მომენტში უფრო მაღალი სიჩქარე ჰქონდა. მე ერთი მხარე ავირჩიე, მან - მეორე და საქმე გაკეთებული იყო.*

*ეს ეპიზოდი ძალიან სანახაობრივი გამოვიდა და მან ფინელს გამარჯვების საშუალება მისცა. მისთვის მილოცვა მომინდა - დასანანი იყო, რადგან ბევრს მივცემდი იმ დღეს ტრიუმფის მოსაპოვებლად... მაგრამ სწორედ ასეთი მომენტებისთვის უყვართ გულშემატკივრებს სპორტი“.*

„სპაზე“ ლოკალური წარუმატებლობის მიუხედავად, 2000 წელს მიხაელმა „ფერარის“ ბოლიდით პირველად მოიპოვა ჩემპიონის ტიტული, რის შემდეგაც მწვერვალზე 2004 წლამდე რჩებოდა. მან შეძლო ბელგიაში წაგებათა სერიის შეწყვეტა და ამ ტრასაზე გამარჯვებათა რიცხვი ექვსამდე აიყვანა.

*„აქ ყოველთვის დიდი სიამოვნებით ჩამოვდივარ,* - აღიარებს 42 წლის პილოტი. - *„სპას“ ავტოდრომთან განსაკუთრებული მოგონებები მაკავშირებს. მათ შორისაა - 1992 წელი, 1995, 1998 და სხვები. მახსოვს 2004 წელიც - მიუხედავად იმისა, რომ რბოლამ მხოლოდ მეორე ადგილი მომიტანა, სწორედ მაშინ გავინაღდე მეშვიდე საჩემპიონო ტიტული. შეიძლება ითქვას, რომ წრე შეიკრა. აქ იმდენი სასიამოვნო და საინტერესო მოვლენა გადამხდა თავს, რომ ეჭვგარეშეა, ეს ჩემთვის განსაკუთრებული ტრასაა“.*

**გია თვალაბეიშვილი**

## კვირის ბოლოს




ალექსანდრე ტურმანიძის კოლაჟი